კვლევის ანგარიში

სამოქალაქო განათლების საგანი
საქართველოს სკოლებში და მოსწავლეთა მიერ
სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე
მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება

წინასიტყვაობა

2010 წლის შემოდგომაზე, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამოქალაქო განათლების საჭიროებათა პირველი მასშტაბური კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1,633-მა რესპონდენტმა საქართველოს 10 რეგიონიდან. რესპონდენტებს შორის იყვნენ მოსწავლეები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას სამოქალაქო განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აქცენტს აკეთებს არსებულ საჭიროებებზე, მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის საქმიანობის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. ამასთანავე, კვლევის ანგარიში მნიშვნელოვანი და ღირებული დოკუმენტია საქართველოში სამოქალაქო განათლების სფეროს ანალიზისა და ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისათვის. ვიმედოვნებთ, კვლევის შედეგები დაეხმარება შესაბამის ორგანიზაციებს სამომავლო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამოქალაქო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოს სკოლებში.

კვლევის ანგარიში გამოიცა ამერიკული ორგანიზაცია PH International - საქართველოს მიერ, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). კვლევა განახორციელა საქართველოს შეფასების ასოციაციამ. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება საქართველოს შეფასების ასოციაციას და არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით: ლევან ახვლედიანს, მარიამ ბერძენიშვილს, ნინო ბიგვავას, ნინო ბოკერიას, თამარ ბრეგვაძეს, გიორგი გახელაძეს, ნინო გვარამაძეს, ნინო ერემაშვილს, თამარ თანდაშვილს, მაკა კორძაძეს, ნინო მიწიშვილს, ბერდია ნაცვლიშვილს, მარინა უშვერიძეს.

- დაუშვებელია სრულად კვლევის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე.
- კვლევის ონლაინ ვერსია განთავსებულია სამოქალაქო განათლების პორტალზე: www.civics.ge

@ PH International, 2011, ყველა უფლება დაცულია
@ საქართველოს შეფასების ასოციაცია, 2011, ყველა უფლება დაცულია

სარჩევი

I. შესავალი.....6

II. კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება.....10

III. კვლევის მეთოდოლოგია.....16

3.1 რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი და მეთოდოლოგია.....17
ა) კითხვარის შემუშავება და დიზაინი.....17
ბ) სამიზნე ჯგუფის მოცულობის დადგენა და კვლევის ადგილის შერჩევა.....17
გ) გამოკითხვა (მასალის შეგროვება).....17
დ) მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.....18
ე) კვლევის დემოგრაფია.....18
ვ) რაოდენობრივი კვლევის შეზღუდვები.....20

3.2 თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია.....20
ა) თვისობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფები.....20
ბ) თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება.....21
გ) გამოკითხვა.....21
დ) მიღებული მასალების ანალიზი და ანგარიშის მომზადება.....21
ე) თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვები.....22

IV. კვლევის ზოგადი დასკვნები.....23

4.1 სამოქალაქო განათლების საგნის აუცილებლობა სკოლის სასწავლო პროგრამაში.....24
4.2 სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობა.....25
4.3 სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები და საგნით მოცული საკითხები, სწავლების მეთოდიკა, სასკოლო გარემო საგნის სწავლებისათვის.....27
4.4 პედაგოგთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, დამხმარე მასალები.....30
4.5 მოსწავლეთა სამოქალაქო მზაობის შეფასება და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების გარემო პირობები.....32
4.6 მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაში გამოყენება.....33
4.7 მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება და მოსწავლეთათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებაში.....35

V. ანალიზი.....40

5.1 სამოქალაქო განათლების საგანი საქართველოს სკოლებში.....41
ა) საგნის სწავლების აუცილებლობა და მოსწავლეთა ინტერესის შეფასება.....41
ბ) სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობა.....51
გ) სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ჩატარება ცხრილით დადგენილი განრიგის მიხედვით, სამოქალაქო განათლების საგნის მნიშვნელობის აღქმა და პედაგოგთა მონაწილეობა გაკვეთილების ცხრილის შედგენაში.....58
დ) სამოქალაქო განათლების სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შეფასება.....63
ე) სამოქალაქო განათლების საგნით მოცული საკითხების შეფასება.....69
ვ) სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდიკა, სახელმძღვანელოთი განსაზღვრული აქტივობების გამოყენება.....74
ზ) სამოქალაქო განათლების საგნის დამხმარე სასწავლო მასალები.....75
თ) სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება.....77

5.2 მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზება.....81
ა) მოსწავლეთა სამოქალაქო მზაობის შეფასება და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების გარემო პირობები.....81
ბ) მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.....85
გ) მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაში გამოყენება და სასკოლო გარემოს შეფასება.....93
დ) მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება; არასამთავრობო ან სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობის მიღება.....99
ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მოსწავლეთა სამოქალაქო ინიციატივები.....104
ვ) როგორ წარმოუდგენიათ თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს მოსწავლეთათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში.....106

თავი I

შესავალი

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას საქართველოს სკოლებში არ-ცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს. შესაბამისად, მისი ადგილი და მნიშვნელობა სხვა ე.წ. ტრადიციულ სასკოლო საგნებს შორის, შესაძლოა, კარგად არ აქვთ გაცნობიერებული, როგორც თავად მოსწავლეებს, ისე მათ მასწავლებლებსა და მშობლებს. ამავე დროს აღნიშნული დისციპლინის შემოღება სკოლებში ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეთა სოციალურად აქტიურ მოქალაქეებად ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც ეცოდინებათ თავისი უფლება-მოვალეობები და სამოქალაქო პასუხისმგებლობანი და შეეძლებათ მათი რეალიზება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს ისეთი ემპირიული მასალის მოპოვების საჭიროება, რომელიც სწორ წარმოდგენას შეგვიქმნის საქარ-თველოს სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა, ადგილობრივი თვით-მმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, ასევე, მოსწავლეთა მშობლების დამოკიდებულებების, განწყობებისა და პრაქტიკული მიდგომების შესახებ სამოქალაქო განათლების საგნის მიმართ.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი ეყრდნობა სწორედ ამგვარი ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩატარებული ორი (თვისობრივი და რაოდენობრივი) კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა საქართველოს შეფასების ასოციაციის მიერ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International (ასევე ცნობილი, როგორც პროექტი ჰარმონია), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კვლევის ანგარიში პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციასა და მის პარტნიორებს დაეხმარება:

- პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტების მიზნების მისაღწევად სა-ჭირო საქმიანობის დაგეგმვასა და რეალიზებაში;
- პროგრამის დაწყების დროისათვის არსებული ვითარების შესწავლაში, რათა მოხდეს ეფექტიანი მონიტორინგი პროგრამის განხორციელების პროცესზე და ადექვატურად შეფასდეს პროგრამის გავლენა სამიზნე ჯგუფებზე.

თავისი არსით, საქართველოს შეფასების ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევა ე.წ. „საწყისი მაჩვენებლების" (baseline) კვლევაა, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას სამწლიანი პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე არსებული მდგომარეობის შესახებ. პროგრამის მიმდინარეობისა და მისი შედეგების შემდგომი მონიტორინგი და შეფასება, შესაბამისი შუალედური და საბოლოო ანგარიშები და დასკვნები შესაძლებლობას მისცემს მკვლევარებს შედარებითი ანალიზის მეშვეობით შეაფასონ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის საბოლოო ეფექტიანობა.

პროგრამის ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისობრივი კვლევა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. კვლევის პირველი ნაწილი პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას საქართველოს სკოლებში, რაც გულისხმობს შემდეგი საკითხების დადგენას:

- როგორია სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა შეფასებით, ამ დისციპლინის სწავლების პროცესის გამართულობა და ხარისხი;
- რამდენად აკმაყოფილებთ სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტებს სამოქალაქო განათლების სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ხარისხი;
- როგორია მოსწავლეთა, მასწავლებელთა, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ცოდნა სამოქალაქო განათლების შესახებ, მათი დამოკიდებულება ამ საგნისადმი და მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობისადმი;
- რამდენად ხდება სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება მოსწავლეთა მიერ, ხოლო ამ პროცესის ხელშეწყობა პედაგოგების, ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მშობლების მიერ.

ზოგადი ტენდენციების გამოვლენის გარდა, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა თუ დასახლებული პუნქტების, აგრეთვე თბილისის სკოლების მოსწავლეთა შეხედულებათა ურთიერთშედარება მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სამოქალაქო განათლების საგნისადმი სხვადასხვა კლასების მოსწავლეებს, მშობლებს, საგნის მასწავლებლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს; რამდენად კმაყოფილნი არიან სამოქალაქო განათლების საგნის სასკოლო სახელმძღვანელოებითა და საგნის სასწავლო პროგრამით მოცული საკითხებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული კვლევის მეშვეობით შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენად არის მზად თავად სკოლა იმისათვის, რომ მოსწავლემ საკუთარ

სკოლაშივე მოახდინოს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება; რამდენად ეძლევა მას საშუალება მიიღოს მონაწილეობა სკოლის მუშაობაში არა მხოლოდ როგორც მოსწავლემ, არამედ როგორც სასკოლო თვითმმართველობის წევრმა. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტარში გამოყენებული ღია კითხვები, ანუ კონკრეტული მაგალითების მოთხოვნა, ასევე სხვა კატეგორიის რესპონდენტებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებები იძლევა რესპონდენტთა მიერ გაკეთებული შეფასებების დაზუსტების საშუალებას.

რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობისა თუ ამგვარი აქტივობისათვის მათი მზაობის შესწავლას; იმის გარკვევას, თუ მოსწავლეთა რა ნაწილი არის სოციალურად უფრო აქტიური; მიუღიათ თუ არა მონაწილეობა რაიმე სოციალურ აქტივობებში და თუ მიუღიათ, კონკრეტულად რა სფერო სარგებლობს მეტი პოპულარობით. ხოლო, თუ არ მიუღიათ, რამდენად აქვთ ამის გაკეთების სურვილი. კვლევამ ასევე მოგვცა საშუალება შეგვესწავლა, როგორც სამოქალაქო განათლების საგნის მასწავლებელთა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა მოსაზრებები, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ მოსწავლეთათვის დახმარება სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რამდენად არის მათი მხრიდან მზაობა ამგვარი დახმარებისათვის.

გარდა ამისა, რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით შესწავლილ იქნა მოსწავლეთა მიერ ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენების საკითხი, კერძოდ, ის, თუ რამდენად იყენებენ საქართველოს სკოლების მოსწავლეები ისეთ პოპულარულ ვებ-გვერდებს, როგორიცაა facebook, myspace, YouTube, თუ იყენებენ მოსწავლეები სოციალურ ქსელებს არა მხოლოდ ურთიერთობისათვის, არამედ იმისათვის, რომ გაავრცელონ ან მიიღონ რაიმე სახის ინფორმაცია. ეს მონაცემებიც, თავის მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს სოციალური/სამოქალაქო აქტივობის დონის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად.

თავი II

კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება

როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება საქართველოს სკოლებში საჭიროა. როგორც მოსწავლეთა, ასევე თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა აზრით, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირსეულ და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ამასთან, მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა სამოქალაქო განათლების საგანს საინტერესოდ მიიჩნევს.

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების დონით კმაყოფილია გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება, რადგან საგანი შედარებით ახალი შეტანილია სასკოლო კურიკულუმში და მათი აზრით, გასული დრო არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ამასთან, თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილში იგრძნობა განწყობა, რომ ამ ეტაპზე სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი ეფექტიანად ისწავლება.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა კმაყოფილია ან მეტნაკლებად არის კმაყოფილი არსებული სასკოლო სახელმძღვანელოებითა და სასწავლო მასალებით. ამასთან, მოსწავლეების 50.2 პროცენტი თვლის, რომ სამოქალაქო განათლების საგნის მასალები საჭიროებს გადახედვასა და განახლებას. გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით მესამედს სურს, რომ მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამოქალაქო განათლების დამხმარე სასწავლო მასალები.

პედაგოგები ძირითადად იწონებენ არსებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს და აშკარა უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ არსებული წიგნების მიმართ. თუმცა, მიიჩნევენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები კიდევ საჭიროებს შინაარსობრივ

დახვეწასა და გაუმჯობესებას. ასევე აღინიშნა, რომ ზოგჯერ სკოლები (პედაგოგები) სახელმძღვანელოებისა და მეთოდური დამხმარე მასალების ნაკლებობასაც განიცდიან. პედაგოგთა ის ნაწილი, რომელიც ე.წ. მასწავლებლის წიგნს იყენებს, კმაყოფილია არსებული მეთოდური სახელმძღვანელოთი, აცხადებს რა, რომ მეთოდიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაკვეთილების ჩატარებაში. გამოკითხულ პედაგოგთა უდიდესი ნაწილი მზადყოფნას გამოთქვამს, გამოიყენოს ნებისმიერი მასალა, რასაც მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რესურს-ცენტრები ან არასამთავრობო ორგანიზაციები მიაწვდიან.

თვისობრივ კვლევაში გამოკითხულ რესპონდენტთა თითოეული კატეგორია პედაგოგების ჩათვლით აუცილებლად მიიჩნევს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადებას. რესპონდენტთა აზრით, ამ შემთხვევაში კარგი ეფექტი ექნება შედარებით გრძელვადიან მოსამზადებელ კურსებს. რესპონდენტთა აზრით, პედაგოგები გადამზადებას არა მხოლოდ თემატურ, საგნით მოცულ საკითხებში საჭიროებენ, არამედ სწავლების თანამედროვე და ინტერაქტიულ მეთოდიკაშიც. გამოკითხული პედაგოგები მზადყოფნას აცხადებენ, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში.

გამოკითხულ მოსწავლეთა 64.6 პროცენტი აცხადებს, რომ პრაქტიკულად გამოუყენებია სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა. თუმცა, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საილუსტრაციოდ მოსწავლეთა მიერ მოყვანილი მაგალითები, როგორც წესი, ძალზე ზოგადი ხასიათისაა და, შესაბამისად, არ ასახავას რაიმე კონკრეტულ სამოქალაქო აქტივობას, ან არსებითად სხვა ხასიათის აქტივობის მაგალითს წარმოადგენს. ამასთან, მოსწავლეთა მხოლოდ 29.2 პროცენტი აცხადებს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს აპოლიტიკური ხასიათის სამოქალაქო აქტივობებში, მაშინ, როდესაც რესპონდენტთა 52.3 პროცენტს ამგვარ აქტივობებში მონაწილეობის სურვილი არ გააჩნია.

როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობა და სიხშირე არ არის მაღალი. გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო იძლევა სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობას. 44.6 პროცენტის აზრით კი, ეს მეტ-ნაკლებად არის შესაძლებელი სკოლის ფარგლებში. ამის შესაძლებლობას გამორიცხავს რესპონდენტთა 12.5 პროცენტი.

სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მეტნაკლებად არის შესაძლებელი მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების

გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა. თვისობრივ კვლევაში გამოკითხულ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობაზე რიგი სოციო-პოლიტიკური ფაქტორები ახდენს ზეგავლენას, ამდენად, მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა სრულად სკოლის დამთავრებისა და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ გამოიყენონ. საგულისხმოა, რომ თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ხშირად ცოდნის რეალიზების შესაძლებლობას ისევ მოსწავლესა და პედაგოგს/სკოლის დირექციას შორის ურთიერთობებში ხედავენ: მოსწავლემ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნით უნდა შეძლოს „თავის დაცვა".

რაოდენობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას (86.5%) არ დაუგეგმავს საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო აქტივობები. გამოკითხულთა მხოლოდ 13.5 პროცენტმა უპასუხა დადებითად ამ კითხვას. იმ რესპონდენტებიდან, რომელთაც საკუთარი ინიციატივით დაუგეგმავთ სამოქალაქო აქტივობები, ნახევარი აცხადებს, რომ მათი აქტივობის მთავარი სამიზნე იყო სკოლა. დაახლოებით მესამედისთვის ეს იყო ადგილობრივი თვითმმართველობა. დაახლოებით თანაბარი პროცენტული წილისთვის ამგვარი ობიექტები იყო ხელისუფლების რეგიონული ორგანოები და ბიზნეს ორგანიზაციები.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა მიღებული აქვს გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ 28.8 პროცენტს. შესაბამისად, გამოკითხულთა 71.2 პროცენტი საპირისპიროს აცხადებს.

გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ მათ ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სწორედ ახალგაზრდათა და მოსწავლეთა მიმართ გამიზნული აქტივობების განხორციელება წარმოადგენს. ისინი ორგანიზებას უწევენ მოსწავლეთა გააქტიურებაზე მიზანმიმართულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და აქციებს და ცდილობენ აქტიური ახალგაზრდების დასაქმებასა და მოხალისის სტატუსით გარკვეულ აქტივობებში ჩართვას.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად ახორციელებენ ახალგაზრდების სამოქალაქო ინიციატივის წასახალისებელ ღონისძიებებს და სხვადახვა ფორმით უწყობენ ხელს ახალგაზრდებს მათი ინტერესების დაკმაყოფილებაში, მათ შორის სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების ორგანიზებით, გამწვანებასთან და დასუფთავებასთან დაკავშირებული ინიციატივებით, ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენების ორგანიზებით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ტრენინგების ჩატარებით. ადგილობრივი თვითმმართველობები მოსწავლეთა სტი-

მულირებისათვის არცთუ იშვიათად მიმართავენ კონკურსებს და ცდილობენ მოსწავლეთა მხრიდან წამოსული ინიციატივები რაიმე ფორმით ასახონ შესაბამისი მუნიციპალიტეტის პროგრამებსა და ბიუჯეტში.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა დიდი ნაწილი მზადყოფნას გამოთქვამს „შესაძლებლობის ფარგლებში" დაეხმაროს მოსწავლეებს სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებაში, ამასთან, კონკრეტული მოსაზრებები ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ვერ წარმოადგინეს, თუ რა ფორმით შეიძლება გამოიხატოს ეს დახმარება. ამასთან, პედაგოგთა ნაწილი ხაზს უსვამს სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებისათვის შეუსაბამო გარემოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლობას (რაც ართულებს პედაგოგების ჩართვას მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობებში), ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ სახის ინიციატივებში კლასის დამრიგებლის დახმარება უფრო ეფექტიანი იქნება. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა მოტივაციის დონე, მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა სამოქალაქო ატივობებში ან დაეხმარონ მათ ამგვარი ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში, არ არის მაღალი.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს სხვადასხვა ფორმით წარმოუდგენიათ მოსწავლეებისათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სკოლებსა და მოსწავლეებთან თანამშრომლობას უმეტესწილად მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელებაში ხედავენ. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარებულ თითქმის ყველა შეხვედრაზე გამოითქვა მზადყოფნა, რომ მოსწავლეებს დაუთმონ მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები, რათა მოსწავლეებმა შეძლონ კვალიფიციური პროექტებისა და პროგრამების შედგენა და მათი განხორციელება. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ მოსწავლეები უფრო საფუძვლიანად გაერკვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციებსა და მათ უფლება-მოვალეობებში და დაინტერესდნენ ამ ორგანოებთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა ასევე გამოთქვეს მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ აპოლიტიკური ხასიათის შეხვედრებსა და ტრენინგებში, სადაც განიხილავენ ამ და მოსწავლეთათვის საინტერესო სხვა საკითხებს.

თავი III

კვლევის მეთოდოლოგია

3.1 რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი და მეთოდოლოგია

საქართველოს შეფასების ასოციაციის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) კითხვარის შემუშავება და დიზაინი

მოსწავლეთა დამოკიდებულებებისა და შეფასებების გამოსავლენად შემუშავდა ორნაწილიანი კითხვარი (ანკეტა). კითხვარის პირველი ბლოკი საშუალებას გვაძლევდა შეგვესწავლა სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესის გამართულობა და ზოგადად ამ საგნის საჭიროება მოსწავლეთა თვალთახედვით, ხოლო მეორე ბლოკი შესაძლებლობას გვაძლევდა მოსწავლეებს შეეფასებინათ საკუთარი სამოქალაქო აქტივობა ან მზაობა ამგვარი აქტივობისათვის. კითხვარი დემოგრაფიული ბლოკის გარდა, მოიცავს 22 შეკითხვას თავისი ქვეკითხვებით. კითხვები ძირითადად დახურულია, პასუხების უმრავლესობა ლაიკერტის ტიპის ოთხ ან ხუთ პუნქტიან სკალებს წარმოადგენს.

ბ) სამიზნე ჯგუფის მოცულობის დადგენა და კვლევის ადგილის შერჩევა

გამოკითხვის შერჩევა მოიცავს დედაქალაქისა და საქართველოს 9 რეგიონის 51 სკოლის მეათე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეთა ნაწილს. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა დასახლებული პუნქტების ტიპების მიხედვით: ქალაქი, დაბა, სოფელი. ასევე თითოეულ სკოლაში გამოიკითხნენ 2-2 კლასის მოსწავლეები, თითო კლასიდან დაახლოებით 16-18 მოსწავლე. თითოეულ სკოლაში გამოსაკითხი კლასები დაჯგუფდა შემდეგი პრინციპით: 10 და 11 კლასი, ან 10 და 12 კლასი, ან 11 და 12 კლასი. შერჩევა მოიცავს 1633 რესპონდენტს.

გ) გამოკითხვა (მასალის შეგროვება)

კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა 2010 წლის სექტემბერში, ხოლო საველე სამუშაოები ჩატარდა 2010 წლის 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. 2010 წლის 23 ოქტომბერს შემუშავდა კვლევის ანაგარიშის პირველი ვარიანტი, რომელიც

შემდგომ კიდევ უფრო დაიხვეწა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების, კომენტარებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით.

დ) მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

ემპირიული მასალის დამუშავება მოიცავდა მონაცემთა ბაზის ფორმირებას, მონაცემთა შეყვანას, გაწმენდას, კორექტირებასა და სტატისტიკურ ანალიზს, რაც სტატისტიკური პროგრამა - SPSS-ის მეშვეობით განხორციელდა. ძირითადად გამოყენებულია აღწერითი სტატისტიკის ოპერაციები, მათ შორის კროსტაბულაცია 95%-იანი სანდოობით.

ე) კვლევის დემოგრაფია

სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლების 1633 მოსწავლე. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 51 სკოლის მეათე (31.6%), მეთერთმეტე (35.6%) და მეთორმეტე (32.8%) კლასის 14-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებთან. მათგან 41% იყო ვაჟები, ხოლო 59% - გოგონები. რესპონდენტთა აღნიშნული რაოდენობა სავსებით აკმაყოფილებს რეპრეზენტატულობის მოთხოვნებს (როგორც ცნობილია, 1500-კაციანი შერჩევა სწორი რანდომიზაციის პირობებში მხოლოდ 3%-იან ცდომილებას გვაძლევს).

ცალკეული რეგიონებისთვის შერჩევის საჭირო მინიმალური რაოდენობა 61-64 რესპონდენტით შეიძლებოდა შემოფარგლულიყო, მაგრამ ვინაიდან კვლევა მრავალგანზომილებიანი იყო, შესაბამისად შერჩევის მაქსიმალური მოცულობის დასადგენად ვიხელმძღვანელეთ სოციოლოგიურ პრაქტიკაში მიღებული სტანდარტებით. შერჩევა განაწილდა 9 რეგიონსა და თბილისზე მოსწავლეთა რაოდენობის პროპორციულად. მაგალითად, უახლესი ოფიციალური მონაცემებით (NAEC), მე-7 - მე-12 კლასის მოსწავლეთა რაოდენობა შედარებით მეტია თბილისში (86605); იმერეთში (47410), ქვემო ქართლსა (35885) და სამეგრელოში (28885); ხოლო შედარებით მცირეა სამცხე-ჯავახეთსა (14928) და მცხეთა-მთიანეთში (8061). აღნიშნულიდან გამომდინარე, შერჩევის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

რესპონდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით

	რაოდენობა	%
თბილისი	168	10.3
აჭარა	134	8.2
გურია	139	8.5
იმერეთი	293	17.9

კახეთი	127	7.8
მცხეთა-მთიანეთი	110	6.7
ქვემო ქართლი	180	11.0
სამცხე-ჯავახეთი	73	4.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	283	17.3
შიდა ქართლი	126	7.7
სულ საქართველოში	1633	100.0

მიღებული მონაცემები გაანალიზდა, როგორც მთლიანად საქართველოს მასშტაბით, ისე გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით გამოყოფილი სტრატების მიხედვით. კერძოდ, ასეთი კრიტერიუმები იყო მოსწავლეთა სქესი, კლასი, რომელშიც სწავლობენ და მათი საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი). გარდა ამისა, ვეცადეთ მონაცემთა ანალიზი მოგვეხდინა შემდეგი 4 სტრატის ჭრილში:

1. თბილისი;
2. დიდი ქალაქი (30 000 და მეტი მოსახლით);
3. მცირე ქალაქი (30 000-ზე ნაკლები მოსახლით);
4. სხვა დასახლებული პუნქტები (სოფლები და დაბები);

ეს საშუალებას მოგვცემდა გამოგვევლინა მცირე და დიდი ქალაქების, აგრეთვე სოფლებისა და დაბების სკოლებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები. თუმცა, რეგიონების, კლასებისა და სქესის ფაქტორებისგან განსხვავებით, ეს კრიტერიუმი ნაკლებად მგრძნობიარე აღმოჩნდა მონაცემებს შორის რაიმე განსხვავებების დასადგენად. ხოლო ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა (რეგიონი, სქესი, კლასი) და ამ სტრატების (დიდი ქალაქი, მცირე ქალაქი, სოფელი, დაბა) ერთდროულად გათვალისწინება მონაცემთა განხილვისას სრულიად არაკორექტული იქნებოდა რესპონდენტთა რაოდენობისა და შესასწავლი საკითხების/ცვლადების რაოდენობიდან გამომდინარე. აღნიშნული პარამეტრის მიხედვით მონაცემთა განხილვამ მხოლოდ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით მოგვცა სანდო განსხვავებების გამოვლენის საშუალება, რაც ასახულია ანგარიშში. სხვა დანარჩენ შემთხვევაში გამოვლენილი სურათი ემთხვეოდა მთლიანი შერჩევის მიმართ დადგენილ ტენდენციებს და ამდენად მათი განხილვა აზრს მოკლებული იყო.

აქვე დავუმატებთ, რომ ანგარიშში განხილულია ამა თუ იმ კრიტერიუმით გამოყოფილი ჯგუფების მონაცემთა შორის სხვაობის მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც აკმაყოფილებს სანდოობის მოთხოვნებს (და შესაბამისად, შესაძლებელია მათი განზოგადება მთელ პოპულაციაზე). მონაცემთა სანდოობა შემოწმებულია Chi-Square და Symmetric Measures (Gamma მაჩვენებლით) ტესტებით.

3) რაოდენობრივი კვლევის შეზღუდვები

იმის ფონზე, რომ კვლევა ლოჯისტიკის თვალსაზრისით კარგად იყო ორგანიზებული (სკოლების შერჩევის რეპრეზენტატულობა, გამოკითხვის პროცესის ყოველგვარი შეფერხებების გარეშე მიმდინარეობა), კვლევის ჩატარებას რამდენიმე შეზღუდვა ახლდა თან:

- გამოკითხვის ჩატარების ფორმა. ამ ასაკის რესპონდენტებთან გაცილებით უკეთესი იქნებოდა პირისპირ ინტერვიუების ჩატარება, ან, სახსრების ეკონომიის მიზნით, თუნდაც უფრო მცირე ჯგუფებთან, რაც მათ გადალაპარაკებას, კომენტარებსა და შენიშვნებს (რაც არასასურველი ზეგავლენის ერთ-ერთი ფაქტორია) მნიშვნელოვნად შეამცირებდა;
- გამოკითხვის დროს ზოგიერთ შემთხვევაში პედაგოგის ან სკოლის დირექტორის ოთახში ყოფნა, რაც ასევე გარკვეული ზემოქმედების მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება;

ზემოთქმულის მიუხედავად, ცხადია, რომ კვლევის შედეგად მიღებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია სამოქალაქო განათლების სასკოლო საგნისა და მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინება აუცილებელია ამ მიმართულებით დაგეგმილი ნებისმიერი აქტივობისა თუ პროექტის რეალიზებისას.

3.2 თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია

ა) თვისობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფები

თვისობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფებად შეირჩა რესპონდენტთა ოთხი კატეგორია, კერძოდ, (1) სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგები, (2) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, (3) ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, (4) მოსწავლეთა მშობლები. ცხადია, თვისობრივი კვლევისათვის რესპონდენტთა ამ კატეგორიების შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ოთხივე კატეგორია პროგრამის უშუალო დაინტერესებული მხარეა: რესპონდენტთა ნაწილი უშუალოდ იღებს მონაწილეობას სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების პროცესში (პედაგოგები) ან დაინტერესებულნი არიან სასწავლო პროცესით (მშობლები), ან რესპონდენტებს მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ შეასრულონ მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობის გაზრდაში და მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებაში (არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი თვითმმართველობები).

თვისობრივი კვლევა თითოეული კატეგორიის რესპონდენტების მონაწილეობით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით განხორციელდა.

ბ) თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება

თითოეული კატეგორიის რესპონდენტებთან გასამართი დისკუსიებისათვის 2010 წლის სექტემბერში შემუშავდა შესაბამისი ფოკუს-ჯგუფის კითხვარი და მოდერატორის სახელმძღვანელო. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისა და მოსწავლეთა მშობლების ფოკუს-ჯგუფებისათვის შედგენილი ინსტრუმენტარები 7-8 კითხვისაგან შედგება. შედარებით ვრცელია სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგთა ფოკუს-ჯგუფების კითხვარი. ამასთან, ფოკუს-ჯგუფების ჩატარების ფორმატი გათვლილი იყო იმაზე, რომ შეხვედრა 1.5 საათზე მეტი არ გაგრძელებულიყო, რათა მონაწილეებს შეენარჩუნებინათ ინტერესი დისკუსიისადმი და მაქსიმალურად ღიად გამოეთქვათ თავისი აზრი განსახილველი საკითხების მიმართ. ფოკუს ჯგუფების ფასილიტაცია უზრუნველყვეს მოდერატორებმა, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი და მომზადება.

გ) გამოკითხვა

თვისობრივი კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 2010 წლის 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

თვისობრივი კვლევა თითოეული კატეგორიის რესპონდენტების მონაწილეობით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით განხორციელდა. სულ ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 33 ფოკუს ჯგუფი. (ამათგან, 11 - პედაგოგების, 9 - არასამთავრობო ორგანიზაციების, 10 - ადგილობრივი თვითმმართველობების, 6 - მშობლების). თითოეულ რეგიონში (რეგიონულ ცენტრში) ჩატარდა თითო ფოკუს-ჯგუფი ყველა კატეგორიის რესპონდენტებთან (იმერეთში ჩატარდა პედაგოგთა ორი ფოკუს-ჯგუფი). ამასთან, მხოლოდ 5 რეგიონში ჩატარდა მშობელთა ფოკუს ჯგუფი (იმერეთში ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი, რადგან იმერეთის სკოლების ნაწილი, რომელიც მონაწილებას არ მიიღებს პროგრამის განხორციელებაში, შერჩეულია კვლევის საკონტროლო ჯგუფებში). აქვე აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ შესაბამისი ქალაქისა თუ რაიონის სკოლების პედაგოგები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ ისინიც, რომლებიც იმავე რეგიონის სხვა რაიონებში, სოფლებსა თუ დაბებში ასწავლიან სამოქალაქო განათლებას ან ფუნქციონირებენ. სულ ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 272 ადამიანმა. ამათგან, პედაგოგთა ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა საერთო რაოდენობაა - 86, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ფოკუს-ჯგუფებში - 51, არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს-ჯგუფებში - 79, მოსწავლეთა მშობლების ფოკუს-ჯგუფებში - 56.

დ) მიღებული მასალების ანალიზი და ანგარიშის მომზადება

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, თითოეულმა მოდერატორმა მოამზადა ფოკუს-ჯგუფებში გამართული დისკუსიის ტრანსკრიპტები, რომლებიც

მიეწოდა თვისობრივი კვლევის კოორდინატორს. მასალების ანალიზის შედეგად 2010 წლის 25 ოქტომბერს შემუშავდა თვისობრივი კვლევის ანგარიშის პირველი ვარიანტი, რომელიც შემდგომ კიდევ უფრო დაიხვეწა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების, კომენტარებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით.

ე) თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვები

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ მეთოდოლოგიურ შეზღუდვას, რაც თვისობრივი კვლევის ჩატარებასა და შესაბამისი ანგარიშის შედგენას ახლავს თან. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია გამორიცხავს რაოდენობრივი ან პროცენტული მონაცემების წარმოდგენას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, თვისობრივი კვლევა სტრუქტურირებული ჯგუფური ინტერვიუების მეშვეობით ჩატარდა. მოდერატორები ფოკუს-ჯგუფების წევრებს უსვამდნენ შესაბამისი ჯგუფისათვის შემუშავებული კითხვარებით გათვალისწინებულ კითხვებს და შეძლებისდაგვარად, ყველა რესპონდენტს აძლევდნენ შესაძლებლობას, გამოეთქვათ თავისი მოსაზრება. კვლევის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს „კენჭისყრის“ ჩატარებას და იმ ადამიანთა რაოდენობის დათვლას, რომლებიც ამა თუ იმ საკითხზე გამოთქვამენ განსხვავებულ მოსაზრებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოდერატორები დაითვლიდნენ რაოდენობრივ მონაცემებს, ამ მონაცემებს არავითარი სტატისტიკური სანდოობა არ ექნება, რადგან კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რაოდენობა არ იძლევა საშუალებას, მიღებული შედეგები მთელს პოპულაციაზე განვაზოგადოთ.

თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია განკუთვნილია იმისათვის, რომ შევისწავლოთ შესაბამისი ტენდენციები, გამოვიკვლიოთ სამიზნე ჯგუფისა თუ რესპონდენტების მოსაზრებები, მოვისმინოთ მათი დასაბუთება და მოტივაცია, თუ რატომ ფიქრობენ ასე თუ ისე გამოსაკვლევ საკითხებთან დაკავშირებით. ანუ, მივიღოთ შინაარსობრივად ბევრად უფრო მდიდარი ინფორმაცია, ვიდრე ამის შესაძლებლობას რაოდენობრივი კვლევა იძლევა. მსგავსად რაოდენობრივი მონაცემების წარმოდგენისა, შეფასების ასოციაციის მიერ თვისობრივი კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული მეთოდოლოგია გამორიცხავს სხვადახვა ჭრილის (მაგალითად, სქესის, ასაკის, დასახლების ტიპის) მიხედვით მონაცემთა წარმოდგენასაც.

თავი IV

კვლევის ზოგადი დასკვნები

4.1 სამოქალაქო განათლების საგნის აუცილებლობა სკოლის სასწავლო პროგრამაში

ზოგადად, ყველა კატეგორიის რესპონდენტები თანხმდებიან იმაში, რომ სამოქალაქო განათლების საგნის არსებობა სკოლის სასწავლო პროგრამაში საჭიროა და აუცილებელიც კია შექმნილ სოციალურ და კულტურულ გარემოში. გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა (79,1%) დადებითად აფასებს სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების საჭიროებას, მათგან 50.1 პროცენტის აზრით, საგნის სწავლება აუცილებელია. ამასთან, შედარებით ნაკლები ენთუზიაზმი შეინიშნება ამ საკითხთან დაკავშირებით მეთორმეტე კლასის მოსწავლეებში.

ყველა კატეგორიის რესპონდენტთა აზრით, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირსეულ და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, რომლებსაც კარგად ექნებათ გაცნობიერებული საკუთარი უფლება-მოვალეობები საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. (თუმცა, მოსწავლეთა რაოდენობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მეთორმეტე კლასელთა შორის შედარებით ნაკლებია მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.) ამასთან, გამოკითხულ მშობელთა და პედაგოგთა ნაწილი სამოქალაქო განათლების საგანს ანიჭებს მოსწავლეთა პიროვნული აღზრდის ფუნქციასაც, მიიჩნევენ რა, რომ საგნის ფარგლებში მოსწავლეებს ეთიკური ქცევა და ზნეობა უნდა ასწავლონ და დაეხმარონ სწორი ცხოვრებისეული პრიორიტეტების განსაზღვრაში.

პედაგოგთა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თვითმმართველობების წარმომადგენელთა და მშობელთა შორის აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როდიდან უნდა დაიწყოს სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლება. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მე-9 კლასი შესაბამისი დროა ამ საგნის სასწავლო პროგრამაში შეტანისათვის, რადგან ამ დროს მოსწავლე გონებრივად არის მომზადებული საგნით მოცული საკითხების ასათვისებლად. ამასთან, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ

საგნის სწავლება სკოლებში ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს. მხოლოდ გამოკითხული მშობლების მცირე ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია მე-12 კლასის სასწავლო პროგრამიდან ამ საგნის ამოღება, რადგან მოსწავლეებს დამათავრებელ კლასში ისედაც ბევრი რამ აქვთ სასწავლი და ამ საგნის არსებობა კურიკულუმში ზედმეტად გადატვირთავს მათ.

საათობრივ ბადესთან დაკავშირებით სამოქალაქო განათლების პედაგოგთა მოსაზრებები გაიყო: ნაწილი მიჩნევს, რომ კვირაში გამოყოფილი ორი საათი სავსებით საკმარისია ამ საგნის სწავლებისათვის. პედაგოგთა მეორე ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სწავლების ხარისხის გაზრდისათვის სასურველი იქნებოდა უფრო მეტი დროის გამოყოფა, განსაკუთრებით იმ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისათვის, რასაც საგნის მეთოდიკა ითვალისწინებს.

სასკოლო გაკვეთილების ცხრილის შედგენას უმეტესწილად სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს და ამ პროცესში პედაგოგთა მონაწილეობის ხარისხი დიდი არ არის, თუმცა, დაინტერესების შემთხვევაში, პედაგოგს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო განათლების გაკვეთილების განრიგის განსაზღვრაში.

4.2 სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსწავლეების დიდი უმრავლესობის შეფასებით, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები განრიგის მიხედვით ტარდება. ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილი ამ ზოგადი სურათის ფონზე გარკვეული განსხვავებები იკვეთება სხვადასხვა რეგიონებისა და კლასების მონაცემებში. კერძოდ:

- სხვა რეგიონების რესპონდენტებთან შედარებით, კახეთისა და თბილისის მოსწავლეთა საგრძნობლად ნაკლები პროცენტი აცხადებს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის გაკვეთილები განრიგის მიხედვით არ ტარდება;
- მეათე კლასის მოსწავლეებისგან განსხვავებით, უფროს კლასებში (მე-11 და განსაკუთრებით მე-12) მატულობს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობით უკმაყოფილოთა პროცენტული წილი.

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებით კმაყოფილია გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი. ყურადსაღებია ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვლენილი შემდეგი ტენდენციები:

- კლასის მატებასთან ერთად იკლებს დადებითად განწყობილთა პროცენტული

წილი – თუ მეათე კლასში ამ საგნის სწავლებით კმაყოფილებას გამოხატავს გამოკითხულთა უმრავლესობა, მეთერთმეტეში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტსაც ვერ აღწევს, ხოლო მეთორმეტეში – თითქმის მესამედამდე ეცემა;

- რესპონდენტთა შეფასებები განსხვავდება საცხოვრებელი ადგილის (რეგიონის) მიხედვით – აჭარის, იმერეთისა და სამეგრელოს სკოლების მოსწავლეებთან შედარებით, ამ საგნის სწავლებით ნაკლებად კმაყოფილები არიან თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის სკოლების მოსწავლეები.

გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობის შეფასებით, სამოქალაქო განათლების საგანი მათთვის საინტერესოა. თუმცა ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირებული ტენდენცია – რაც უფრო მაღალ კლასში სწავლობენ მოსწავლეები, მით უფრო მცირდება დადებითად განწყობილთა პროცენტული წილი; ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა რესპონდენტთა საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი) – დასავლეთ საქართველოს რეგიონების რეპონდენტებთან (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო) შედარებით, თბილისის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის მოსწავლეთა ნაკლები პროცენტი მიიჩნევს საგანს საინტერესოდ.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯერ-ჯერობით ნაადრევია სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება, რადგან საგანი შედარებით ახალი შეტანილია სასკოლო კურიკულუმში და გასული დრო არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას[1].

ამასთან, რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილში იგრძნობა განწყობა, რომ ამ ეტაპზე სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა აზრით, სწავლების დაბალ დონეს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- პედაგოგთა არაკვალიფიციურობა: საქართველოში არ არიან სამოქალაქო განათლების სპეციალისტები და, ასევე, არ არსებობს ნათელი წარმოდგენა იმისა, თუ ვინ უნდა ასწავლოს ეს საგანი სკოლებში. პედაგოგებს არა აქვთ სათანადო ცოდნა იურიდიული და სოციალური მეცნიერებების კუთხით (მაგალითად, ფსიქოლოგიის).
- არასათანადო სასწავლო გარემო: სკოლებს არა აქვთ სათანადო მატერიალურ–ტექნიკური ბაზა სამოქალაქო განათლების საგნის ეფექტიანად სწავლებისათვის.

[1] სამოქალაქო განათლების, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილის, სავალდებულო სწავლება დაიწყო 2006-2007 სასწავლო წლიდან.

- პედაგოგებს არა აქვთ საკმარისი დამხმარე საშუალებები და სასწავლო მასალები სამოქალაქო განათლების საგნის ხარისხიანად სწავლებისთვის.
- არსებული სახელმძღვანელოები ყოველთვის ვერ პასუხობენ სწავლების ეფექტიანობის მხრივ არსებულ მოთხოვნებსა და მოლოდინებს (იგულისხმება ძირითადად მე-10 კლასის სახელმძღვანელოები).
- ზოგადად, დაბალია სამოქალაქო კულტურა და ცნობიერება, რაც სწავლების ხარისხსა და როგორც პედაგოგების, ასევე, მოსწავლეების მოტივაციაზე ახდენს ზეგავლენას.

რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი ეფექტიანად ისწავლება, ამასთან, რესპონდენტებმა ვერ წარმოადგინეს კონკრეტული არგუმენტები, რითაც დაასაბუთებდნენ სწავლების ეფექტიანობას და მხოლოდ ცალკეული მაგალითების წარმოდგენით შემოიფარგლნენ (მაგალითად, სკოლაში გარკვეული ღონისძიებების ჩატარების შესახებ, როგორიც არის იმიტირებული სასამართლო), ან ხაზი გაუსვეს იმ ხალისსა და მონდომებას, რითაც მოსწავლეები საგანს სწავლობენ.

სამოქალაქო განათლების შესახებ მეტნაკლებად ინფორმირებულ რესპონდენტებს შორის იგრძნობა ერთსულოვანი განწყობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსწავლეები და პედაგოგები სამოქალაქო განათლებას არ მიიჩნევენ სრულფასოვან საგნად. ამგვარ განწყობას ძირითადად განაპირობებს ის გარემოება, რომ საგნით მოცული საკითხები არ ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

4.3 სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები და საგნით მოცული საკითხები, სწავლების მეთოდიკა, სასკოლო გარემო საგნის სწავლებისათვის

როგორც მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, სამოქალაქო განათლების საგნით მოცული საკითხებს შორის მოსწავლეებს ყველაზე მეტად აინტერესებთ „ადამიანი და საზოგადოება", „პიროვნული განვითარება" და „მოქალაქეობა". ყველაზე უინტერსო საკითხებში კი „მმართველობა", „ეკონომიკა", „მოქალაქე და სახელმწიფო" ლიდერობს. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას იწვევს მათთვის უფრო ახლობელი მიმართებები, როგორიცაა პიროვნების ადგილი სოციუმში, განსხვავებით უფრო გლობალური თემებისგან (ეკონომიკა, სახელმწიფო). გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს ერთ-ერთ ღია შეკითხვაზე მიღებული პასუხები – გამოკითხულთა აზრით, დამხმარე მასალებში, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს პიროვნულ განვითარებასა და ბავშვის კარგ მოქალაქედ ჩამოყალიბებაზე.

ნაკლებად მკაფიო პოზიცია გამოვლინდა მოსწავლეთა სასწავლო მასალით კმაყოფილების თვალსაზრისით – დადებითი და შუალედური შეფასებები დაახლოებით თანაბრად გადანაწილდა. მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილი და ის, თუ რომელ კლასში სწავლობენ ისინი, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა:

- მეათე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებთან შედარებით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა შორის ნაკლებია სასწავლო მასალებით კმაყოფილთა წილი;
- სასწავლო მასალებით ნაკლებად კმაყოფილთა წილი გაცილებით ნაკლებია თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის რესპონდენტებს შორის, ხოლო ყველაზე მეტია იმერეთის მკვიდრთა შორის; მოსწავლეების 50.2% მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის მასალები საჭიროებს გადახედვასა და განახლებას, ხოლო 24.2%-ის აზრით, მასალები გადახედვასა და განახლებას არ საჭიროებს.

წინა საკითხის ირგვლივ მიღებულ მონაცემებთან ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის ის სურათი, რაც გამოვლინდა სამოქალაქო განათლების საგნის სასწავლო მასალების გადახედვის საჭიროებასთან დაკავშირებით – გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი მიიჩნევს, რომ ეს მასალები საჭიროებს გადახედვასა და განახლებას; ამ შეფასებას არ ეთანხმება რესპონდენტთა მხოლოდ მეოთხედი. სწორედ აქ იკვეთება წინააღმდეგობა – გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი გამოხატავს აშკარა კმაყოფილებას არსებული სასწავლო მასალებით და ამავე დროს მათი მხოლოდ მეოთხედი მიიჩნევს, რომ ეს მასალები არ საჭიროებს განახლებასა და გადახედვას.

უნდა აღინიშნოს, რომ თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რეს-პონდენტთა დიდი ნაწილი, პედაგოგების გარდა არ იცნობენ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებს და შესაბამისად, არ იციან, თუ რა საკითხებს მოიცავს სამოქალაქო განათლების საგანი. ეს საკითხები რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის ცნობილი სწორედ ფოკუს ჯგუფების დროს გახდა. ამდენად, მათ გაუჭირდათ ცალსახა შეფასებების გაკეთება სახელმძღვანელოების ხარისხის შესახებ.

პედაგოგები ძირითადად იწონებენ არსებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს და აშკარა უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ არსებული წიგნების მიმართ, თუმცა, ერთი და იგივე კლასისთვის სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოები ზოგჯერ პედაგოგების დაბნევასაც იწვევს. ამასთან, ფოკუს-ჯგუფებში ისიც აღინიშნა, რომ ზოგჯერ სკოლები (პედაგოგები) სახელმძღვანელოების ნაკლებობასაც განიცდიან, შესაბამისად, ცალკეულ კლასში უწევთ წინა კლასის სახელმძღვანელოსა და გავლილი ტრენინგების მასალების გამოყენება, ან ინდივიდუალურად მასალების მოძიება, რათა მოსწავლეებამდე გასაგები ენით მიიტანონ სასწავლი საკითხები.

ასევე გვრჩება შთაბეჭდილება, რომ პედაგოგებისათვის ყოველთვის არ არის ცნობილი, თუ რა სახელმძღვანელოებია (ვისი ავტორობით ან რედაქციით) გამოცემული სამოქალაქო განათლების საგანში.

პედაგოგთა რამდენიმე ჯგუფში აღინიშნა, რომ ზოგიერთი სასკოლო სახელ-მძღვანელო რთული ენით არის დაწერილი და მოსწავლეებსა და პედაგოგებს უჭირთ საკითხების სწორად გაგება. პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ რომ მე-9 და მე-10 კლასის რამდენიმე სახელმძღვანელო ერთსა და იმავე საკითხებს მოიცავს, რაც მოსწავლეთა დაინტერესების თვალსაზრისით გარკვეულ პრო-ბლემებს ქმნის, რადგან პედაგოგს ორი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე საკითხზე უწევს საუბარი. პედაგოგებმა ასევე გამოთქვეს სურვილი, რომ სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში ცვლილებების შეტანასთან ერთად გაუმჯობესდეს სახელმძღვანელოების ხარისხიც, რათა მოსწავლეებმა უფრო ეფექტიანად შეძლონ მასალის ათვისება.

სწავლების მეთოდიკასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგთა ის ნაწილი, რომელიც ე.წ. „მასწავლებლის" წიგნს იყენებს კმაყოფილია არსებული მეთოდური სახელმძღვანელოთი, აცხადებს რა, რომ არსებული მეთოდიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაკვეთილების ჩატარებაში. ამასთან, ისიც ითქვა, რომ ერთი აკადემიური საათი ყოველთვის არ არის საკმარისი იმ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისათვის, რაც მეთოდიკაშია მოცემული. პედაგოგთა ინფორმაციით, მოსწავლეები ყველაზე მეტად ინტერაქტიული და გუნდური სავარჯიშოებით ინტერესდებიან. პედაგოგთა ნაწილისათვის ხელმისაწვდომი არ არის სამოქალაქო განათლების მეთოდური სახელმძღვანელოები.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა კატეგორიის რეს-პონდენტი თანხმდება იმაში, რომ საგნით მოცული ყველა საკითხი პრიორიტეტულია და მათი ამოღება მიზანშეწონილი არ არის. ამასთან, სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში ეკონომიკის სწავლება სასურველ შედეგებს არ იძლევა, რადგან სახელმძღვანელოები რთული ენით არის დაწერილი და ეკონომიკური ნაწილის სწორად გაგება პედაგოგებსაც უჭირთ, რომლებსაც საკითხის სათანადო ცოდნა არ გააჩნიათ. შესაბამისად, ცოდნას ვერც მოსწავლეებს გადასცემენ ეფექტიანად. ამ მხრივ, თვისობრივი კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები თანხვედრაშია მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის შედეგებთან, რომლებმაც გვიჩვენა, რომ ეკონომიკა მოსწავლეთათვისაც ერთ-ერთ ყველაზე უინტერესო საკითხად მიიჩნევა.

მოსწავლეთა და რესპონდენტთა სხვადასხვა კატეგორიის აზრი ასევე სრულ თანხვედრაშია სამოქალაქო განათლების საგნით მოცულ პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა მსგავსად თვისობრივ კვლევაში მო-ნაწილე სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტებიც მიიჩნევენ, რომ ადამიანი და

საზოგადოება, პიროვნული განვითარება და მოქალაქეობა ყველაზე საინტერესო საკითხებია. კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ ადამიანის უფლებათა სწავლება სკოლაში რესპონდენტთათვის ყველაზე პრიორიტეტული საკითხია. თუმცა, ფოკუს-ჯგუფებში ასევე გაესვა ხაზი უფლებების საპირწონე ვალდებულებებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილების აუცილებლობასაც, რამაც მოსწავლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გააძლიეროს.

არასამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და მშობლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ საგანს სხვა საკითხებიც დაემატოს (მაგალითად, პირველადი სამედიცინო დახმარება, ადგილობრივი ქალაქისა თუ რაიონის ისტორია, ხელოვნება, კულტურა), რაც შეიძლება არც ჯდებოდეს სამოქალაქო განათლების საგნის სპეციფიკაში, თუმცა ეს ახსნადია იმ გარემოებით, რომ რესპონდენტები კარგად არ იცნობენ სამოქალაქო განათლების საგანს და ცდილობენ მათთვის საინტერესო საკითხები ამ საგნის ფარგლებში მოაქციონ.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე ყველა კატეგორიის რესპონდენტებმა ხაზი გასუვეს სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში რელიგიის, ზნეობისა და ეთიკის სწავლების აუცილებლობასაც. თუმცა, რესპონდენტებს ბოლომდე არა აქვთ გააზრებული, რა შეიძლება იგულისხმებოდეს რელიგიის სწავლებაში. არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო კონკრეტულები არიან და რელიგიური შემწყნარებლობის სწავლებაზე ამახვილებენ ყურადღებას. რესპონდენტთა სხვა კატეგორიები, უმეტესწილად, რელიგიას აიგივებენ ზნეობასთან და ეთიკურ ნორმებთან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშობელთა და პედაგოგთა ნაწილის აზრით, რელიგიის შეტანა ამ საგნის ფარგლებში საფრთხილოა და შესაბამის განსჯას მოითხოვს.

არაერთგვაროვანი შეფასებები მივიღეთ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებისათვის სასკოლო პირობების შეფასებაში. რესპონდენტთა აზრით, საქართველოს სკოლების მხოლოდ ნაწილს გააჩნია საგნის სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პედაგოგების დიდმა ნაწილმა ხაზი გაუსვა, რომ საგნის სწავლებისათვის სათანადო პირობები არ გააჩნიათ, რაშიც მოიაზრებენ პროექტორის, ვიდეო-აუდიო აპარატურის, სასკოლო ინვენტარის არ ქონას.

4.4 პედაგოგთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, დამხმარე მასალები

ამ საკითხზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი მხოლოდ თვისობრივი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ. გამოკითხულ რესპონდენტთა

თითოეული კატეგორია პედაგოგების ჩათვლით აუცილებლად მიიჩნევს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადებას, მიიჩნევენ, რა რომ დღეს ამ საგნის ეფექტიანად სწავლების დამაბრკოლებელი ერთ-ერთი მთავარი გარემოება სწორედ პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაციაა: ამ საგანის სპეციალისტები ჯერ-ჯერობით არ არიან სკოლებში და გაკვეთილების ჩატარება ძირითადად ისტორიის პედაგოგებს უწევთ. ამასთან, რესპონდენტთა აზრით, ამ შემთხვევაში კარგი ეფექტი ექნება შედარებით გრძელვადიან მოსამზადებელ კურსებს, რადგან საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ერთი ან ორდღიანი ტრენინგები არ იყოს საკმარისი.

საგულისხმოა ისიც, რომ რესპონდენტთა აზრით, პედაგოგები გადამზადებას არა მხოლოდ თემატურ, საგნით მოცულ საკითხებში საჭიროებენ, არამედ სწავლების თანამედროვე და ინტერაქტიულ მეთოდიკაშიც. ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა საგნით მოცული ის საკითხები, რაშიც სასურველი ან აუცილებელია პედაგოგთა გადამზადება:

- სამართლებრივი საკითხები
- ადამიანის უფლებები
- ეკონომიკა
- მმართველობა

სწავლების მეთოდიკასთან დაკავშირებით ასევე გამოითქვა სურვილი, რომ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პედაგოგებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ინტერაქტიული სწავლების ტრენინგ-კურსები. ასევე აღინიშნა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებისათვის პედაგოგთა ფსიქოლოგიური მომზადების აუცილებლობაც, რადგან პედაგოგებს ისეთ საკითხებზე უწევთ მოსწავლეებთან საუბარი, რასაც სხვა საგნის გაკვეთილებზე, როგორც წესი, არ განიხილავენ.

გამოკითხული პედაგოგები, თავის მხრივ, მზადყოფნას აცხადებენ, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში. მათი ნაწილი აქამდეც აქტიურად იყენებს ამ მიმართულებით არსებულ შესაძლებლობებს (ნაწილი კი, არასოდეს დასწრებია ამდაგვარ ღონისძიებებს). უფრო მეტიც, პედაგოგს ხშირად თავად უწევს მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ინტერნეტით ან სხვა საშუალებებით ცდილობს საინტერესო მასალების მოძიებას, რაც მას გაკვეთილების ჩატარებასა და მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებაში დაეხმარება.

გამოკითხულ პედაგოგთა უდიდესი ნაწილი დამხმარე სასწავლო მასალების ნაკლებობას უჩივის და მზადყოფნას გამოთქვამს, გამოიყენოს ნებისმიერი მასალა, რასაც მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რესურს-ცენტრები ან არასამთავრობო ორგანიზაციები მიაწვდიან.

ამასთან, გამოკითხულ მოსწავლეთა თითქმის ნახევარი არ მიიჩნევს საჭიროდ დამხმარე სასწავლო მასალებით მათ უზრუნველყოფას და მხოლოდ მესამედი ავლენს დადებით დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. მოსწავლეთა ამ მცირე ნაწილის შეფასებით, კარგი იქნებოდა სასწავლო მასალების გამდიდრება უფრო თანამედროვე ტიპის მასალებით, რაც გულისხმობს ვიდეოტექნიკისა და ინტერნეტის გამოყენებას, აგრეთვე ინტერაქტიული მეთოდებით სწავლებას.

4.5 მოსწავლეთა სამოქალაქო მზაობის შეფასება და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების გარემო პირობები

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა კატეგორიის რეს-პონდენტები თანხმდებიან იმაში, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილის მხრიდან შეინიშნება საკმაოდ დიდი ინიციატივიანობა. მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივად რეაგირებს მათთვის გაჩენილ შესაძლებლობებზე. ამასთან, ისიც ითქვა, რომ მოსწავლეთა ნაწილი ძალზე პასიურია და „არაფერი აინტერესებს“.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში მიღებულ ამ შეფასებებს კიდევ უფრო ამყარებს მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის შედეგები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ აპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივობაში ჩართვის მსურველთა წილი გამოკითხულთა მესამედსაც ვერ აღწევს, ამასთან აღსანიშნავია უარყოფითი პასუხების სიჭარბე, რესპონდენტთა ნახევარზე მეტს ეს არ სურს. მსხვილ ჭრილში მონაცემთა შედარებამ გვიჩვენა, რომ თბილისელებთან და სხვა სტრატების წარმომადგენლებთან შედარებით, დიდი ქალაქების მოსწავლებთან ოდნავ ნაკლებია უარყოფითი პასუხების წილი და, შესაბამისად, მეტია ამგვარ აქტივობაში ჩართვის მსურველთა წილი. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ზოგადად დომინირებს უარყოფითი განწყობები.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა აზრით, მოსწავლეთა აქტიური ნაწილი ინტერესით ეკიდება ყველანაირ შესაძლებლობას, ღონისძიების თემატიკის მიუხედავად. ამასთან მათთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ არის ღონისძიებების ინიციატორი – სკოლა, ადგილობრივი თვითმმართველობა თუ არასამთავრობო ორგანიზაცია. იგივე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა ნაწილის მაღალი მზაობის გამო, გარემო პირობები შეიძლება არც იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის, მოსწავლეთა სამოქალაქო ინიციატივების წარმატებით განხორციელებისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ნაწილი სკოლებთან ურთიერთობების გამოცდილებიდან გამომდინარე, საკმაოდ სკეპტიკურად არის განწყობილი სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების მიმართ მოსწავლეთა

მზაობისა და მოტივირებულობის შეფასებაში და პრობლემას არა მხოლოდ მოსწავლეთა არასათანადო მოტივირებულობაში ხედავენ. რესპონდენტების აზრით, სკოლამ უფრო მეტი უნდა გააკეთოს მოსწავლეთა სამოქალაქო ინიციატივიანობის გაზრდისათვის, რადგან ხშირად სკოლები ეფექტიანად არ იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რასაც მათ ადგილობრივი თვითმმართველობები სთავაზობს ცალკეული პროგრამების სახით. რესპონდენტებმა ასევე აღინიშნეს, რომ რთული სოციალური და ეკონომიკური გარემო, ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემები დამთრგუნველად მოქმედებს მოსწავლესა და მის სამოქალაქო მოტივირებულობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვს გააჩნია შესაბამისი ცოდნა და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების მზაობა.

ფოკუს ჯგუფებში გამართული დისკუსიების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეები საკუთარი ინიციატივით საკმაოდ იშვიათად თუ იჩენენ სამოქალაქო აქტივობას. ამასთან, მოსწავლეთა ნაწილი ხალისით იღებს მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სკოლების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის აქციებში.

4.6 მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაში გამოყენება

როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობა და სიხშირე არ არის მაღალი. გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ მეოთხედზე ოდნავ მეტი მიიჩნევს, რომ ამ საგნის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება თავად სკოლაშივეა შესაძლებელი. დაახლოებით იგივე შეფასება გამოიკვეთა სკოლაში გადაწყვეტილებათა მიღებისას მოსწავლეთა აზრის გათვალისწინების საკითხთან დაკავშირებითაც.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა სასწავლო დაწესებულებების ფარგლებში ფაქტობრივად არ გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის შესაბამისი გარემო ასე თუ ისე არსებობს. ამის მიზეზად რამდენიმე ძირითადი ფაქტორი დასახელდა, მათ შორის, სკოლების პერსონალის ძველი, „საბჭოური“ მენტალიტეტი და მოსწავლეთათვის მათი უფლებების განსახორციელებელი სივრცის შეზღუდვა პირდაპირი თუ ირიბი ფორმებით. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია, მოსწავლეებს არ უკრძალავენ საკუთარი უფლებების განხორციელებას, თუმცა, სათანადოდ ვერ უწყობენ ხელს მათ გააქტიურებას.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე ყველა კატეგორიის რესპონდენტები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ სკოლაში არსებული თვითმმართველობის ორგანოები მხოლოდ ფორმალურად თუ არსებობს. ამ ინსტიტუტების შექმნამ თავდაპირველად გარკვეული ინტერესი და მოსწავლეთა აქტიურობა გამოიწვია, თუმცა, შემდგომ ეს ორგანოები ფაქტობრივად ქაღალდზე დარჩა. რესპონდენტების აზრით, სკოლაში პროცესების წარმართვა ხშირად ისევ დირექტორის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რაც მოსწავლის მოტივაციაზეც ახდენს ზეგავლენას. ამასთან, რამდენიმე ფოკუს-ჯგუფში აღინიშნა, რომ თვითმმართველობა სკოლებში ახლა იდგამს ფეხს და შესაბამისად, ცოტა ადრეა ამ ორგანოების ეფექტიანობაზე საბოლოო დასკვნების გაკეთება.

ამის საპირისპიროდ, მოსწავლეთა შეფასებით სკოლის თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ასე თუ ისე ეფექტიანია და გარკვეულ შედეგებს იძლევა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მეთორმეტე კლასის მოსწავლეები ნაკლებად პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენენ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების ეფექტიანობის შეფასებისას.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს ცალკეულ შემთხვევებში მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების შედარებით დაშორება მოსწავლეებისაგან, ხაზი გაესვა რა იმ გარემოებას, რომ ამ ორგანოს წევრებს ხშირად არა აქვთ ეფექტიანი კომუნიკაცია მოსწავლეთა დანარჩენ ნაწილთან. მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების ეფექტიანობაზე ზეგავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ ამ ორგანოებში საკმაოდ დაბალია მე-12 კლასელთა მონაწილეობის ხარისხი, რადგან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი იშვიათად მიდის სკოლაში.

აღინიშნა ისიც, რომ საქართველოს სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის რეალიზების დამაბრკოლებელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი თავად მოსწავლეთა არასაკმარისი მოტივაციაა.

განსხვავებული შეფასებები მივიღეთ სკოლების დემოკრატიულობის ხარისხთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნაწილი, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო დემოკრატიულია და ამ მხრივ გატარებულმა რეფორმებმა გარკვეული შედეგები გამოიღო, რაც იგივე მოსწავლეთა თავისუფლების შედარებით მღალ ხარისხში ჰპოვებს ასახვას.

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით კი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საქართველოს სკოლების დემოკრატიულობის ხარისხი არ არის ადექვატური იმისათვის, რომ მოსწა-

ვლემ შეძლოს მიღებული ცოდნის ეფექტიანად გამოყენება ისევ სკოლის ფარგლებში. ამასთან, ჯგუფებში აღინიშნა, რომ ამ მხრივ არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც. კერძოდ, შესაძლოა გამოიყოს შედარებით პროგრესული სკოლები და მათი დირექტორები, ვინც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურობას და ორგანიზებასაც კი უწევს გარკვეულ ღონისძიებებს.

4.7 მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება და მოსწავლეთათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებაში

თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნა ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ თეორიული ცოდნის დონეზე რჩება და მოსწავლეები ვერ უზრუნველყოფენ მიღებული ცოდნის რეალიზებას პრაქტიკაში. რესპონდენტთა აზრით, ამას განაპირობებს ქვეყანაში არსებული შედარებით კონსერვატიული გარემო. მიუხედავად ამ მიმართულებით არსებული ნეგატიური ტენდენციებისა, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება მაინც სასარგებლო იქნება სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში, რადგან მოსწავლეებს ელემენტარულ სამოქალაქო უფლებებსა და პასუხისმგებლობებს მაინც გააცნობს.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი სურათი: გამოკითხულ მოსწავლეთა უმეტესობა აცხადებს, რომ მათ პრაქტიკულად განუხორციელებიათ სამოქალაქო აქტივობა. თუმცა, მათ შორის, ვინც დადებითად პასუხობს ამ შეკითხვაზე, გაცილებით ნაკლებია მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა წილი. ამავე დროს, ღია შეკითხვაზე მიღებული პასუხების[2] უმრავლესობა გამოირჩევა ერთგვაროვნებით და, ძირითადად, ზოგადი, თეორიული მსჯელობის ხასიათისაა. რესპონდენტების მიერ დასახელებული თითქმის ყველა მაგალითი შემოიფარგლება ახლობლებთან თუ მეგობრებთან საუბარში გამოთქმული მოსაზრებებით, რომლებიც ხშირად ამ საგნის ცალკეული საკითხების რეპროდუქციას წარმოადგენს, ზოგჯერ კი საერთოდ სხვა სფეროს ეხება. მიღებული სურათი საფუძველს გვაძლევს დავეჭვდეთ, რამდენად კარგად აქვს გააზრებული სამოქალაქო აქტივობის არსი გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობას.

[2] ღია კითხვა გულისხმობდა კონკრეტული აქტივობის დასახელებას, რომელიც მოსწავლეს განუხორციელებია სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენებით

როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, მოსწავლეებს შორის მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების სიხშირე ზოგადად არცთუ მაღალია, ამასთან, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მივიღეთ თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის რესპონდენტებთან და ზოგადად მეთორმეტე კლასის მოსწავლეებთან.

გამოკითხულ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა (მათივე შეფასებით) არ ამჟღავნებს ინიციატივას სამოქალაქო აქტივობის დაგეგმვასა თუ განხორციელებაში. ხოლო რესპონდენტთა ის მცირე ნაწილი, ვინც ამგვარ ინიციატივას იჩენს, თავისი აქტივობის სამიზნედ ისევ სკოლას ან თვითმმართველობას ასახელებს. სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან შედარებით ყველაზეა მცირეა თბილისელ მოსწავლეთა წილი, რომლებსაც ამგვარი ინიციატივა გამოუჩენიათ.

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, თვისობრივ კვლევაში მონაწილე რეს-პონდენტებიც ხშირად ცოდნის რეალიზების შესაძლებლობას ისევ მოსწავლესა და პედაგოგს/სკოლის დირექციას შორის ურთიერთობებში ხედავენ. მაგალითად, თუ პედაგოგი, დირექციის წარმომადგენელი ან მანდატური მოსწავლეს შეურაცხყოფას მიაყენებს, მოსწავლემ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნით უნდა შეძლოს „თავის დაცვა".

მოსწავლეთა მშობლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმო-მადგენელთა ნაწილის აზრით, სკოლის ასაკში მიღებული ცოდნის გამოყენება მაინცადამაინც არ არის სასურველი. ამ ეტაპზე ბავშვებმა მხოლოდ ცოდნა უნდა შეიძინონ და სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ, „დამოუკიდებელ ცხოვრებაში" შეძლებენ მიღებული ცოდნის რეალიზებას. ამასთან, ხაზი გაესვა იმასაც, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა ყოველთვის არ აძლევს შესაძლებლობას ბავშვებს, სკოლის ასაკშივე პრაქტიკაში გამოიყენონ გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა, მაგალითად, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია დამოკიდებულია მოსწავლის შესაბამის უნარებსა და შესაძლებლობებზე, რაც თითოეული ბავშვის შემთხვევაში ინდივიდუალურია და მისი ყველაზე განზოგადება არ შეიძლება. ასევე, ხაზი გაესვა იმასაც, რომ პედაგოგებმა არა მხოლოდ საგნით მოცული საკითხები უნდა ასწავლონ მოსწავლეებს, არამედ ნაწავლის პრაქტიკულ გამოყენებაზეც უნდა გაამახვილონ ყურადღება.

გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ მათ ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სწორედ ახალგაზრდათა და მოსწავლეთა მიმართ გამიზნული აქტივობების განხორციელება წარმოადგენს. ისინი ორგანიზებას უწევენ მოსწავლეთა გააქტიურებაზე მიზანმიმართულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და აქციებს და ცდილობენ აქტიური ახალგაზრდების დასაქმებასა და მოხალისის სტატუსით გარკვეულ აქტივობებში ჩართვას. ამასთან, ამ მხრივ არასამთვრობო

ორგანიზაციების უმთავრესი პრობლემა ფინანსების სიმცირეა, რაც მათ სკოლის მოსწავლეებთან მუშაობის შესაძლებლობებს უზღუდავს. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობებს მოსწავლეებთან ართულებს ის გარემოებაც, რომ ისინი სკოლის სივრცეში ვერ შედიან, თუ შესაბამისი ნებართვა არა აქვთ მიღებული განათლების სამინისტროსაგან.

საგულისხმოა, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა მეოთხედზე ოდნავ მეტი აცხადებს, რომ მონაწილეობა მიუღია არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საქმიანობაში. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში ამ საქმიანობის სამიზნე ისევ სკოლა და სკოლის თვითმმართველობა იყო. ძალზე მცირეა მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელებული აქტივობების წილი (განსაკუთრებით, თუ მთლიან შერჩევასთან მიმართებით განვიხილავთ), რომლებიც ხელისუფლების რეგიონალურ ორგანოებს ან ბიზნეს-ორგანიზაციებს უკავშირდება.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად ახორციელებენ ახალგაზრდების სამოქალაქო ინიციატივის წასახალისებელ ღონისძიებებს და სხვადახვა ფორმით უწყობენ ხელს ახალგაზრდებს მათი ინტერესების დაკმაყოფილებაში. კვლევისათვის საინტერესო საკითხებზე სკოლის მოსწავლეებთან თანამშრომლობის გამოცდილებაზე საუბრისას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა რამდენიმე ტიპის ღონისძიებას გაუსვეს ხაზი, რომელთა ნაწილი სკოლებისა და მოსწავლეების, ხოლო ნაწილი თავად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით იყო განხორციელებული. მოსწავლეთა ინტერესი, ითანამშრომლონ ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ხშირად სხვადასხვა მუნიციპალური, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით არის გამოწვეული. ამასთან, მოსწავლეთა ნაწილის აქტივობა მიზანმიმართულია იმაზე, რომ რაიმე ფორმით ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებების მიღებაზე ან მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესებში, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ახალგაზრდების გააქტიურებას ხელს უწყობენ სხვადახვა სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების ორგანიზებით, გამწვანებასთან და დასუფთავებასთან დაკავშირებული ინიციატივებით, ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენების ორგანიზებით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ტრენინგების ჩატარებით.

ადგილობრივი თვითმმართველობები მოსწავლეთა სტიმულირებისათვის არცთუ იშვიათად მიმართავენ კონკურსებს და ცდილობენ მოსწავლეთა მხრიდან წამოსული ინიციატივები რაიმე ფორმით ასახონ შესაბამისი მუნიციპალიტეტის პროგრამებსა და ბიუჯეტში. ამასთან, ამგვარ კონკურსებთან დაკავშირებით

ხშირად აღინიშნა, რომ სამწუხაროდ, მოსწავლეები და ახალგაზრდები ყოველთვის არ იჩენენ სათანადო ინიციატივას და არ იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობა მათ სთავაზობს. ამგვარი პასიურობის მიზეზი ყოველთვის არ არის მხოლოდ მოსწავლეთა მხრიდან სამოქალაქო აქტივობების განხორციელების მოტივაციის არარსებობა. ხშირად, მოსწავლეებს კონკრეტული იდეები და მოსაზრებები აქვთ, თუმცა, არ იციან, როგორ უნდა იმოქმედონ ამ იდეების რეალიზებისათვის, მაგალითად, როგორ უნდა შეადგინონ პროგრამა ან პროექტი და წარუდგინონ იგი ადგილობრივ თვითმმართველობას. ამდენად, რამდენიმე ფოკუს ჯგუფში ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სასარგებლო იქნება, თუ ბავშვებს პროგრამებისა და პროექტების შედგენასაც ასწავლიან, რაც მათ ურთიერთობებს მუნიციპალიტეტებთან უფრო პროდუქტიულს გახდის.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები ფინანსების სიმცირეს უჩივიან და ამბობენ, რომ უფრო მეტი და ეფექტიანი პროექტების განხორციელებაში ფინანსების ნაკლებობა უშლით ხელს.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა დიდი ნაწილი მზადყოფნას გამოთქვამს „შესაძლებლობის ფარგლებში" დაეხმაროს მოსწავლეებს სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებაში, ამასთან, კონკრეტული მოსაზრებები ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ვერ წარმოადგინეს, თუ რა ფორმით შეიძლება გამოიხატოს ეს დახმარება (ბავშვებისათვის რჩევა-დარიგებების მიცემას თუ არ ჩავთვლით). პედაგოგთა ნაწილს დახმარება მოსწავლეებისთვის პირადი მაგალითის მიცემით წარმოუდგენია. ამასთან, პედაგოგთა ნაწილი ხაზს უსვამს სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებისათვის შეუსაბამო გარემოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლობას (რაც ართულებს პედაგოგების ჩართვას მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობებში), ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ სახის ინიციატივებში კლასის დამრიგებლის დახმარება უფრო ეფექტიანი იქნება.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს სხვადასხვა ფორმით წარმოუდგენიათ მოსწავლეებისათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში. როგორც ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში აღინიშნა, რომ უმთავრესი, რაც მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა შეიძლება გააკეთონ მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერებისა და ინიციატივიანობის გაზრდისათვის, არის კარგი მაგალითის მიცემა, რაც თავის მხრივ, თვითონ თვითმმართველობებში დასაქმებული მოხელეების სათანადო მომზადებასაც მოითხოვს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლებთან თანამშრომლობა და მათთვის დახმარების გაწევა ისედაც შედის თვითმმართველობის მოვალეობებში, ამდენად ისინი ვალდებულნი არიან

შესაბამისი დახმარება გაუწიონ სკოლებს/მოსწავლეებს მომართვის შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები სკოლებსა და მოსწავლეებთან თანამშრომლობას მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექ-ტებისა თუ პროგრამების განხორციელებაში ხედავენ და საუბრობენ მოსწავლეთა ჩართულობაზე მიმდინარე დასუფთავების, სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოებში. ამასთან, საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარებულ თითქმის ყველა შეხვედრაზე გამოითქვა მზადყოფნა, რომ მოსწავლეებს დაუთმონ მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები,რათაბავშვებმაშეძლონკვალიფიციურიპროექტებისადაპროგრამების შედგენა და მათი განხორციელება (ამასთან, ეს პროექტები, შეიძლება, საერთოდ არ იყოს დაკავშირებული ინფრასტრუქტურულ ინიციატივებთან). უფრო მეტიც, იმისათვის, რომ მოსწავლეები უფრო საფუძვლიანად გაერკვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციებსა და მათ უფლება-მოვალეობებში და დაინტერესდნენ ამ ორგანოებთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა ასევე გამოთქვეს მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ აპო-ლიტიკური ხასიათის შეხვედრებსა და ტრენინგებში, სადაც განიხილავენ ამ და მოსწავლეთათვის საინტერესო სხვა საკითხებს.

თავი V

ანალიზი

5.1 სამოქალაქო განათლების საგანი საქართველოს სკოლებში

ა) საგნის სწავლების აუცილებლობა და მოსწავლეთა ინტერესის შეფასება

როგორც რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსწავლეები, ასევე თვისობრივ კვლევაში მონაწილე ყველა კატეგორიის რესპონდენტები თანხმდებიან იმაში, რომ სამოქალაქო განათლების საგნის არსებობა სკოლის სასწავლო პროგრამაში საჭირო და აუცილებელია.

გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა (79,1%) მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება სკოლაში საჭიროა, ამასთან, 50.1 პროცენტის აზრით, საგნის სწავლება აუცილებელია. ამ შეკითხვაზე სტატისტიკურად სანდო განსხვავება მივიღეთ კლასების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხისადმი შედარებით უფრო ნეგატიურად არიან განწყობილი მეთორმეტე კლასის მოსწავლეები.

დიაგრამა №1.
რამდენად საჭიროა სამოქალაქო განათლების საგანი სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა აზრით



რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასევე საგულისხმო სურათი გამოვლინდა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად საინტერესოდ მიაჩნიათ სკოლის მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების საგანი. მოსწავლეების 71.1%-ის შეფასებით, საგანი საინტერესოა; საწინააღმდეგო აზრისაა გამოკითხულთა მხოლოდ 3.7%. რესპონდენტთა 25.2% ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად სანდო სხვაობა ამ საკითხის შეფასებისას გამოვლინდა მონაცემთა დამუშავებისას რესპონდენტთა როგორც სქესის, ისე კლასის გათვალისწინებით.

კერძოდ, მიღებული შედეგების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ მდედრობითი სქესის მოსწავლეებისთვის საგანი უფრო საინტერესოა, ვიდრე ვაჟებისათვის. ამ განსხვავების განზოგადება შეგვიძლია საქართველოს პოპულაციაზე.

დიაგრამა №2. რამდენად საინტერესოა სამოქალაქო განათლების საგანი სკოლის მოსწავლეთათვის (სქესის მიხედვით)



როგორც აღინიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადახვა კლასებს შორის გამოვლენილი სხვაობაც სანდოა და წინა კითხვაში გამოვლენილ ტენდენციას აგრძელებს. როგორც ვხედავთ, გამოკითხულ მეათეკლასელთა უმრავლესობა პოზიტიურადაა განწყობილი: 80.0% საგანს საინტერესოდ მიიჩნევს, 17.7% – მეტ-ნაკლებად საინტერესოდ და მხოლოდ 2.3% – უინტერესოდ. მეთერთმეტე კლასელებთან შედარებით მცირდება დადებითად განწყობილთა პროცენტული წილი (75.2%) და იზრდება ნეიტრალური პოზიციის მქონე რესპონდენტებთან (23.6%), ხოლო 1.2%-თვის ეს საგანი უინტერესოა. მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა 58.2% სამოქალაქო განათლების საგანს საინტერესოდ მიიჩნევს, 34.1% – მეტ-ნაკლებად საინტერესოდ, ხოლო 7.7%-სთვის ის უინტერესოა.

დიაგრამა №3. რამდენად საინტერესოა სამოქალაქო განათლების საგანი სკოლის მოსწავლეთათვის (კლასების მიხედვით)



აჭარასა (78.9%) და იმერეთში (80.2%) მოსწავლეების ყველაზე დიდი პროცენტი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი საინტერესოა. მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო – ზემო სვანეთში, თბილისსა და ქვემო ქართლში გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა საგანი მეტნაკლებად საინტერესოდ შეაფასა. ხოლო იმ მოსწავლეთა შორის, რომლებმაც საგანი უინტერესოდ მიიჩნიეს, შედარებით მეტია სამცხე-ჯავახეთისა (8.2%) და თბილისის (7.1%) მოსწავლეთა პროცენტული წილი.

დიაგრამა №4.
რამდენად საინტერესოა სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლეთათვის (რეგიონალურ ჭრილში)



დიაგრამა №5. რამდენად საინტერესოა სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლეთათვის (რეგიონალურ ჭრილში) /გაგრძელება



სამოქალაქო განათლების პედაგოგები საგანს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დისციპლინად მიიჩნევენ, რომლის სწავლებაც სკოლებში აუცილებელია. მათი აზრით, სამოქალაქო განათლების, როგორც სასკოლო საგნის სწავლება რამდენიმე კუთხით არის სასურველი. კერძოდ:

- სამოქალაქო განათლების საგნის შესწავლის შედეგად მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და მოქალაქეობრივი ვალდებულებების შესახებ, რაც მათ სამომავლოდ გამოადგებათ, რადგან ზუსტად ეცოდინებათ, თუ რა არის ნებადართული და რა არა. პედაგოგების დიდი ნაწილის აზრით, თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეწოდოთ ინფორმაცია როგორც უფლებების, ასევე მათი საპირწონე ვალდებულებების შესახებ, რადგან თანამედროვე საქართველოში პრობლემად იქცა მოქალაქეთა და მათ შორის მოსწავლეთა უპასუხისმგებლო და დევიანტური გამოვლინებები: „ბავშვებს ვუყალიბებთ მსოფლმხედველობას, კრიტიკულ აზროვნებას. ერთ-ერთი საგანია, სადაც ბავშვები აზროვნებენ, ეს მათთვის ფართო არეალია, აინტერესებთ... აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილი სხვა გაკვეთილებისგან განსხვავდება, არც ერთი ბავშვი არ არის პასიური. ისეთი საკითხები, როგორიცაა პოლიტიკა და ხელისუფლება, საკმაოდ აქტუალური თემატიკაა".
- სამოქალაქო განათლების საგნის საშუალებით მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას სახელმწიფოს სამართლებრივი მოწყობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ, ასევე, ეცნობიან სახელმწიფოს ინსტიტუტების მო-

ქმედების ძირითად პრინციპებს, რის შედეგადაც სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ მოსწავლეები მეტ-ნაკლებად იქნებიან მზად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.

- სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას, რადგან გაკვეთილებზე განიხილება არა რომელიმე სამეცნიერო დისციპლინა, არამედ მოსწავლეები და პედაგოგი მსჯელობენ ცხოვრებისეულ და ყველასათვის მნიშვნელოვან თემებზე. მოსწავლეები იღებენ ისეთ ინფორმაციას, რაც მათ მყისიერად შეიძლება გამოადგეთ და მათთვის სასარგებლო აღმოჩნდეს (მაგალითად, ინფორმაცია თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ).
- გამოკითხულ პედაგოგთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების მეთოდიკა სხვა საგნის გაკვეთილებისაგან განსხვავებით ბევრად უფრო თავისუფალი გარემოს შექმნას ითვალისწინებს, მოსწავლეებს აქვთ აზრების ღიად გამოთქმის საშუალება, რაც მოსწავლეებს პრაქტიკულად განაცდევინებს, თუ რა არის თავისუფლება. ამდენად, სამოქალაქო განათლების გაკვეთილი მოსწავლეთა ემოციურ განვითარებასაც უწყობს ხელს. საგნის სწავლება ასევე პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა შორის კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე:

  „ახალგაზრდები შედარებით უფრო გაცივდნენ, გართულდნენ, თითქოს გულგრილები გახდნენ... ყველანი ვგრძნობთ ამას. ეს საგანი გვაძლევს საშუალებას, რომ სწავლა არ იყოს ძალდატანებითი პროცესი, [მოსწავლეებს] ეძლევათ თვითრეალიზაციის საშუალება. გაკვეთილები საინტერესო ხდება და არა ძალდატანებითი... აი, ზუსტად ეს მომწონს მე ამ საგნის. ისტორია, მაგალითად, უნდა ისწავლო, თარიღები დაიზეპირო... სამოქალაქო განათლება არის საგანი, რომელზეც უნდა იმსჯელო და საკუთარი აზრი გამოთქვა".

პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ გაკვეთილებზე გამართული დისკუსიები ბავშვებში „დემოკრატიული აზროვნების" დამკვიდრებას უწყობს ხელს და ისინი განსხვავებული მოსაზრებების მიმართ ბევრად უფრო ტოლერანტულები ხდებიან.

საგნის უპირატესობებზე საუბრისას ხაზი ასევე გაესვა იმ გარემოებას, რომ სწავლების ინტერაქტიული მეთოდიკიდან გამომდინარე, პედაგოგებს შესაძლებლობა ეძლევათ „გახსნან" და დისკუსიაში ჩააბან, ან საკუთარი ინტერესების განსაზღვრაში დაეხმარონ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ან პასიურ, „უჩინარ" მოსწავლეებს:

„რატომღაც არიან ბავშვები, რომლებიც თავიდანვე უსჯიან საკუთარ თავს „მეორეხარისხოვნობას" საზოგადოებაში... ეს არის საგანი, რომელმაც თავი უნდა აპოვნინოს და ჩამოუყალიბოს შეხედულება, თუ რა არის მისაღები მისთვის, საზოგადოებისთვის..."

საგნის სწავლების აუცილებლობის თაობაზე პედაგოგთა ერთსულოვნების მიუხედავად, გამოკითხული პედაგოგები მიიჩნევენ, რომ „სანამ საზოგადოება და განათლების სისტემა ამ საგანს მთელი სერიოზულობით არ მიუდგება", საგნის სწავლებისაგან ხელშესახებ პოზიტიურ შედეგებს არ უნდა ველოდეთ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რესპონდენტებისათვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც საგნის სწავლებასთან დაკავშირებით ცალკეულ სკოლებს ან პედაგოგებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ:

„იყო შემთხვევა, რომ სკოლაში ბავშვმა დაიცვა თავისი უფლება და ამას ისეთი ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა მასწავლებლების მხრიდან, რომ მივიდნენ დასკვნამდე, სამოქალაქო განათლება საერთოდ არ ისწავლებოდეს... ერთმა ასაკოვანმა პედაგოგმა პირდაპრ მითხრა, ძალიან ცუდია, როდესაც კატას ხეზე ასვლას ასწავლითო, არ დავესწრები ტრენინგებსო და სხვებსაც გვირჩია არ დავსწრებოდით."

პედაგოგთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ სამოქალაქო განათლების საგანი სასკოლო კურიკულუმში უფრო დაბალი კლასებიდან შევიდეს. ამ საკითხთან მიმართებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გეგმებთან დაკავშირებით, ზოგიერთ პედაგოგს აქვს ინფორმაცია, რომ იგეგმება საგნის სწავლება უფრო დაბალი კლასებიდან (მე-4, მე-6), რასაც ეს პედაგოგები მიესალმებიან:

„ვფიქრობ, რომ სამოქალაქო განათლება ყველაზე მეტად პასუხობს ეროვნულ სასწავლო გეგმას, იმიტომ, რომ ჩვენი მთავარი მიზანია, ხელი შევუწყოთ პიროვნების მოქალაქედ ჩამოყალიბებას... შემდეგი წლიდან [საგნის სწავლება] მეოთხე კლასიდან იწყებაო, რასაც მივესალმები".

პედაგოგები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო განათლების საგანში საერთოდ არ უნდა იწერებოდეს ნიშანი და ის მთლიანად უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა მოტივაციას. მათი აზრით, სამოქალაქო განათლება არ არის ტიპიური საგანი და მოსწავლეთა მიერ ამ საგნის სწავლის შედეგებს გამოაჩენს დრო და არა მყისიერი გამოკითხვის შედეგად მიღებული ნიშნები.

მსგავსად მოსწავლეებისა და პედაგოგებისა, მოსწავლეთა მშობლები და ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ სკოლაში სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება აუცილებელია. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხოლოდ ერთ ჯგუფში დაფიქსირდა აზრი იმის შესახებ, რომ სამოქალაქო განათლება ზედმეტი საგანია და ადამიანობა და მოქალაქეობა ბავშვმა ოჯახში უნდა ისწავლოს. ამასთან, დისკუსიის ბოლოს, მას შემდეგ, რაც მონაწილეებმა განიხილეს სამოქალაქო განათლების საგნით მოცული საკითხები და ის როლი, რაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება შეასრულოს მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობის სტიმულირებისათვის, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საგანი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია და სასკოლო პროგრამაში უნდა იყოს ჩართული.

გამოკითხულ მშობელთა მცირე ნაწილი ასევე წინააღმდეგია, რომ სკოლაში ისწავლებოდეს სამოქალაქო განათლების საგანი. მათი აზრით, მოქალაქე უნდა იზრდებოდეს ოჯახში და არა რაიმე სხვა ტიპის დაწესებულებაში – თუნდაც, სკოლაში.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა უმეტესობის განწყობას, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების აუცილებლობის მიმართ განსაზღვრავს შემდეგი წინაპირობები:

- საქართველოში ძალზე დაბალია სამოქალაქო ცნობიერება და შესაბამისად ამ მხრივ საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. რესპონდენტთა უმეტესობა სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის შეტანას ერთ-ერთ ეფექტურ ნაბიჯად განიხილავს, რადგან ის ხელს უწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას და მიზნად ისახავს ადრეული ასაკიდანვე დაეხმაროს მოსწავლეებს სამოქალაქო ინიციატივების გამოვლენაში, ასევე შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს გააცნობიერონ და დაიცვან თავისი უფლებები, ასევე, პატივი სცენ სხვის უფლებებს და გულისხმიერად მოეკიდონ მათზე, როგორც მოქალაქეებზე დაკისრებულ ვალდებულებებს:
  "ვფიქრობ რომ სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი გარანტი სწორედ რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობაა. მოქალაქე უნდა აცნობიერებდეს რა როლი აკისრია მას, [როგორც მოქალაქეს], ქვეყნის წინაშე".
- მოქალაქეებს არა აქვთ არათუ სამოქალაქო პოზიციები, არამედ ელემენტარული ცოდნაც კი იმის შესახებ, თუ რა უფლებებს ანიჭებს მათ საქართველოს კონსტიტუცია თუ საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები. შესაბამისად, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მოსწავლეებს უნდა მიეწოდოთ ამგვარი ინფორმაცია, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და ცნობიერების განვითარებას:
  „დღეს ელემენტარულად კანონი არ ვიცით. არ ვიცით რისი უფლება გვაქვს. ბავშვებს ის მაინც რომ ასწავლონ კონსტიტუციაში რა წერია, უკვე კარგი იქნება. კანონები უნდა ასწავლონ, რომ იცოდნენ საკუთარი უფლებები".

მშობლები ასევე მიიჩნევენ, რომ საგნის სწავლისას მიღებული ცოდნა დაეხმარება ბავშვებს შემდგომ დამოუკიდებელ ცხოვრებაში. ხაზი გაესვა იმასაც, რომ მშობლებს ყოველთვის არა აქვთ შესაძლებლობა თავის შვილებთან ისაუბრონ ისეთი თემებისა და საკითხების ირგვლივ, რომელთა შესახებ მსჯელობა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიმდინარეობს:
„უბრალოდ ბევრ ოჯახში ისეთი მდგომარეობაა, რომ ხშირად ნაკლები დრო რჩებათ ბავშვებთან ასეთ კონკრეტულ თემებზე სასაუბროდ".

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ეთანხმება პედაგოგთა იმ კატეგორიას, რომელიც აცხადებს, რომ სასურველია, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება

დაწყებითი კლასებიდან იწყებოდეს, რათა ბავშვობიდანვე განუვითარდეთ მოსწავლეებს სამოქალაქო ცნობიერება და იგრძნონ მათი პასუხისმგებლობებიცა და უფლებებიც. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სასურველია საგანი უფრო ინტენსიურად ისწავლებოდეს, ვიდრე ეს დღესაა. ამასთან, გამოთქმულმა მოსაზრებებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ რესპონდენტებს ყოველთვის არა აქვთ ზუსტი ინფორმაცია სკოლებში საგნის სწავლებასთან დაკავშირებით:

„უფრო მეტი დრო უნდა ეთმობოდეს სკოლაში, ვიდრე ახლა ეთმობა, მე-10 და მე-11 კლასში ისწავლება, მე-12 კლასში არ ისწავლება, მაგრამ უნდა ისწავლებოდეს".

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მშობლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის უნდა შევიდეს სამოქალაქო განათლების საგანი სასწავლო პროგრამაში. მშობლების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ საგნის სწავლა ბავშვებმა ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყონ, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ მე-9 და მე-10 კლასი ოპტიმალურია საგნის სასკოლო პროგრამაში შესატანად. ამასთან, რამდენიმე ჯგუფში დაფიქსირდა მოსწავლეთა მშობლების მოსაზრება, რომ დამამათავრებელ კლასებში მოსწავლეების გადატვირთულობის გამო, სასურველია, ეს საგანი საერთოდ არ ისწავლებოდეს:

„ალბათ უნდა ისწავლებოდეს მე-9, მე-10 კლასში, თორემ დამამთავრებელ კლასებში ბავშვებს იმხელა დატვირთვა აქვთ, რომ ამ საგნის სწავლებით ზედმეტად გადაიტვირთებიან იმის ფონზე, რომ ათი და თორმეტი გამოცდა აქვთ ჩასაბარებელი".

მშობელთა ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში ასევე გაესვა ხაზი იმას, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო საკითხებზე, (რასაც რესპონდენტების აზრით სამოქალაქო განათლების საგანი მოიცავს), ინფორმაცია ტელევიზიით მიიღოს ან ინტერნეტის საშუალებით მოიძიოს. ამდენად, გაკვეთილისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა ზედმეტად ეჩვენება და მიიჩნევს, რომ კვირაში ერთი საათი სავსებით საკმარისი იქნება. ამის საპირისპიროდ, მშობელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სკოლაში ამ საკითხების სწავლა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან „ოფიციალურად ჩატარებული გაკვეთილებიდან ბავშვი უფრო მეტ ინფორმაციას ღებულობს, ვიდრე, ვთქვათ, სახლში შეიძლება მოისმინოს ან გაიგოს."

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ერთ-ერთ ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, რომ სასურველია, ამ საგნის სწავლებისას სკოლამ უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს და „ზედმეტად არ გაათამამოს" მოსწავლე:

„ალბათ, აჯობებს, რომ ეს [საგანი] უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდეს საფუძვლიანად, თუმცა, სკოლებში სწავლებაც გარკვეულ დონეზე აუცილებელია".

„ხომ შეიძლემა მაგ. სახელმძღვანელოში მოცემული არასწორად გაიგოს მოზარდმა.., მან შეიძლება სხვანაირად გაიგოს...რომ ყველაფრის უფლება აქვს."

ამ მოსაზრების საპირისპიროდ ისიც ითქვა (ისევ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე), რომ „თუ ამ საგანს არ ვასწავლით სკოლაში, უნივერსიტეტში უკვე ძალიან დაბალი სამოქალაქო შეგნების ადამიანები გვეყოლება. უფრო მეტია გასაკეთებელი ამ კუთხით...”

მიუხედავად სწავლების დაბალი დონისა, რესპონდენტები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა შორის ძირითადად მაინც არის მზაობა და ინტერესი, რომ ისწავლონ სამოქალაქო განათლების საგანი. ამ კატეგორიის რესპონდენტებთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა უკეთესი იყოს, რომ სამოქალაქო განათლება ისწავლებოდეს არა ერთ საგნად, არამედ ამ საგნის ფარგლებში სასწავლი მასალა გადანაწილდეს სხვადასხვა საგნების პროგრამაში, რადგან ეს სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად უფრო ბუნებრივ გარემოს შექმნის.

ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება რამდენიმე მიმართულებით შეუწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. მხოლოდ მშრალი ინფორმაციის მიღებაც კი გააძლიერებს მოსწავლეთა პიროვნულ დამოუკიდებლობას, რადგან მათ უკვე ეცოდინებათ, თუ რისი უფლება აქვთ. მაგალითად, სახელმწიფო სტრუქტურასთან ურთიერთობის პროცესში მოსწავლე ახლაც და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც უფრო ეფექტურად შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას:

„ელემენტარულად კანონი რომ ეცოდინება ადამიანს, თავს ისე არ დახრის გამგეობაში...“

„როცა იცი კანონი, უფრო მეტად მზად ხარ მზად ყველაფრისათვის. იცი რა მოითხოვო და რა არ უნდა მოითხოვო. ისე ადვილად ვეღარ მოგატყუებს და დაგჩაგრავს ვერავინ“.

ამასთან, რესპონდენტთა აზრით, რაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვს ადამიანს ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მით უფრო თავისუფალია იგი პიროვნულად:

„ბავშვი პიროვნულადაც იზრდება. მას ემატება პასუხისმგებლობა. ხვდება რომ შეუძლია რაღაცა გააკეთოს, რომ რაღაცის უფლება აქვს. ემატება დამოუკიდებლობა“.

„როცა იცი შენი ადგილი სისტემაში, უფრო თავისუფალი და გახსნილი ხდები პიროვნულად.“

ანალოგიურად, გამოკითხული მშობლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. მშობლების აზრით, ამ საგნის სწავლების უპირველესი პოზიტიური ეფექტი შეიძლება იყოს ის, რომ მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე გაითავისებენ საკუთარ მოქალაქეობრივ უფლებებსა და ვალდებულებებს. ეს ფაქტორი კი მომავალში ხელს შეუწყობს მოსწავლეების ინტეგრაციას სამოქალაქო საზოგადოებაში და მათ პიროვნულ განვითარებას.

საკითხზე, უწყობს თუ არა ხელს სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლეს აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში, თვისობრივ კვლევაში გამოკითხულ რესპონდენტთა აზრთან თანხვედრაშია მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც. მოსწავლეთა 86.7%-ის შეფასებით, სამოქალაქო განათლების საგანი ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, 6.6% უარყოფითად პასუხობს ამ კითხვაზე.

დიაგრამა №6. უწყობს თუ არა ხელს სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას?



ამ შემთხვევაშიც სანდო სხვაობაა მიღებული მონაცემთა ანალიზისას კლასების მიხედვით: მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა პასუხებს შორის ყველაზე ნაკლებია დადებითი შეფასებების პროცენტული წილი.

დიაგრამა №7. უწყობს თუ არა ხელს სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას? (კლასების მიხედვით)



ბ) სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობა

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯერ-ჯერობით ნაადრევია სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება, რადგან საგანი შედარებით ახალი შეტანილია სასკოლო კურიკულუმში და გასული დრო არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ამასთან, გამოკითხული მოსწავლეების 49.6% მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი სკოლაში კარგად ისწავლება, 34.2% ნეიტრალურ პოზიციას ავლენს, ხოლო ბავშვების 4.8%-ის შეფასებით, საგანი ცუდად ისწავლება. ამ კითხვაზე მიღებულ მონაცემებს შორის სხვაობა რეგიონებისა და კლასების მიხედვით სტატისტიკურად სანდოა და ეს ტენდენცია შეგვიძლია განვაზოგადოთ საქართველოს პოპულაციაზე.

როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, კლასების მატებასთან ერთად იკლებს დადებითი პასუხების პროცენტული წილი.

დიაგრამა №8. რამდენად კარგად ისწავლება სამოქალაქო განათლება სკოლაში



აჭარის (57.5%), იმერეთისა (58.4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (55.5%) რეგიონების რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, სამოქალაქო განათლების საგანი კარგად ისწავლება. ყველაზე ნაკლებად პოზიტიური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი გამოვლინდა თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის მოსწავლეებთან.

დიაგრამა №9. რამდენად კარგად ისწავლება სამოქალაქო განათლება სკოლაში რეგიონების მიხედვით



დიაგრამა №10.
რამდენად კარგად ისწავლება სამოქალაქო განათლება სკოლაში რეგიონების მიხედვით (გაგრძელება)



თვისობრივ კვლევაში მონაწილე სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე რთულია საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება, რადგან საგანი შედარებით ახალი შეტანილია სკოლის კურიკულუმში. შესაბამისად, რესპონდენტებს გაუჭირდათ დასაბუთებულად შეეფასებინათ (პოზიტიურად თუ ნეგატიურად) სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების დონე. ზოგადად, გამოკითხული პედაგოგების დიდ ნაწილს აქვს განცდა, რომ სამოქალაქო განათლება ეფექტიანად არ ისწავლება.

პედაგოგთა ამგვარ განწყობას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს:

- საგანს არ ასწავლიან პროფესიონალები. პედაგოგთა ნაწილს სამოქალაქო განათლების მხრივ გავლილი აქვს მოკლევადიანი ტრენინგები ან მოსამზადებელი კურსები, თუმცა ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პედაგოგმა შეძლოს ცოდნის ეფექტიანად გადაცემა მოსწავლეებისათვის. ამ საგნის პედაგოგები სხვა, ძირითადად, ჰუმანიტარული დისციპლინების პედაგოგები არიან და შესაბამისად, მათი ძირითადი კვალიფიკაციაც ამ „ძირითად" საგნებს უკავშირდება. საგნით მოცული საკითხების არაადექვატური ცოდნის გარდა, პედაგოგები ასევე უჩივიან არასათანადო მეთოდურ მომზადებასაც და ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ არ გააჩნიათ „ფსიქოლოგის" ან „სამართალმცოდნის" ცოდნა ან ელემენტარული უნარ-ჩვევები გაკვეთილების ეფექტიანად ჩატარებისათვის:

  „ჩვენც არ ვიცით რა უნდა ვასწავლოთ, ელემენტარულად წიგნიც არ გვაქვს მეათე – მეთერთმეტე კლასებისთვის".

„პირველ რიგში, პროფესიონალმა უნდა ასწავლოს [სამოქალაქო განათლების საგანი], არც ერთი ჩვენგანი არ არის ამ საგნის სპეციალისტი, ჩვენ მხოლოდ ვითავსებთ ამ საგნის სწავლებას".

- მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლეთათვის იმდენად საინტერესოც კია, რომ „ბავშვებს გაკვეთილიდან გამოსვლაც არ სურთ", სამოქალაქო განათლება ზოგადად მოიაზრება „მეორეხარისხოვან" და არა ძირითად საგნად, როგორც სკოლის დირექციებისა და პედაგოგების, ასევე, მოსწავლეთა მიერ.
- პედაგოგებს არა აქვთ საკმარისი სახელმძღვანელოები და მეთოდური მასალები. შესაბამისად სახელმძღვანელოთი მოცული საკითხების მიმართ მათი ცოდნა საკმაოდ შეზღუდულია. ამას გარდა, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო, პედაგოგები ყოველთვის ვერ ახერხებენ სახელმძღვანელოებისა და სხვა გამოსადეგი ლიტერატურის ყიდვას.
- დამამთავრებელ კლასებში სამოქალაქო განათლება არჩევითი საგანია და მხოლოდ ის ბავშვები სწავლობენ, ვინც ამ საგანს ირჩევს. ეს ზოგადად სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების მოტივაციაზეც ახდენს ზეგავლენას.
- სხვადახვა კლასებში საგნის სწავლება არ არის უწყვეტი პროცესი. ანუ, მე-9 კლასში საგანი ისწავლება მხოლოდ პირველ ტრიმესტრში. მოსწავლეებს მე-10 კლასიდან უწევთ საგნის სწავლის განახლება, რაც ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს:

  „ნაწილ-ნაწილ სწავლა არ ვარგა. ავიწყდებათ და მერე მიბრუნება უწევთ. უნდა ისწავლონ თანმიმდევრულად და უწყვეტად".
- საგნის სწავლების ხარისხსა და ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს პედაგოგთა დაბალი სამოქალაქო ცნობიერება და კულტურა. პედაგოგი ყოველთვის ვერ აჩვენებს კარგ მაგალითს მოსწავლეს:

  „პრობლემა სხვა რამეშია, ბავშვებიდან კი არა, თითოეული ჩვენგანიდან უნდა დავიწყოთ. როდესაც ბავშვი ხედავს, რომ სხვა მიდგომა გაქვს ერთ მოსწავლესთან, განსხვავებულად ექცევი, იმიტომ რომ ის შენი ნათესავია ან მეზობელია, როდესაც ერთი და იგივე აკადემიური მოსწრების ბავშვებიდან ერთს არ უწერ ნიშანს, იმოტომ რომ ვიღაცამ არ გითხრა, ან შენმა შინაგანმა „მემ" არ მოგცა უფლება, შენი ახლობლისთვის დაბალი ნიშანი დაგეწერა, როგორ უნდა ასწავლო სამოქალაქო განათლება? ... არ შეიძლება ბავშვების გამოყოფა იმის მიხედვით, „ჩემიანია თუ სხვისიანია", ცუდია, როდესაც იმ ბავშვის აზრს იზიარებ, რომელიც შენსას დაემთხვა და მიუღებელია მოსწავლის აზრი, თუ ის განსხვავებულია შენი აზრისაგან. ჩვენ სახეები ვართ ბავშვებისთვის და თუ ჩვენ არ ვართ სამოქალაქო ღირებულებების მატარებელი, რა უნდა ვასწავლოთ ბავშვს?"
- სკოლების დიდი ნაწილის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იძლევა სამოქალაქო განათლების გაკვეთილების სასურველი ფორმატით ჩატარების შესაძლებლობას. სკოლების დიდი ნაწილი მოკლებულია ელემენტარულ სასწავლო ინვენტარს (მარკერებს, პროექტორს, კომპიუტერს, ფლიპჩარტებს,

ხარისხიან დაფას). სკოლების ნაწილს არა აქვს ინტერნეტი და აუდიო-ვიდეო აპარატურა. ყველა ჯგუფში აღინიშნა, რომ სამოქალაქო განათლების სწავლებისათვის ბევრ სკოლას ფაქტობრივად არანაირი პირობა არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ თვისობრივ კვლევაში მონაწილე მშობლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და, განსაკუთრებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარ-მომადგენლების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია სათანადო ინფორმაცია როგორც სამოქალაქო განათლების საგნის შინაარსობრივ მხარესთან, ასევე, სწავლების პროცესთან დაკავშირებით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარ-მომადგენლებთან ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ამ საგნის შესახებ, კარგად არ იცნობდნენ სკოლაში მიმდინარე პროცესებს და ამდენად, უჭირდათ დასაბუთებული დასკვნების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტიანად ისწავ-ლება საგანი სკოლებში.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა იმ ნაწილში, რომლებიც აცხა-დებენ, რომ ისინი არ არიან საკითხში გარკვეულნი, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც თავისი შვილებისგან ჰქონდათ ინფორმაცია, სამოქალაქო აღზრდისა თუ განათლების საგნის სკოლის სასწავლო პროგრამაში არსებობის შესახებ, თუმცა, მათთვისაც რთული აღმოჩნდა, თუნდაც, ზოგადი დასკვნების გაკეთება სწავლების ეფექტიანობის თაობაზე.

პედაგოგთა მსგავსად, თვისობრივ კვლევაში მონაწილე სხვა კატეგორიის რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება ნაადრევია, რადგან ჯერ არ გასულა საკმარისი დრო.

თუმცა, მშობლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმ-მართველობების წარმომადგენლების ნაწილი სამოქალაქო განათლების საგნის სკოლებში სწავლების დონეს უარყოფითად აფასებს. აღსანიშნავია, რომ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს რესპონდენტთა ამ კატეგორიების მიერ სწავლების დონის უარყოფით შეფასებას, ძირითადად ანალოგიურია საგნის პედაგოგთა ფოკუს-ჯგუფებში დასახელებული ფაქტორებისა:

- სკოლებში სამოქალაქო განათლების საგანი ფაკულტატურია ან საერთოდ არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი და სტატუსი სასწავლო პროცესში. რესპონდენტთა აზრით, სამოქალაქო განათლება არ არის აღქმული, როგორც სრულფასოვანი სასწავლო დისციპლინა და მეორეხარისხოვნად არის მიჩნეული. სამოქალაქო განათლება გარკვეულწილად არაპრესტიჟული საგანია, რადგან ის არ ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. საგნის არაპრესტიჟულობის ერთ-ერთ ინდიკატორად რესპონდენტებს ასევე მოჰყავთ ის გარემოება, რომ ხშირად სამოქალაქო განათლების საგანი ბოლო გაკვეთილად არის გაწერილი ცხრილში. საგნის „არაპრესტიჟულობა”

მოსწავლეებსაც უმცირებს მოტივაციას, რომლებიც სრული სერიოზულობით არ ეკიდებიან ამ საგნის სწავლას.

- პედაგოგთა არასათანადო კვალიფიკაცია და საგნის სწავლების სათანადო მეთოდიკის არარსებობა ან მისი გამოუყენებლობა პედაგოგთა მხრიდან: სამოქალაქო განათლების საგანს ფაქტობრივად არ ასწავლიან შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს ხშირად ატარებენ ისტორიის ან გეოგრაფიის პედაგოგები. რესპონდენტთა აზრით, პედაგოგები თავად არ არიან მენტალურად, ფსიქოლოგიურად და პროფესიულად მზად, რათა ასწავლონ სამოქალაქო განათლების საგანი. მათი არაკვალიფიციურობა (არ იციან კონსტიტუცია, კანონები, სამოქალაქო უფლებები) და მენტალიტეტი (პედაგოგებს თავადაც არ გააჩნიათ სამოქალაქო ცნობიერება და თავად საჭიროებენ დახმარებას ამ კუთხით) წარმოადგენს სამოქალაქო განათლების საგნის არაეფექტურად სწავლების მთავარ მიზეზს:

  „ამ საგანს ვერავინ ასწავლის დღეს ნორმალურად. მასწავლებლებს თვითონ სჭირდებათ ამ საგნის სწავლა. კანონები არავინ იცის. შესაბამისად, ვერც სწავლის დონე იქნება მაღალი“.

ყველა კატეგორიის რესპონდენტების აზრით, სამოქალაქო განათლების პედაგოგს უნდა გააჩნდეს მინიმალური ცოდნა მაინც საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო უფლებების შესახებ. როგორც მოსწავლეთა მშობლების, ასევე, თვითმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს-ჯგუფებში ხშირად დასახელდა, რომ ამ საგნის პედაგოგად სასურველი იქნებოდა პროფესიით ფსიქოლოგის მოწვევა, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა „ბავშვის პიროვნული განვითარების კანონზომიერებების შესახებ”. ალტერნატიულ ვარიანტად ასევე დასახელდა სამართლის მცოდნე, რომელიც იმას მაინც მოახერხებს, რომ მოსწავლეებს მათი უფლებები გააცნოს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ერთ-ერთ შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ სკოლებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ მოიწვიონ უნივერსიტეტის სამართლის ლექტორი, რომელიც „ერთჯერადად მაინც მივა სკოლებში, ერთ სკოლაში რომ ჩააატრებს, მერე მეორე სკოლაში გააგრძელებს. – მივიდეს თუნდაც ორჯერ-სამჯერ, მარტივ ენაზე აუხსნას ბავშვებს საკითხები და ლექციის სახით ჩაატაროს გაკვეთილები”. ამასთან, ხაზი გაესვა იმასაც, რომ ყველა სკოლაში, განსაკუთრებით სოფლებში, არ იქნება შესაძლებელი მოწვეული ლექტორების მიერ ლექციებისა თუ გაკვეთილების ჩატარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში ასევე აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პედაგოგს საგნით მოცული საკითხების ადექვატური ცოდნა გააჩნია, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი ეფექტიანად ვერ შეასწავლის ბავშვებს სამოქალაქო განათლების საგანს, თუ იგი სწავლების სათანადო მეთოდიკით არ აღიჭურვება:

„ცოდნა არაა საკმარისი, როდესაც მასწავლებელი ხარ. ყველაზე მთავარი ... არის ის, რომ სწავლების მეთოდიკა უნდა გქონდეს: როგორ უნდა ასწავლო, როგორ უნდა შეამზადო [მოსწავლე] ცხოვრებისთვის."

- პედაგოგების არამოტივირებულობა და საგნის მნიშვნელობის დაკნინება: იმ რესპონდენტების აზრით, რომლებიც სწავლების პროცესს არაეფექტიანად მიიჩნევენ, სამოქალაქო განათლება სასწავლო კურიკულუმში არ წარმოადგენს სრულფასოვან საგანს – ის უფრო დამატებითი საგანია. შესაბამისად, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება პედაგოგთათვის წარმოადგენს არა პროფესიული მოტივაციის დაკმაყოფილების, არამედ, საათების შევსებისა და მეტი ხელფასის მიღების საშუალებას.
- უხარისხო სახელმძღვანელოები: რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არ არსებობს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ინტერესს აღუძრავდა მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების საგნის მიმართ. მაგალითად, სახელმძღვანელოები არ არის გაფორმებული ილუსტრაციებით. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ახალი დაწყებულია და ამდენად, ბუნებრივია, რომ არ არის მიღწეული სასურველი შედეგი.
- ზოგადად, საზოგადოების დაბალი სამოქალაქო კულტურა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლების ნაწილის აზრით, სახელმწიფოს ან პედაგოგს ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ საგანი დამაკმაყოფილებელ დონეზე არ ისწავლება. ისინი ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დაბალ სამოქალაქო კულტურასა და მოსახლეობის არაადექვატურ სამოქალაქო თვითშეგნებას მიიჩნევენ, რაც ბავშვების, პედაგოგებისა და სასწავლო პროცესში ჩართული ყველა მხარის მოტივაციაზე ახდენს ზეგავლენას:

  „ზოგადად არის დაბალი დონე, ზოგს კიდევ, რაც არ უნდა ასწავლო და წაუკითხო, არაფერი შველის, ამიტომ, დაბალი კლასიდან უნდა დაიწყოს ამ საგნის სწავლება".

პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი ეფექტიანად ისწავლება. ამასთან, რესპონდენტების ეს ნაწილი საგნის სწავლების ეფექტიანობის საზომად იყენებს იმ ხალისსა და მონდომებას, რითაც ბავშვები სწავლობენ საგანს. მშობლების ინფორმაციით, სამოქალაქო განათლების საგანი, სხვა საგნებისაგან განსხვავებით ინტრაქტიულად, საინტერესოდ ისწავლება. იმართება სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული ღონისძიებებიც (მაგალითად, იმიტირებული სასამართლო):

„რამდენიმე ხნის წინ სკოლაში ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი, რომელსაც დავესწარით. აქ გაიმართა დებატები, გათამაშდა სიტუაციები, ყურადღება გამახვილდა უფლებების დაცვაზე. ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ ბავშვებს ამდენი ინფორმაცია აქვთ".

„ჩემი შვილი ძალიან დიდი ხალისით სწავლობდა და ემზადებოდა ხოლმე გაკვეთილისთვის, ძალიან ბევრს ეძებდა [საგნით მოცულ საკითხებთან დაკავშირებულ] ინფორმაციას ინტერნეტშიც. საგანი ისე შეიტანა მასწავლებელმა, რომ შეიძლება, ერთი შეხედვით,

საინტერესო არ ყოფილიყო, მაგრამ ბავშვებს აინტერესებდათ და ძალიან საინტერესო გაკვეთილები გამოსდიოდათ."

სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტებთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში გამოითქვა მოსაზრებები სწავლების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით. იმის გარდა, რომ აუცილებელია პედაგოგთა გადამზადება, კვალიფიკაციის გაზრდა და მათთვის დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მასალების მიწოდება (რაც ქვემოთ არის დეტალურად განხილული), სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგები მიიჩნევენ, რომ ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად სასურველი იქნება სპეციალისტების მოწვევა და ერთობლივი გაკვეთილების ჩატარება. გამოკითხულ პედაგოგთა მცირე ნაწილი ახერხებს კიდეც ამას და პოზიტიურ შედეგებზეც საუბრობს:

„პოლიციელთან ერთად ვატარებდით გაკვეთილს მთელი სამი თვის განმავლობაში და ამან ძალიან ბევრი რამ მოგვცა ბავშვებთან ურთიერთობაში".

„მე პირადად პრაქტიკაში მაქვს დანერგილი... სასამართლო ხელისუფლებას როდესაც გავდივარ, ძალიან ინტენსიური კონტაქტები მაქვს [ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის] კახეთის ბიუროსთან, ადგილობრივ სასამართლო ხელისუფლებასთან. მათთან ერთად ძალიან ხშირად მიხდება გაკვეთილების ჩატარება..."

„ჩვენ განვახორციელეთ პროექტი – „მე მიმყავს კანონი"... ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა... გვქონდა დისკუსია, სადაც მოვიწვიეთ პროკურატურის წარმომადგენელი, რამაც საოცრად დიდი ინტერესი გამოიწვია. ბავშვები აღფთოვანებულები იყვნენ."

გ) სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ჩატარება ცხრილით დადგენილი განრიგის მიხედვით, სამოქალაქო განათლების საგნის მნიშვნელობის აღქმა და პედაგოგთა მონაწილეობა გაკვეთილების ცხრილის შედგენაში

როგორც აღინიშნა, ყველა კატეგორიის რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ არ აღიქმება სრულფასოვან დისციპლინად და ამ მოსაზრების დასასაბუთებლად, რესპონდენტები სხვა გარემოებებთან ერთად მიუთითებენ ისეთ ფაქტორზე, როგორიც არის ცხრილში სამოქალაქო განათლების გაკვეთილების განთავსება სასწავლო დღის ბოლოს. ამდენად, საინტერესოა, თუ ტარდება სამოქალაქო განათლების გაკვეთილები სკოლის ცხრილით დადგენილი განრიგის მიხედვით და რა როლს ასრულებენ თავად სამოქალაქო აღზრდის პედაგოგები გაკვეთილების ცხრილის შედგენაში. ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოვიკვლიეთ როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მოსაზრებები.

გამოკითხული მოსწავლეების 78.4% აცხადებს, რომ საგანი განრიგის მიხედვით ტარდება, 13.7 % ნეიტრალურ პასუხს იძლევა, ხოლო 7.9% თვლის, რომ საგანი არ ტარდება განრიგის მიხედვით. ეს მაჩვენებელი განსხვავებულ სურათს იძლევა სხვადასხვა რეგიონში და შეგვიძლია განვაზოგადოთ საქართველოს პოპულაციაზე.

დიაგრამა №11. ტარდება თუ არა სამოქალაქო განათლების გაკვეთილები განრიგის მიხედვით



დიაგრამა №12.
ტარდება თუ არა სამოქალაქო განათლების გაკვეთილები განრიგის მიხედვით (გაგრძელება)



როგორც დიაგრამიდან ირკვევა, სამოქალაქო განათლების გაკვეთილების განრიგის მიხედვით ჩატარების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიღებულ იქნა აჭარისა (90.3%) და იმერეთის (87.0%) სკოლის მოსწავლეების შეფასებებში,

ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლები – კახეთისა (65.9%) და თბილისის (64.9%) მოსწავლეებთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გასხვავება გამოვლინდა სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა პასუხებს შორის. (იხ. დიაგრამა №11).

დიაგრამა №13. სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ჩატარება განრიგის მიხედვით სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა აზრით



მეათე კლასის მოსწავლეთა 94.3% აცხადებს, რომ სამოქალაქო განათლების საგანი უტარდებათ განრიგის მიხედვით. ეს მაჩვენებელი 74.9 პროცენტამდე იკლებს მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებთან და კიდევ უფრო მცირდება მეთორმეტე კლასის წარმომადგენლებთან (66.9%). ამრიგად, აღნიშნული საგნის განრიგის მიხედვით ჩატარების მაჩვენებლები მით უფრო მცირდება, რაც უფრო მაღალ კლასში სწავლობენ ჩვენი რესპონდენტები.

სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა აგრეთვე ქალაქისა და სოფლის სკოლების მოსწავლეთა პასუხებს შორის: სოფლისა (80.9%) და დაბის (96.0%) მოსწავლეებთან შედარებით, ქალაქელ რესპონდენტთა ნაკლები პროცენტი (78.2%) მიუთითებს, რომ მათ განრიგის მიხედვით უტარდებათ სამოქალაქო განათლების გაკვეთილები. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლებია თბილისის სკოლის წარმომადგენლებთან (იხ. დიაგრამა №12).

დიაგრამა №14. ტარდება თუ არა სამოქალაქო განათლების საგანი განრიგის მიხედვით სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში



თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პედაგოგთა შორის სრული თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო განათლება სკოლებში ერთ-ერთ ნაკლებად მნიშვნელოვან, „მეორეხარისხოვან" საგნად ითვლება. გამოკითხულ პედაგოგთა ამგვარ მოსაზრებას განაპირობებს შემდეგი გარემოებები:

- ხშირად სამოქალაქო განათლება ბოლო გაკვეთილია. შესაბამისად, მოსწავლეები დაღლილნი შედიან გაკვეთილზე და არასათანადოდ არიან მოტივირებულნი:
  „[სკოლის] დირექცია მაინც მეორეხარისხოვან საგნად აღიქვამს... ოდესმე გინახავთ, რომ მათემატიკა მეშვიდე გაკვეთილი იყოს?"
- სამოქალაქო განათლების ჩატარება იმ პედაგოგებს ევალებათ, ვისაც „საათების შევსება" სჭირდება.
- სამოქალაქო განათლება არ ბარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, რაც კიდევ უფრო ამცირებს მოსწავლეთა მოტივაციას, ისწავლონ ეს საგანი.
- სკოლების დიდ ნაწილს არა აქვს სათანადო პირობები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) ამ საგნის ეფექტიანად სწავლებისათვის
- „თუ სახელმწიფო ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საგანს, მაშინ შესაბამისი პირობები უნდა შექმნას, რომ ჩურჩულით არ მოგვიწიოს გაკვეთილების ჩატარება, ან მეშვიდე გაკვეთილი არ იყოს, რადგან მხოლოდ მაშინ ვახერხებ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას, იმიტომ რომ [სხვა დროს] შემაწყვეტინებენ გაკვეთილს [იმიტირებული] სასამართლო პროცესი ან არჩევნები რომ ჩავატარო".

გამოკითხულ პედაგოგთა შორის არაერთგვაროვანი აზრი დაფიქსირდა იმასთან დაკავშირებით, საკმარისია თუ არა საათობრივი ბადით სამოქალაქო განათლების საგნის სასწავლებლად გამოყოფილი დრო. პედაგოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კვირაში გამოყოფილი ორი საათი სავსებით საკმარისია, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ „თუ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას მოსწავლეებში" და გვინდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდა თაობის აღზრდას შევუწყოთ ხელი, სამოქალაქო განათლების საგანს ცოტა დრო აქვს დათმობილი.

გამოკითხულ პედაგოგთა ნაწილის აზრით, საათობრივი ბადით განსაზღვრული დრო საკმარისია მხოლოდ თეორიული ნაწილის სრულად მოცვისათვის და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის პედაგოგებს დრო აღარ რჩებათ. ამასთან, ისიც აღინიშნა, რომ მოსწავლეთა დიდი ინტერესის გამო პედაგოგთა ნაწილს არ ყოფნის კვირაში გამოყოფილი ორი საათი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხის გასავლელად.

რესპონდენტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გაკვეთილების ცხრილს ძირითადად სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელები ადგენენ და სამოქალაქო განათლების პედაგოგები ისეთივე როლს თამაშობენ ამ პროცესში, როგორც სხვა საგნების პედაგოგები. შესაბამისად, ეს ფაქტორი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაიმეს განმსაზღვრელი კრიტერიუმი. ამდენად, ამ კრიტერიუმის – გაკვეთილების ცხრილის შედგენაში პედაგოგთა მონაწილეობის ხარისხის გათვალისწინებით, ჩვენ არ შეგვიძლია ცალსახად განვაცხადოთ, რომ სამოქალაქო განათლების საგანი მნიშვნელოვანია ან უმნიშვნელო. (თუმცა, სამოქალაქო განათლების საგნის „არაპრესტიჟულობის" ინდიკატორია ის, რომ სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელები უმეტეს შემთხვევაში საგანს სასწავლო დღის ბოლო გაკვეთილად სვამენ ცხრილში).

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები, როგორც წესი, მონაწილეობას არ იღებენ გაკვეთილების ცხრილის შედგენაში, მათ შეუძლიათ სთხოვონ გადაწყვეტილების მიმღებს და მათთვის სასურველ დროს შეატანინონ ცხრილში სამოქალაქო განათლების გაკვეთილი:

„თუ ვთხოვთ, ისე ჩაგვისვამენ საგანს, როგორც ჩვენ გვინდა. მე მგონი, ყველა სკოლაში ეს საკითხი შეთანხმებით, თხოვნითა და ურთიერთობის დონეზე წყდება."

გამოკითხული პედაგოგების მხოლოდ მცირე ნაწილი იჩენს აქტიურობას გაკვეთილების ცხრილის შედგენის პროცესში:

„ბოლო [გაკვეთილი] იყო სამოქალაქო განათლება და ამოვატანინე მესამე გაკვეთილად, რადგან აქ ისწავლება კანონები და მრავალი ისეთი რამ, რაც ბავშვებისაგან აზროვნებას მოითხოვს. დაღლილ გონებაზე ძნელია ყველაფრის გაგება. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ და კმაყოფილები დარჩნენ."

დ) სამოქალაქო განათლების სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შეფასება

არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი მოსაზრებები მივიღეთ სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა მიერ სამოქალაქო განათლების სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შეფასების დროს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით, მშობლები და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები) არ იცნობს სამოქალაქო განათლების არსებულ სახელმძღვანელოებს და ამდენად, ამ ნაწილს გაუჭირდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალების ხარისხის შეფასება.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში დადებითი და ნეიტრალური პასუხები თითქმის თანაბრად გადანაწილდა იმ შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სასწავლო მასალებით კმაყოფილებას, რაც ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზეც შეგვიძლია ვიხილოთ. ამ მხრივ არსებული მდგომარეობით უკმაყოფილოთა წილი გაცილებით ნაკლებია.

დიაგრამა №15. რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო მასალითა და სახელმძღვანელოებით?



მოცემულ შეკითხვასთან დაკავშირებით სტატისტიკურად სანდო სხვაობა მივიღეთ მონაცემთა ანალიზისას რეგიონებისა და კლასების მიხედვით. მეათე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებთან შედარებით, ნაკლებია მეთორმეტე კლასელთა წილი, ვინც კმაყოფილია ამ მხრივ არსებული მდგომარეობით.

დიაგრამა № 16.
რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო მასალითა და სახელმძღვანელოებით (კლასების მიხედვით)?



ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის ყველაზე მაღალი პროცენტი გამოვლინდა იმერეთის რეგიონის სკოლების მოსწავლეთა პასუხებში (63.2%), ხოლო ყველაზე დაბალი – თბილისის რესპონდენტებთან (31.7%). თბილისის მოსწავლეების დიდმა ნაწილმა სამოქალაქო განათლების საგნის სასწავლო მასალების შესახებ ნეიტრალური (56.3%) და უარყოფოთი (12.0%) პასუხები გასცეს. მონაცემებს შორის სხვაობა სტატისტიკურად სანდოა და შეგვიძლია განვაზოგადოთ საქართველოს პოპულაციაზე.

დიაგრამა №17.
რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო მასალითა და სახელმძღვანელოებით (რეგიონულ ჭრილში)?



დიაგრამა №18. რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო მასალითა და სახელმძღვანელოებით (რეგიონალურ ჭრილში)/გაგრძელება



მოსწავლეების 50.2% თვლის, რომ სამოქალაქო განათლების საგნის მასალები საჭიროებს გადახედვასა და განახლებას, ხოლო 24.2% თვლის, რომ მასალები გადახედვასა და განახლებას არ საჭიროებს.

დიაგრამა №19. საჭიროებს თუ არა სამოქალაქო განათლების მასალები გადახედვასა და განახლებას?



წინა შეკითხვისგან განსხვავებით, მოსწავლეთა 46.2 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვაზე დამხმარე მასალების საჭიროების შესახებ; 30.2 პროცენტს კი სურს, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს დამხმარე სასწავლო მასალები. ინტერვიუერების შენიშვნებიდან გაირკვა, რომ უარყოფითი პასუხების მაღალი პროცენტი გამოიწვია ამ კითხვაზე დამოკიდებულმა ღია შეკითხვამ, რომლის გამოტოვების მიზნით მოსწავლეებმა შემოხაზეს „არა". იგივე შენიშვნა გვაქვს რამდენიმე შემდეგ კითხვასთან დაკავშირებითაც.

დიაგრამა №20. საჭიროა თუ არა სამოქალაქო განათლების საგნის დამხმარე მასალები?



ღია კითხვიდან გამომდინარე ჩანს, რომ უკვე არსებული სასწავლო მასალები ასე თუ ისე აკმაყოფილებს მოსწავლეებს, მაგრამ სურვილი აქვთ უფრო დეტალურად შეისწავლონ მათთვის საინტერესო საკითხები. ამისთვის მოსწავლეები ისურვებდნენ, რომ ჰქონდეთ ვიდეო, ინტერნეტ მასალები და სამუშაო რვეულები ტესტებით.

მოსწავლეთა აზრით, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში აქცენტი უნდა გაკეთდეს პიროვნულ განვითარებასა და ბავშვის კარგ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის საჭირო განათლების მიცემაზე. იმისათვის, რომ საგანი უფრო საინტერესო გახდეს, მოსწავლეებმა ხაზი გაუსვეს დებატებით, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებითა და მეტი ინტერაქტიული მეთოდებით სწავლების საჭიროებას.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში სამოქალაქო განათლების სახელმძ-ღვანელოები სიღრმისეულად მხოლოდ პედაგოგთა ფოკუს-ჯგუფებში შე-

ფასდა. არაერთგვაროვანი შეფასებები მიიღო სამოქალაქო განათლების სხვადასხვა საფეხურის (კლასის) სახელმძღვანელოებმა. პედაგოგების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს მეიფარიანის ავტორობით გამოცემულ მე–9 კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოს. მათი აზრით, ეს სახელმძღვანელო კარგად არის გაფორმებული, ილუსტრირებული და შინაარსობრივი თვალსაზრისითაც საინტერესოა მოსწავლეთათვის. გამოკითხულ პედაგოგთა შედარებით მცირე ნაწილი იყენებს ერემაშვილისა და ბრაჭულის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოებს, თუმცა, გამოკითხულ პედაგოგთა ნაწილმა ისიც აღინიშნა, რომ მე–9 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები (როგორც მეიფარიანის, ასევე ერემაშვილის) საკმაოდ რთული ენითაა დაწერილი და ცალკეულ შემთხვევებში ბავშვებს უჭირთ შინაარსის გაგება. ასევე, ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა „ერემაშვილის სახელმძღვანელოს“ კიდევ უფრო გამრავალფეროვნება იმიტაციური სავარჯიშოების თვალსაზრისით.

პედაგოგთა ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ საგნის სწავლების პროცესში ზოგჯერ სახელმძღვანელოს შეცვლა უწევს, რადგან ერთ სახელმძღვანელოში მოცემული საკითხები ან მასალები არ არის საკმარისი ან გასაგები თავად პედაგოგისათვის.

რესპონდენტები შედარებით კრიტიკულად აფასებენ მე-10 კლასის სახელმძღვანელოს (ავტორი: მეიფარიანი, ბრეგვაძე). მათი აზრით, აღნიშნული სახელმძღვანელო არის „ზედაპირული”, „პრიმიტიული ენით დაწერილი” და ღარიბი როგორც შინაარსობრივი, ისე ილუსტრაციების თვალსაზრისით. ასევე, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მე-10 კლასის სახელმძღვანელოში (მეიფარიანი) მეორდება ზოგიერთი ისეთი თემა (მაგალითად, ბრბო და ადამიანი), რაც უკვე ისწავლება მე-9 კლასში, რაც მოსწავლეთა დაინტერესებაზე უარყოფითად მოქმედებს. ისინი უარს აცხადებენ ერთხელ უკვე ნასწავლი საკითხის გამეორებაზე და პედაგოგს ახალი საკითხების სწავლებას სთხოვენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განსხვავებული აზრი გამოთქვა მეიფარიანის ავტორობით გამოცემულ მე-10 კლასის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით:

„მე ჩემი კოლეგებისგან განსხვავებით საწინაამღდეგო აზრი უნდა ვთქვა. ვთვლი რომ მე-10 კლასის სახელმძღვანელო კი არ უნდა გართულდეს, არამედ პირიქით მე-9 კლასის სახელმძღვანელო უნდა დავიდეს ამ დონეზე.”

გამოკითხულმა პედაგოგებმა სახელმძღვანელოების შეფასებისას კიდევ ერთ პრობლემას გაუსვეს ხაზი: სასწავლო გეგმის ხშირი ცვლილების გამო მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების საგნის არათანმიმდევრულად შესწავლა უწევთ, რის შედეგადაც ზოგჯერ მოსწავლეს სხვადასხვა დასახელების, მაგრამ ერთი და იმავე შინაარსის წიგნების შესწავლა უწევთ. ასევე, შესაძლოა რომელიმე ცალკეული საკითხის სწავლა რამდენიმეჯერ მოუწიოთ და ამ დროს შეუსწავლელი დარჩეთ რომელიმე სხვა საკითხი.

მე-11 კლასის სახელმძღვანელოებიდან რესპონდენტებმა მხოლოდ გოგ-ლიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი დაასახელეს. მათი აზრით, ეს სახელმძღვანელო საგნის სწავლების მოთხოვნებს სრულებით პასუხობს.

ერთ-ერთმა პედაგოგმა ასევე აღნიშნა, რომ მისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ავტორთა კიდევ ერთი სახელმძღვანელო (მე-9 და მე-10 კლასების), რომელსაც მეიფარიანის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოს პარალელურად იყენებს:

„მე მეორე სახელმძღვანელოც მაქვს – ავტორთა კრებულია. ... ვადარებ, რომელიც მომეწონება, რომლისგანაც უფრო ... გამოავლენს თავს ბავშვი, იქედან გამომდინარე, მეიფარიანაიდანაც ვიღებ საკითხებს და ამ მეორე წიგნიდანაც".

რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, სასურველი იქნებოდა სახელმ-ღვანელოებში უფრო დეტალურად იყოს განხილული საკითხები, ვიდრე არსებულ წიგნებშია.

შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო, ბევრი პედაგოგი ვერ ახერხებს სხვადახვა ავტორის ყველა სახელმძღვანელოს ყიდვას, ამასთან აცნობიერებს, რომ მას შესაძლოა დასჭირდეს ყველა ეს სახელმძღვანელო საგნის ნორმალურ დონეზე სწავლებისათვის. ამდენად პედაგოგები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლს ამ მხრივ სწორედ შეჯერებული სახელმძღვანელოების მომზადებასა და ამ წიგნებით პედაგოგების უზრუნველყოფაში ხედავენ:

„ნორმალურია არსებული სახელმძღვანელოები, არსებობს რამდენიმე ალტერნატიული სახელმძღვანელო, რომლებიც ავსებს ერთმანეთს. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მათი შეძენისა და შეჯერების საშუალება, რაც ბევრ დროსა და მატერიალურ რესურსს მოითხოვს, ამიტომ კარგი იქნება თუ სამინისტრო შემოგვთავაზებს შეჯერებულ, გაუმჯობესებულ ვარიანტს".

„სჯობს, ყველა ავტორი ერთად დასხდეს და ერთი სახელმძღვანელო შექმნან".

ზემოთ ხსენებულ სახელმძღვანელოებთან ერთად პედაგოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ტრენინგების დროს გადაცემულ მასალებსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებულ გამოცემებსაც იყენებს („ადამიანი და უფლებები", „გზა უფლებებისკენ"). ნაწილი ცდილობს ინფორმაცია ინტერნეტით ან სკოლისათვის საჩუქრად გადაცემულ ლიტერატურაში მოიძიოს. ამასთან, პედაგოგები აცხადებენ, რომ „ეს ყველაფერი დამხმარე მასალაა, ძირითადი მაინც სახელმძღვანელო უნდა იყოს".

სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებში ასევე აღინიშნა, რომ 2010 წლის სექტემბერში განათლების რესურს-ცენტრებმა სამოქალაქო განთლების პედაგოგებს გა-დასცეს ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელო – „კომპასი", რომელიც რესპონდენტებს ძალიან მოეწონათ, თუმცა, პედაგოგთა ნაწილისათვის მოუ-

ხერხებელია ელექტრონულ ვერსიაზე მუშობა და ისევ ნაბეჭდი წიგნი ურჩევნიათ.

პედაგოგთა ფოკუს-ჯგუფებში პედაგოგთა შედარებით მცირე ნაწილი აცხადებდა, რომ სკოლის მოსწავლეები სახელმძღვანელოების დეფიციტს განიცდიან, წიგნები აღარ გამოდის და ამიტომ, კონსპექტების კეთება უწევთ.

სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით გამართული დისკუსიების ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ პედაგოგებისათვის ყოველთვის არ არის ცნობილი, თუ რა სახელმძღვანელოებია (ვისი ავტორობით ან რედაქციით) გამოცემული ცალკეული კლასებისათვის.

ე) სამოქალაქო განათლების საგნით მოცული საკითხების შეფასება

რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევაში მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების საგნითა და შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელოებით მოცული ყველა საკითხი მნიშვნელოვანია და რომელიმე საკითხის ამოღება სასწავლო პროგრამიდან არ არის სასურველი.

ამასთან, ხაზი გაესვა იმას, რომ სასწავლო პროგრამა მოსწავლის ასაკს, შესაბამისად, გონებრივ შესაძლებლობას მისადაგებული უნდა იყოს.

„სასურველია ამ საგნის სწავლება, გააჩნია, რას ისწავლიან, რა მოცულობით ისწავლიან. ზუსტად არ მახსოვს რა გაიარა ჩემმა შვილმა, მაგრამ დაახლოებით მახსოვს, რომ ეხებოდა არჩევნებს, 15 წლის ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ არჩევნები ტარდება, სკოლაშიც ხომ უტარდებათ ხოლმე რაღაც არჩევნები... რაღაცა გარკვეულ დონეზე უნდა იცოდეს, მაგრამ მარტო თუ არჩევნები იქნება [სასწავლო პროგრამაში], მე, მაგალითად, მაინცდამაინც არ დამაკმაყოფილებს...”

რაოდენობრივი კვლევის ჩატარების დროს მნიშვნელოვანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რომელ საკითხებს მიიჩნევენ მოსწავლეები ყველაზე საინტერესოდ და ყველაზე უინტერესოდ. ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეებს საკითხთა ჩამონათვალიდან უნდა აერჩიათ არა უმეტეს სამი პუნქტისა (ვარიანტისა). ეს პასუხები დაჯამდა და მოცემულია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე პროცენტების სახით.

დიაგრამა №21. მოსწავლეთა აზრით, სამოქალაქო განათლების საგნის ყველაზე საინტერესო საკითხები



მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა აზრით, სამოქალაქო განათლების საგნის ყველაზე საინტერესო საკითხებია „ადამიანი და საზოგადოება" (22.2%), „პიროვნული განვითარება" (19.0%) და „მოქალაქეობა" (16.7%). ღია პასუხში გამოჩნდა მოსწავლეების დაინტერესება ადამიანის, კერძოდ კი ბავშვისა და მოზარდის უფლებებით.

დიაგრამა №22. მოსწავლეთა აზრით, სამოქალაქო განათლების საგნის ყველაზე უინტერესო საკითხები



ისეთი საკითხები, როგორიცაა „მმართველობა" (24.3%), „ეკონომიკა" (20.9%),

„მოქალაქე და სახელმწიფო" (16.0%), მოსწავლეთათვის ყველაზე უფრო უინტერესოა საგნით მოცულ საკითხთა შორის. ამ ორმა კითხვამ არ გვიჩვენა მონაცემებს შორის სანდო სხვაობა სქესის, კლასის ან რეგიონის მიხედვით. ანუ შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა დაინტერესება რაიმე კონკრეტული საკითხით არ არის დამოკიდებული მათ სქესზე, ასაკსა და საცხოვრებელ ადგილზე.

მოსწავლეთა აზრით, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში აქცენტი უნდა გაკეთდეს პიროვნულ განვითარებასა და ბავშვის კარგ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის საჭირო განათლების მიცემაზე. იმისათვის, რომ საგანი უფრო საინტერესო გახდეს, მოსწავლეებმა ხაზი გაუსვეს დებატებით, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებითა და მეტი ინტერაქტიული მეთოდებით სწავლების საჭიროებას.

საგულისხმოა, რომ თვისობრივ კვლევაში მონაწილე პედაგოგებმა დაადასტურეს მოსწავლეთა რეაოდენობრივ კვლევაში მიღებული შედეგი, რომლის მიხედვითაც, ადამიანი და საზოგადოება, პიროვნული განვითარება და მოქალაქეობა სამოქალაქო განათლების საგნის ყველაზე საინტერესო საკითხებია.

მოსწავლეთა მსგავსად, თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სწავლება და ის შეიძლება ან საერთოდ ამოიღონ სასწავლო პროგრამიდან, ან ისწავლებოდეს მოსწავლეთა განვითარების დონისა და ინტერესების გათვალისწინებით. ეკონომიკური საკითხების სწავლებისადმი ნეგატიურ განწყობას განსაზღვრავს ისიც, რომ ეს თემა, რესპონდენტთათვის არსებული ინფორმაციით, გაუგებარია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის და ისინი მოუმზადებელნი არიან მის ასათვისებლად – ეს ფაქტორი მოსწავლეთა მოტივაციაზეც ახდენს ნეგატიურ გავლენას:

„ეკონომიკა რომ ასწავლო, მეტი ცოდნა უნდა გქონდეს ამ სფეროში. ან მასწავლებელმა რა უნდა ასწავლოს, როდესაც თვითონ არ იცის წესიერად ეს საკითხი."

„ეკონომიკა შედარებით უინტერესოა, მაგრამ ეს შეიძლება იმიტომ ხდება, რომ არავის არ ესმის, თუ რა წერია სახელმძღვანელოში ამ თემასთან დაკავშირებით".

თუმცა, ამის საპირისპიროდ ფოკუს-ჯგუფებში ასევე აღინიშნა, რომ ბავშვი აუცილებლად უნდა ერკვეოდეს ეკონომიკის საფუძვლებში და იცოდეს თავისი ეკონომიკური უფლებები, რათა „გააცნობიეროს, თუ რამდენად სასურველია მისთვის ის სივრცე, სადაც ის ცხოვრობს". გამოკითხულ პედაგოგებს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნიათ ეკონომისტების მოწვევა, რომლებიც ამ საკითხზე ჩაატარებენ გაკვეთილებს.

უმთავრესი საკითხი, რომლის დამატებაც ან გაძლიერებაც მოითხოვეს პედაგოგებმა, მოსწავლეთა მშობლებმა და ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა სწავლებას ეხება. ადგილობრივი თვითმმართველობის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ გარკვეული სიფრთხილეა საჭირო:

„მაგ დროს შეიძლება ბავშვმა [თავისი] უფლება ცუდად გამოიყენოს, ანუ, არასწორი მიმართულებით... შეიძლება ბოროტად ისარგებლოს ამ უფლებებით".

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა ნაწილის აზრით, საგნის სწავლებისას სამოქალაქო ვალდებულებებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, რაც, მათი აზრით. საინტერესოც იქნება მოსწავლეებისათვის:

„რაღაც სასიამოვნო ტვირთს იგრძნობენ მოვალეობის სახით და იმ უფლებებსაც [უკეთ აღიქვამენ]. ... დღეს მოსწავლისთვის შენიშვნა ვერ მიგიცია, მე ვარ და ჩემი ნაბადიო..."

ანალოგიურად, მშობელთა ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების დროს რამდენჯერმე აღინიშნა, რომ ბავშვები უკვე კარგად იცნობენ იმ უფლებებს, რაც ადამიანს ან მოსწავლეს არსებული კანონმდებლობა ანიჭებს. ამდენად, საჭიროა, ყურადღება ასევე გამახვილდეს ამ უფლებების საპირწონე ვალდებულებებზეც:

„ახლანდელი თაობა მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელია. გადაწყვეტილების მიღება არ უჭირთ, ჩვენი თაობისგან განსხვავებით, რაც განპირობებულია იმით, რომ მათ უკეთ იციან თავისი უფლებები. აი, ვალდებულებებზე თუ გამახვილდება ყურადღება, კარგი იქნება".

ამავე აზრს იზიარებს პედაგოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც თვლიან, რომ უფლებების სწავლასთან ერთად, საგანი მოსწავლეებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრებასა და სწორად აღქმაში უნდა დაეხმაროს. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილების შედეგად მოსწავლე უნდა იქცეს ღირსეულ მოქალაქედ, რომელიც ერთის მხრივ იცავს საკუთარ უფლებებს და ამავე დროს, პატივს სცემს სხვათა უფლებებსა და საზოგადოებრივ წესრიგს. სამოქალაქო განათლების საგანი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა მათ იპოვონ საკუთარი ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში და იგრძნონ თავი მის ღირსეულ წევრებად.

სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა მონაწილეობით ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში გამოითქვა სურვილები სამოქალაქო განათლების საგნის სასწავლო პროგრამაში გარკვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით. რესპონდენტების აზრით, არსებულ თემატიკას უნდა დაემატოს შემდეგი საკითხები:

- გარემოს დაცვა – ეკოლოგია. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს ბავშვობიდანვე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია გარემოს დაცვის აუცილებლობის შესახებ.
- ლიდერობა და საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობა. ამას გარდა, მოსწავლეებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ფორმირდება ხელისუფლება და როგორია მასში მონაწილეობის შესა-

ძლებლობები დემოკრატიული წყობილების პირობებში. ბავშვებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მმართველობის ფორმების შესახებ.

„მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, როგორ იმართება სახელმწიფო, რომ საკუთარი ადგილი იპოვონ. მათ უნდა იგრძნონ, რისი შანსი აქვთ“.

- პიროვნული განვითარებისა და დასაქმების არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. რესპონდენტების აზრით, უმაღლესი სასწავლებლის მიღმა დარჩენის შემთხვევაში მოქალაქეები უფუნქციოდ გრძნობენ თავს, მაშინ როცა მათ აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გარკვეულ პროცესებში და იზრუნონ პიროვნულ განვითარებაზე:

„უმაღლესში თუ ვერ ჩააბარა, ბავშვი ხშირად დაღუპულად გრძნობს თავს. უნდა ავუხსნათ, რომ ამითი ცხოვრება არ მთავრდება და სხვა გზებიც არსებობს ცხოვრებაში. თუნდაც, პროფსასწავლებლები.... სხვა შემთხვევაში არის საფრთხე, რომ ისინი კრიმინალმა ან ... სხვა უარყოფითმა მოვლენამ ჩაითრიოს“.

მსგავსად გამოკითხული მშობლებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, სამოქალაქო განათლების საგანს პედაგოგების ნაწილიც პიროვნების სულიერ განვითარებასთან აკავშირებს. პედაგოგთა ეს ნაწილი არ არის კმაყოფილი იმით, რომ რელიგია აღარ ისწავლება სკოლაში; ამასთან, აცხადებენ, რომ ამ თემაზე „ზოგადად არის მოთხოვნა”. მათი აზრით, რელიგიის სწავლება მნიშვნელოვანი იქნებოდა მოსწავლეთა პიროვნული ზრდისა და მათში ზნეობრივი ღირებულებების განმტკიცებისათვის:

„უნდა ისწავლონ ბავშვებმა ზნეობა. რელიგია საჭიროა სკოლაში. ტრადიციებსაც ისწავლიან ამ გზით“.

თავის მხრივ, გამოკითხული მშობლებიც რელიგიის სწავლებას აუცილებლად უკავშირებენ მოსწავლეებში ზნეობრივი და ეთიკური ღირებულებების განმტკიცებას, თუმცა, არ აკონკრეტებენ თუ როგორ შეუძლია რელიგიის (როგორც ზოგან აღინიშნა, სარწმუნოების) სწავლებას ამ მხრივ სასურველი შედეგის მოტანა. არც იმასთან დაკავშირებით აქვთ მშობლების ამ ნაწილს დასაბუთებული მოსაზრებები, თუ რატომ უნდა იყოს რელიგია, ეთიკა და ზნეობა სამოქალაქო განათლების საგნის შემადგენელი ელემენტები და არა ცალკე სასკოლო საგანი (რაც ბუნებრივია და ახსნადია იქედან გამომდინარე, რომ მშობლების დიდი ნაწილი საერთოდ არ იცნობს სამოქალაქო განათლების საგნით მოცულ თემატიკას და ამდენად, ცდილობენ, მათთვის საინტერესო საკითხები ამ მათთვის სრულიად „ამორფულ” საგანში ჩაატიონ). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მშობლებისა და პედაგოგების ნაწილის აზრით, რელიგიის შეტანა ამ საგნის ფარგლებში საფრთხილოა და სათანადო განსჯას მოითხოვს.

რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილის აზრით, სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს:

- პირველადი სამედიცინო დახმარება
- რელიგიათაშორის არსებული ურთიერთობები და მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების მექანიზმები
- ადგილობრივი ქალაქისა თუ რაიონის ისტორია, რათა ბავშვმა უფრო მეტი რამ იცოდეს საკუთარი კუთხის შესახებ
- ფსიქოლოგია (ზოგადად), ასევე, წარმატების მიღწევის ფსიქოლოგია
  „წარმატების ფსიქოლოგიას დავამატებდი აუცილებლად, რადგან მასწავლებლობის გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ფრიადოსნები ვერ აღწევენ წარმატებას და რატომღაც ის ბავშვები, ვინც ჩვენ ჩამორჩენილი გვგონია, უფრო ადვილად აღწევენ წარმატებას."
- კულტურა

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სასწავლო პროგრამას პატრიოტიზმს დაუმატებდა:
„პატრიოტიზმს დავამატებდი, ქალაქის და ქვეყნის პატრიოტიზმს."

ამასთან, მას არ დაუკონკრეტებია, თუ როგორი მეთოდიკით შეიძლება პედაგოგმა მოსწავლეებს „ასწავლონ" ქვეყნისა და ქალაქის პატრიოტიზმი, ან რატომ უნდა იყოს პატრიოტიზმის „სწავლება" ამ საგნის შემადგენელი ნაწილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტმა ხაზი გაუსვა მოსწავლეებში პატრიოტული სულის გაღვივების აუცილებლობას, რაც, მისი აზრით, შესაძლებელია სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე.

ფოკუს ჯგუფებში ასევე გაესვა ხაზი მოსწავლეებისათვის არა მხოლოდ ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას, არამედ მათი შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობასაც, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზება:
„მარტო ცოდნა კი არ უნდა ჩავდოთ ბავშვებში, არამედ მათი გამოყენების მექანიზმებიც [უნდა ვასწავლოთ]".

3) სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდიკა, სახელმძღვანელოთი განსაზღვრული აქტივობების გამოყენება[1]

პედაგოგთა ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პედაგოგთა მხოლოდ ნაწილი იყენებს სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების მხრივ შემუშავებულ მეთოდიკასა და შესაბამის სახელმძღვანელო მასალებს. ამასთან პედაგოგთა ის ნაწილი, რომელიც მეთოდიკას იყენებს, აცხადებს, რომ ამ მხრივ პრობლემებს არ აწყდება, გა-

1 ამ სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ თვისობრივ კვლევაში მონაწილე სამოქალაქო განათლების პედაგოგთა მოსაზრებები შევისწავლეთ.

კვეთილი „წყალივით მიდის" და თავადაც სავსებით კმაყოფილია არსებული მეთოდური მასალებით. პედაგოგთა ნაწილს მეთოდური მასალები თავად სახელმძღვანელოების ავტორებმა გადასცეს და მათვე ჩაუტარეს ტრენინგები საგნის სწავლებასთან დაკავშირებით:

„ძალიან კარგი დამხმარე მასალები მოყვა წიგნს, თავად ავტორმა გადმომცა დამხმარე მეთოდი[კა] მე-9 და მე-10 კლასებისათვის. წიგნში რაც არის მოცემული, ყველაფერი გასაგებია."

იმ პედაგოგთა უდიდესი ნაწილი, რომელიც მეთოდიკას იყენებს, აცხადებს, რომ პედაგოგთა სახელმძღვანელოებში მოცემული და განმარტებული პრაქტიკული მეცადინეობები ბავშვებს ძალიან მოსწონთ და კარგ შედეგსაც იძლევა სასწავლი მასალის ათვისების კუთხით. ასევე ძალიან ეფექტიანია დებატები მოსწავლეთა შორის, ჯგუფური და გუნდური დისკუსიები, „გასვლები რეალურ ცხოვრებაში" - გამგეობებში, საკრებულოს სხდომებზე, სასამართლოებზე, როლური თამაშები – იმიტირებული პროცესები, არტ-დავალებები:

„წინა კვირას მყავდა ჩემი კლასი გამგეობის სხდომაზე. უშუალოდ დაინახეს როგორ ტარდება სხდომები. ძალიან ბევრი კითხვა დაისვა. გამგებელს გაუკვირდა, მე-9 კლასელებმა ამდენი რომ იცოდნენ".

მხოლოდ ერთმა პედაგოგმა განაცხადა, რომ გაკვეთილის ჩატარებისას არ იყენებს პრაქტიკულ მეცადინეობებს. მას ურჩევნია თეორიული მასალა განიხილოს და იმსჯელოს ვიდრე „პრაქტიკული ატაროს". ამასთან, ბევრ შემთხვევაში, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას ხელს არა პედაგოგის სურვილი, არამედ სკოლის არაადექვატური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უშლის. მაგალითად, სკოლების ნაწილს არ აქვს ფლიფჩარტები, მარკერები და სხვა სასკოლო ინვენტარი, რაც პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას შეუძლებელს ხდის.

კიდევ ერთი გარემოება, რაც პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას უშლის ხელს იმაში მდგომარეობს, რომ „ეს საგანი დღის ბოლოს აქვთ [ჩანიშნული გაკვეთილების ცხრილში] და ბავშვები ისე იღლებიან, აქტივობებში ჩართვაზე უარს ამბობენ."

სამწუხაროდ, პედაგოგთა ნაწილს არა აქვს დამხმარე მეთოდური სახელ-მძღვანელოები, რაც მათ სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ჩატარებას გაუადვილებდა.

ზ) სამოქალაქო განათლების საგნის დამხმარე სასწავლო მასალები

სამოქალაქო განათლების საგნის დამხმარე სასწავლო მასალებთან დაკავშირებით შევისწავლეთ როგორც პედაგოგთა, ასევე, მოსწავლეთა მოსაზრებები.

საგულისხმოა, რომ მოსწავლეთა 46.2 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვაზე დამხმარე მასალების საჭიროების შესახებ; 30.2 პროცენტს კი სურს, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს დამხმარე სასწავლო მასალები. ინტერვიუერების შენიშვნებიდან გაირკვა, რომ უარყოფითი პასუხების მაღალი პროცენტი გამოიწვია ამ კითხვაზე დამოკიდებულმა ღია შეკითხვამ, რომლის გამოტოვების მიზნით მოსწავლეებმა შემოხაზეს „არა". ღია შეკითხვაში მოსწავლეებს უნდა დაეკონკრეტებინათ, თუ რა სახის დამხმარე სასწავლო მასალების მიღებას ისურვებდნენ სამოქალაქო განათლების საგანში. სწორედ ამ ღია კითხვის გამოტოვების მიზნით მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა უარყოფითი პასუხი გასცა კითხვას, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა დაინტერესებას, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს სამოქალაქო განათლების დამხმარე სასწავლო მასალები.

დიაგრამა № 23. საჭიროა თუ არა სამოქალაქო განათლების საგნის დამხმარე მასალები?



ღია კითხვაზე გაცემული პასუხებიდან ჩანს, რომ უკვე არსებული სასწავლო მასალები ასე თუ ისე აკმაყოფილებს მოსწავლეებს, მაგრამ სურვილი აქვთ უფრო დეტალურად შეისწავლონ მათთვის საინტერესო საკითხები. ამისთვის მოსწავლეები ისურვებდნენ, რომ ჰქონდეთ ვიდეო, ინტერნეტ მასალები და სამუშაო რვეულები ტესტებით.

რესპონდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ფაქტობრივად არანაირი დამხმარე მასალა არა აქვთ, რაც მათ დაეხმარებოდათ სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში:
„აბსოლუტურად არაფერი გვაქვს და არც ვიცით, ვის მივმართოთ. რომ გვქონდეს, გამოვიყენებდით სწავლების პროცესში".

პედაგოგების უმეტესობის ინფორმაციით განათლების სამინისტრო ფაქტობრივად არანაირ დამხმარე მასალას არ აწვდის მათ და ისინი ამ კუთხით ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების ან საკუთარ იმედზე არიან. მხოლოდ ერთ ჯგუფში აღინიშნა, რომ განათლების სამინისტრომ პედაგოგებს მიაწოდა გარკვეული სტანდარტები და მეთოდური ბროშურები.

ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არ არის ხელმისაწვდომი დამხმარე მასალები, იგი „უფრო რეალურ ცხოვრებას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას" ეყრდნობა, მას არ სჭირდება დამხმარე მასალები, „არ უჭირს" და დამხმარე მასალების ნაკლებობასაც არ განიცდის.

ამასთან, როგორც ზემოთაც აღინიშნა რესპონდენტთა უდიდეს უმრავლესობას სურვილი აქვს, რომ მისთვის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი სახის დამხმარე მასალა. ხოლო ზოგი პედაგოგი ინტერნეტის, ტრენინგებზე გადაცემული და სკოლის ბიბლიოთეკებში არსებული მასალებისა და გამოცემების გამოყენებით ცდილობს გაიღრმავოს ცოდნა იმ საკითხების შესახებ, რაზეც სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე უწევს ბავშვებთან საუბარი.
რესპონდენტები შემდეგი სახის სასწავლო მასალების საჭიროებას განიცდიან:

- ვიდეომასალა
- მეთოდური და საინფორმაციო ბროშურები
- ილუსტრირებული მასალები

პედაგოგების შედარებით მცირე ნაწილმა, მათ შორის საპილოტე სკოლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის, ასე თუ ისე, ხელმისაწვდომია შედარებით მეტი დამხმარე მასალა. ამასთან, ურთიერთობა აქვთ სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებთან და მათი ინფორმაციით, იგეგმება სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შეცვლაც. ამდენად, იმედი აქვთ, რომ უფრო მეტი დამხმარე მეთოდური მასალა იქნება მათთვის ხელმისაწვდომი.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე განაცხადა, რომ მისი სკოლა უზრუნველყოფილია დამხმარე სასწავლო მასალებით, თუმცა, სამწუხაროდ დრო არ რჩებათ ამ მასალების გამოყენებისათვის.

თ) სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი მხოლოდ თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამართულ ფოკუს-ჯგუფებში განიხილეს კვლევაში მონაწილე ყველა კატეგორიის რესპონდენტებმა. გამოკითხული რესპონდენტები აუცილებლად მიიჩნევენ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადებას, თვლიან, რა რომ დღეს ამ საგნის ეფექტიანად სწავლების დამაბრკოლებელი ერთ-ერთი მთავარი გარემოება სწორედ

პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაციაა. არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს-ჯგუფებში ხაზი გაესვა იმასაც, რომ ხშირად სამოქალაქო განათლებას სხვა საგნის (ისტორიის, გეოგრაფიის) პედაგოგები ასწავლიან, რომლებიც ხშირად სრული სერიოზულობით არ ეკიდებიან ამ საგნის სწავლებას. ამ კატეგორიის რესპონდენტები შიშობენ, რომ პედაგოგთა ამჟამინდელი კონტინგენტი შესაძლოა ვერ დაექვემდებაროს გადამზადებას, რადგან მათ გონებაში მყარად არის გამჯდარი არადემოკრატიული – საბჭოთა, ტოტალიტარული ღირებულებები. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ პედაგოგები ხშირად არ იყენებენ მათთვის არსებულ გადამზადების უფასო შესაძლებლობებს, რასაც მათ არასამთავრობო ორგანიზაციები სთავაზობენ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ პედაგოგთა უმრავლესობას სურვილიც კი არა აქვს, რომ შეიცვალოს და განვითარდეს, რაც აზრს უკარგავს მათთვის სავალდებულო კურსების ჩატარებას.

პედაგოგთა არცერთ ფოკუს-ჯგუფში არ დაფიქსირებულა აზრი, რომ მათ არ სჭირდებათ სამოქალაქო განათლების კუთხით ცოდნის გაღრმავება ან კვალიფიკაციის ამაღლება. ამასთან, ისინი ხაზს უსვამენ, რომ ამგვარი ტრენინგები და გადამზადების პროგრამები „თვითდაფინანსებაზე არ უნდა იყოს".

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, პედაგოგთა გადამზადებას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ „სამოქალაქო განათლება იქნება ცალკე, [სრულფასოვანი] დისციპლინა და არა მეორეხარისხოვანი საგანი, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გაუჩნდეთ მოტივაცია მოსწავლესაც და მასწავლებელსაც".

გამოკითხული პედაგოგების ნაწილს გავლილი აქვს სამოქალაქო განათლების საგანთან დაკავშირებული ტრენინგები, ასევე, ზოგადად პედაგოგებისათვის ჩატარებული მეთოდური ტრენინგები, რომელთა უმეტესობა არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო ორგანიზებული.

რესპონდენტები დასწრებიან შემდეგ ტრენინგებს:

- წყნეთში ჩატარებული ტრენინგი, რომელიც პროფკავშირების მიერ იყო ორგანიზებული.
- კოჯორში ჩატარებული ტრენინგი, რომელიც ასევე პროფკავშირების მიერ იყო ორგანიზებული.
- ფონდ „მოზაიკის" მიერ ორგანიზებული ტრენინგები
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათის" მიერ ორგანიზებული ტრენინგი.
- ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ჩატარებული ტრენინგი სწავლების მეთოდიკასთან დაკავშირებით
- ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს" მიერ ჩატარებული ტრენინგები

ამასთან პედაგოგთა იმ ნაწილს, რომლებიც ე.წ. საპილოტე სკოლებიდან იყვნენ წარმოდგენილნი, ასევე საფუძვლიანი ტრენინგები ჰქონდათ გავლილი. ამ და პედაგოგთა კიდევ ერთ ნაწილს ტრენინგები თავად სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებმა ჩაუტარეს. პედაგოგები ერთხმად აღნიშნავდნენ ამ ტიპის ტრენინგების ეფექტიანობას, თუმცა, მაინც მიაჩნიათ, რომ ისინი კვლავაც საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას.

ტრენინგებმა რესპონდენტებს საშუალება მისცა, გაემდიდრებინათ ის ცოდნა, რაც მანამდე ჰქონდათ და დაეხვეწათ მოსწავლესთან კონტაქტის დამყარების უნარ-ჩვევები. ტრენინგებში მონაწილე პედაგოგებმა ასევე შეიძინეს ცოდნა მათთვის ახალი სასწავლო დისციპლინის შესახებ, რაც იმ დროისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა ფოკუს ჯგუფებში სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადებისა და პროფესიული შესაძლებლობების გაზრდის შესაძლებლობებზე მსჯელობისას რამდენიმე ძირითადი მოსაზრება გამოიკვეთა:

- რესპონდენტთა აზრით, სასურველია გადამზადების შედარებით გრძელვადიანი კურსების (3-დან 6 თვემდე) უზრუნველყოფა, სადაც პედაგოგები სრულყოფილად აითვისებენ საგნით მოცულ ყველა საკითხს და გაითავისებენ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდიკას. როგორც პედაგოგები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საგნის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე პედაგოგთა რამდენიმედღიან წვრთნას სასურველი ეფექტი არ ექნება. ამავე აზრს იზიარებენ პედაგოგებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ „ერთჯერადად ჩატარებული ტრენინგი ვერ იქნება ეფექტური იმ პედაგოგთან, რომლებიც არ არის ამ საგნის სპეციალისტი". მათი აზრით, „არ არის აუცილებლი, რომ ტრენინგები წელიწადში ხუთჯერ ჩატარდეს, ჩატარდეს ერთხელ, მაგრამ მინიმუმ 10 დღიანი, ან თუნდაც ერთკვირიანი მაინც. ერთხელ ჩატარდეს ისე, რომ იყოს ხარისხიანი". ამასთან, ზოგი პედაგოგი კიდევ უფრო შორის მიდის და აცხადებს, რომ არა მხოლოდ ყველა პედაგოგი, არამედ ყველა მშობელი უნდა გადამზადდეს სამოქალაქო განათლების საკითხებთან დაკავშირებით.
- სასურველია სამოქალაქო განათლების საგნით მოცულ საკითხებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების ან ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლებში გაკვეთილების ჩატარებას, რაც აამაღლებს როგორც მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ასევე, გაზრდის პედაგოგთა კვალიფიკაციას.
- რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სკოლებში სამართალთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ეფექტიანად სწავლებისათვის აუცილებელია პროფესიონალების (იურისტების) ჩართვა

პედაგოგთა გადამზადების ადექვატური კურსების შედგენაში (ან სკოლებში ამ საკითხების სწავლებაში). ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში ასევე აღინიშნა საქართველოს პროკურატურის მიერ სკოლებში განხორციელებული პროექტის პოზიტიური ეფექტი:

„პროკურატურას აქვს პროექტი სკოლებში ... სამოქალაქო განათლების მსგავსია. იმდენად დიდი გამოხმაურება აქვს ბავშვებში, რომ პროკურორები ვეღარ აუდიან სკოლებში სიარულს და ლექციების ჩატარებას. მე-2 წელია ეს პროექტი ტარდება. შედეგიც გამოიღო, ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ. ეს არის იმის შედეგი, რომ ბავშვები იღებენ იურისტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სამართლებრივ საკითხებზე და არა ვთქვათ, ისტორიის მასწავლებლის მიერ დანახულ სამართალს ... იურისტი უფრო წარადგენს სამართლებრივ საკითხებს, ვიდრე ფიზიკის ან ბიოლოგიის პედაგოგი...”

- სამართლებრივი განათლება: პედაგოგებს სჭირდებათ ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის, სახელმწიფო ინსტიტუტების რაობისა და შინაგანი ბუნების შესახებ. ეს ცოდნა პედაგოგებს თავად უნდა ჰქონდეთ, რათა მოსწავლეებისათვის გადაცემა შეეძლოთ. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა უმრავლესობა ისტორიკოსია და სამართალმცოდნეობის დარგში არანაირი ცოდნა არ გააჩნია.
- ფსიქოლოგია: საგულისხმოა, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული სხვადახვა კატეგორიის რესპონდენტები, პედაგოგების ჩათვლით, ერთხმად აღნიშნავენ ამ მხრივ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების, ან ელემენტარული ცოდნის გადაცემისა და უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობას. პედაგოგთა და მშობელთა აზრით, სამოქალაქო განათლების საგანი მოითხოვს გაკვეთილზე სპეციფიკურ მიდგომას მოსწავლეებისადმი. ხშირად პედაგოგს უხერხულ თემებზეც უწევს საუბარი, რისთვისაც ყველა მზად არ არის. ამასთან, სწავლების ინტერაქტიულობიდან გამომდინარე პედაგოგს ხშირად უწევს მოსწავლეთა ჩართვა დისკუსიებში, მათი „გახსნა” და ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა გაკვეთილებზე უზრუნველყოს თავისუფალი გარემო, სადაც მოსწავლე არ დაითრგუნება და თავისუფლად შეძლებს თავისი აზრის გამოხატვასა და დაცვას.
- ეკონომიკა: სამოქალაქო განათლების პედაგოგები გაუთვითცნობიერებლები არიან ეკონომიკის სფეროში და ამ კუთხით გადამზადებას საჭიროებენ, რათა კვალიფიციურად აუხსნან ბავშვებს სახელმძღვანელოს ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული საკითხები. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამჟამად მათ თავად უჭირთ ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხების გაგება და მით უმეტეს ბავშებს ვერ აუხსნიან ამ საკითხებს ნორმალურად.

გამოკითხული მშობლების ნაწილის აზრით, სამოქალაქო განათლების საგანი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიის არჩევასა და ამ მიმართულებით თვითგამორკვევაში. მშობლები მიიჩნევენ, რომ პედაგოგებმა ეს უნდა უზრუნველყონ მოსწავლეთათვის სხვადასხვა პროფესიათა გაცნობისა და მათი თავისებურებების ახსნის გზით:

„მასწავლებელმა უნდა აუხსნან, თუ რომელ პროფესიაში რა კეთდება. ბავშვებს ხშირად უჭირთ პროფესიის არჩევა. ეს სერიოზული პრობლემაა“.

5.2 მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზება

ა) მოსწავლეთა სამოქალაქო მზაობის შეფასება და სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების გარემო პირობები

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა კატეგორიის რეს-პონდენტი არაერთგვაროვნად აფასებს მოსწავლეთა მზაობას, პრაქტიკულად განახორციელონ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნა. მათი განცხადებით მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი არის საკმარისად მოტივირებული სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებისათვის. მასთან, მოსწავლეთა ნაწილს, შესაძლოა, ჰქონდეს საკმარისი მოტივაცია, მაგრამ არ გააჩნდეს საკმარისი უნარ-ჩვევები ან ცოდნა, რათა თავად დაგეგმოს და განახორციელოს სამოქალაქო აქტივობები. ამ მხრივ პედაგოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობებს ანიჭებენ და მათთან სკოლების თანამშრომლობის აუცილებლობაზეც საუბრობენ.

ამასთან, სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებში ისიც აღინიშნა, რომ მოსწავლეთა ნაწილი ძალზე პასიურია და „არაფერი აინტერესებს“.

„მოსწავლეთა შორის არის კატეგორია, რომელიც ყველაფერზე რეაგირებს. ოღონდ რაიმე გამოჩნდეს და ყველაფერში ერთვებიან. ისეთებიც არიან, ვისაც არაფრის სწამს და არაფერი აინტერესებს“.

„მზაობა არის, თუმცა, გამორიცხულია, რომ მოსწავლეთა ასივე პროცენტმა გამოიჩინოს სამოქალაქო ინიციატივა...”.

პედაგოგთა ნაწილი ასევე უსვამს ხაზს იმ „ფსიქოლოგიურ“ დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვაც მოუწევს მოსწავლეს, თუ გადაწყვეტს სამოქალაქო ინიციატივაში ჩართვას:

„მე ფსიქოლოგიურ სტრესზე ვსაუბრობ. ბავშვი შეიძლება ძალიან კარგ ოჯახში იზრდებოდეს, მაგრამ ჩაკეტილი იყოს, ვერ იხსნებოდეს, იმიტომ, რომ მას რაღაც სხვა პრობლემა აქვს“.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში მიღებულ შეფასებებს კიდევ უფრო ამყარებს მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის შედეგები: კითხვას „გსურთ თუ არა მონაწილეობის მიღება აპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივობებში” მოსწავლეთა 29.2 პროცენტმა დადებითი, 18.5%-მა – ნეიტრალური, ხოლო 52.3%-მა – უარყოფითი პასუხი გასცა. ეს კითხვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან რეალურად ასახავს მოსწავლეთა სოციალური აქტივობის მოთხოვნილების ხარისხს.

დიაგრამა №24. გსურთ თუ არა მონაწილეობის მიღება აპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივობებში?



როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან (№25)ირკვევა, ამ კითხვაზე პასუხები განსხვავდება თბილისის, დიდი ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მოსწავლეებთან.

დიაგრამა №25. გსურთ თუ არა მონაწილეობის მიღება აპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივობებში? (დასახლებული პუნქტების ზომის მიხედვით)



დიდ ქალაქებში (თბილისის გარდა) ყველაზე მაღალია დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებელი (35.4%). ნეიტრალურმა პოზიციამ მეტ-ნაკლებად

ერთნაირი პროცენტული განაწილება მიიღო, ხოლო უარყოფითი პასუხის ყველაზე მაღალი წილი (55.9%) თბილისზე მოვიდა. ამ შედეგების განზოგადება შესაძლებელია საქართველოს პოპულაციაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტატისტიკურად სანდო სხვაობა ასევე გამოვლინდა მონაცემთა ანალიზისას მოსწავლეთა სქესის გათვალისწინებით. გოგონებმა ამგვარ აქტივობაში მონაწილეობის მეტი (33.5%) მზადყოფნა გამოხატეს, ვიდრე ვაჟებმა (23,2%). თუმცა ამავე დროს ორივე ჯგუფში თანაბარია მათი პროცენტული წილი (18.2%), ვინც შუალედურ პოზიციას ირჩევს.

დიაგრამა №26.
გსურთ თუ არა მონაწილეობის მიღება აპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივობებში (სქესის მიხედვით)



როგორც თვისობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში აღინიშნა, მოსწავლეთა აქტიური ნაწილი ინტერესით ეკიდება ყველანაირ შესაძლებლობას, ღონისძიების თემატიკის მიუხედავად. ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ დებატ-კლუბებში, გამწვანებისა თუ დასუფთავების აქციებში, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ჰარმონიზების მიზნით გამართულ ღონისძიებებში, სხვადასხვა ტიპის კონკურსებში მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ამ ღონისძიებების ინიციატორი – ადგილობრივი თვითმმართველობა თუ არასამთავრობო ორგანიზაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა არც თუ მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები საკრებულოს სხდომებსაც კი ესწრებიან და აქტიურად გამოხატავენ თავის მოსაზრებებსა და ინიციატივებს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე:

„ჩვენთან მოდიან ხოლმე და სხდომებს ესწრებიან. ისე გააქტიურდნენ, რომ რაღაც წინადადებების შემოტანაც კი დაიწყეს.“

„ეხლა იმასაც კი ითხოვენ, რომ წერილობით გავცეთ პასუხი, რატომ არ გავიდა, სიტყვაზე, მათი პროექტი”.

თვითმმართველობის წარმომადგენლები, აღნიშნავენ რა მოსწავლეთა მზაობისა და მოტივირებულობის საკმაოდ მაღალ დონეს, მიიჩნევენ, რომ გარემო პირობები შეიძლება არც იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის, მოსწავლეთა სამოქალაქო ინიციატივების წარმატებით განხორციელებისათვის:

„დღეს იმდენად განვითარებული თაობები მოდის, რომ მათ სურვილებს წინ ვერაფერი დაუდგება. შესაბამისად, თუ მოისურვებენ, ვერანაირი გარემო პირობები ხელს ვერ შეუშლის ინიციატივების განხორციელებაში”.

ამასთან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინიციატივიანობა ძირითადად შემოიფარგლება არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არ მიდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საკუთარი მოთხოვნებისა და იდეების გასაცნობად.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ნაწილი სკოლებთან ურთიერთობების გამოცდილებიდან გამომდინარე, საკმაოდ სკეპტიკურად არის განწყობილი სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების მიმართ მოსწავლეთა მზაობისა და მოტივირებულობის შეფასებაში:

„ჩვენს რაიონში დაგეგმილი გვქონდა რაღაც ღონისძიებები. ყველასთან მივიტანეთ ინ-ფორმაცია, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. ორმოცდაათი სკოლიდან ოცმა მიიღო მონაწილეობა და იმ ოციდან ათი სკოლის [მიერ წარმოდგენილი წინადადება] მიუღებელი იყო... თუ დირექტორმა, ან მასწავლებელმა არ უთხრა, [მოსწავლეთა] უმეტესობას არა აქვს იმის უნარი, რომ თვითონ გააკეთოს რაღაცა. სურვილი არ უჩნდებათ... თუ დაავალებ, გააკეთებენ...”

ზემოთ მოცემული ციტატიდანაც სჩანს, რომ რესპონდენტები პრობლემას არა მხოლოდ მოსწავლეთა არასათანადო მოტივირებულობაში ხედავენ. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლამ უფრო მეტი უნდა გააკეთოს მოს-წავლეთა სამოქალაქო ინიციატივიანობის გაზრდისათვის.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, სა-ქართველოში არ არის ხელშემწყობი გარემო იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზაცია მოახდინონ. მათი თქმით, ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია და საზო-გადოებაში არსებული განწყობები განაპირობებს, როგორც სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ხარისხის მიმართ მოთხოვნებს, ასევე ზოგადად პედაგოგებისა და მოსწავლეების მოტივაციის დონესაც:

„[მიღებულ ცოდნას] ვერ გამოიყენებენ, იმიტომ, რომ არ გვაქვს ჩვენ ის გარემო... როგორი ქვეყანაცაა, ისეთივე სკოლაც გვაქვს, როგორი საზოგადოებაცაა, ისეთივეა მასწავლებელი."

ფოკუს-ჯგუფებში აღინიშნა, რომ სამოქალაქო განათლების საგანი მოსწავლეებს საკუთარ უფლებებსა და მათი განხორციელებისა და დაცვის გზებს ასწავლის, თუმცა, მოსწავლეებს სკოლის კედლებს გარეთ სრულიად სხვა გარემო ხვდებათ, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმძღვანელოებსა და პრაქტიკულ დავალებებში აღწერილი სიტუაციებისაგან. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, მშობელთა და პედაგოგთა ნაწილი ასევე აღნიშნავს რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს, რაც მოსწავლეთა მოტივაციაზეც ახდენს ზეგავლენას:

„მზაობა შეიძლება არის, მაგრამ ბავშვები ძალიან ბევრ პრობლემას ეჯახებიან. თუნდაც, იმ უფლებების დარღვევას, [რომლებსაც ისინი სწავლობენ]. ის, რასაც სწავლობენ არის ერთი და პრაქტიკულად გამოდის მეორე. იბნევა და ვეღარ იგებს, წიგნსა და მასწავლებელს დაუჯეროს, თუ იმ რეალობას, რასაც ხედავს".

მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზებისათვის გარემო პირობების შეფასების დროს მოსწავლეთა მშობლები სხვა ფაქტორებზეც ამახვილებენ ყურადღებას. პირველ რიგში, ხაზი გაესვა იმას, რომ ცოდნის პრაქტიკული რეალიზაცია დამოკიდებულია მოსწავლის შესაბამის უნარებსა და შესაძლებლობებზე, რაც თითოეული ბავშვის შემთხვევაში ინდივიდუალურია და მისი ყველაზე განზოგადება არ შეიძლება. ანუ, გარემო პირობები ძირითადად ხელს უწყობს ახალგაზრდებს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაში, თუ მოსწავლე შეძლებს ამას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საგანი შედარებით ახალი შესულია სასწავლო პროგრამაში, გამოითქვა შეხედულება, რომ ამ ეტაპზე ბავშვები მოუმზადებლობის გამო ვერ შეძლებენ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად რეალიზებას:

„ეს საგანი ახალია და ვერ გეტყვით, რომ იმ დონეზე არიან მომზადებულნი, რომ [მიღებული ცოდნა] გამოიყენონ. პირველ რიგში, სწავლა სჭირდებათ, რომ ღრმად გაითავისონ თავისი უფლებები აქვთ და მერე მომზადებული რომ იქნება მოსწავლე, აქტივობასაც გამოიჩენს."

ბ) მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ მოსწავლეთა უმეტესობა დადებითად პასუხობს შეკითხვაზე, რომელიც სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას ეხება.

დიაგრამა №27. პრაქტიკულად გამოგიყენებით თუ არა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა?



როგორც ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე სჩანს, გამოკითხულ მოსწავლეთა 64.6% აცხადებს, რომ პრაქტიკულად გამოუყენებია სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა. თუმცა, კითხვარის შემდეგ ღია კითხვაში მოსწავლეთა მიერ მოყვანილი კონკრეტული მაგალითები გვიჩვენებს, რომ „პრაქტიკულად გამოყენებაში" სკოლის მოსწავლეები გულისხმობენ ოჯახთან ან მეზობლებთან კამათში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც, მათივე აზრით, ეყრდნობა სამოქალაქო განათლების საგანში მიღებულ ცოდნას. გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია პასუხი „არ ვიცი, რაღაც არ მახსენდება"; „ჯერჯერობით არ გამომიყენებია".

მოსწავლეთა მიერ მოყვანილი მაგალითები, როგორც წესი, ან ძალზე ზოგადი ხასიათისაა და, შესაბამისად, არ ასახავას რაიმე კონკრეტულ სამოქალაქო აქტივობას (ხშირად ეს ნასწავლი მასალის პარაფრაზია), ან არსებითად სხვა ხასიათის აქტივობის მაგალითს წარმოადგენს. კონკრეტულად, ყველაზე გავრცელებული პასუხების მაგალითებია:

1. ვიყენებ მაშინ როდესაც ამის აუცილებლობა დგება გარემოს ან საზოგადოების მხრიდან; საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს და კონკრეტული საკითხების განხილვისას; ადამიანებთან ურთიერთობისას, გარკვეული კანონების დაცვისას, თუნდაც სკოლაში ჩემი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას; საზოგადოებაში მოქცევის დროს, ადამიანებთან ურთიერთობაში; სხვისი აზრის პატივისცემა და გათვალისწინება; ყოველდღიურ სამოქალაქო ცხოვრებაში, ელემენტარულად ვიცი ჩემი უფლებები, რაც გამაჩნია როგორც მოქალაქეს და პიროვნებას; როდესაც მიწევს ზოგადად მოქალაქეზე საუბარი; ვიყენებ ცხოვრებაში; უფრო კარგად გავიგე ჩემი უფლებები, მოვალეობები და უფრო კარგად შევისწავლე ჩემს სამშობლოში მმართველობის შესახებ;

2. ჯერჯერობით არ გამომიყენებია; კონკრეტული არ მახსენდება, თუმცა მიღებულ ცოდნას სკოლის გარეთ ვიყენებ; არ მახსენდება კონკრეტული შემთხვევები;
3. მაგალითად, რა პროფესია მინდა ავირჩიო და გამომადგება თუ არა ის ცხოვრებაში; მეხმარება პროფესიის არჩევაში, ვიგებ უფრო მეტს; როცა სატელევიზიო ეთერით ინტელექტუალური გადაცემები გადის, ხშირად მოდის კითხვები სამოქალაქო განათლებიდან და სიამოვნებით ვპასუხობ; კონკრეტულად არ მახსენდება, მაგრამ ოჯახში ან მეგობრებთან ვიყენებ ცოდნას, რომელიც ამ გაკვეთილზე მივიღე; ეკონომიკის საკითხებში მიღებული ცოდნა გამოვიყენე ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის"; ხშირად გამოვთქვამ ჩემს აზრს კანონებზე და უფლებებზე, რომლებიც ჩემი აზრით არ არის საჭირო; ხშირად შევხვედრივარ კონკრეტულ მაგალითს, როდესაც ადამიანს უფლებებს უზღუდავენ და მე ეს გამიკრიტიკებია.

უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ პასუხთა უმრავლესობა ამ საკმაოდ ერთგვაროვანი გამონათქვამების ძალზე მიახლოებულ ვარიაციას წარმოადგენს და ნამდვილად არ გამოგვადგება სამოქალაქო განათლების საგნის ცოდნის პრაქტიკული გამოყენების საილუსტრაციოდ.

თუმცა გვხვდება ისეთი პასუხებიც, რომლებშიც გარკვეული აქტივობის მცდელობა ან სურვილია ასახული. ამ შემთხვევაშიც ძნელია ვისაუბროთ ჩვენი კვლევისთვის საინტერესო კუთხით განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებაზე. ამგვარი პასუხების მაგალითებია:

„როცა ჩემი მეგობარი ჩაგრავდა „პატარა მაწანწალას", რომელიც მათხოვრობდა, ეგ ჩემთვის მიუღებელია, რადგან არავის აქვს უფლება, სხვისი უფლებები შელახოს და დაჩაგროს;
ბევრს ვასწავლი მათ უფლებებს, ჩემს დას, რომელიც ჯერ არ სწავლობს ამ საგანს, ვურჩევ ბევრ რამეს, რომ მოქალაქის უფლებები სწორად გამოიყენოს, სხვა წევრსაც ვურჩევ მე ამას. ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს მისი უფლებები, ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია;
საზოგადოებასთან საუბრის დროს მე ხშირად ვიყენებ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას, მაგ: ვიცი როგორ მოვექცე ავადმყოფ ბავშვს, დამნაშავეებს (თუმცა, იშვიათად მიწევს მათთან ურთიერთობა); დებატებზე, ხშირად კონფლიქტის მოგვარების დროს გამომიყენებია სამოქალაქო განათლებაში მიღებული კონფლიქტის გადაჭრის ხერხები".

განხილული მაგალითების ფონზე ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რამდენად კარგად ერკვევიან მოსწავლეები იმაში, თუ რას გულისხმობს სამოქალაქო აქტივობა, როგორც ასეთი, და არა სამოქალაქო განათლება, როგორც სასწავლო დისციპლინა.

მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის

პრაქტიკულად გამოყენების შესახებ კითხვის მიმართ მიღებული შედეგების ანალიზმა კლასისა და სქესის გათვალისწინებით სანდო სხვაობა გამოავლინა შესაბამის მაჩვენებლებს შორის. მეათე (73.2%) და მეთერთმეტე (70.1%) კლასების მოსწავლეებთან შედარებით, მეთორმეტე-კლასელთა გაცილებით ნაკლები წილი (50.3%) აცხადებს, რომ მათ პრაქტიკულად გამოუყენებიათ სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა. შესაბამისად, მათ შორის მეტია მათი წილი (49.7%), ვინც უარყოფითად პასუხობს ამ შეკითხვაზე.

დიაგრამა №28. პრაქტიკულად გამოგიყენებით თუ არა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა? (კლასების მიხედვით)



ვაჟი მოსწავლეების 60.1 პროცენტისა და გოგონების 67.6 პროცენტის განცხადებით, მათ პრაქტიკულად გამოუყენებიათ სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა. შესაბამისად, გოგონებთან შედარებით (32.4%), ვაჟი რესპონდენტების მეტი წილი (39.9%) მიუთითებს, რომ მათ ეს ცოდნა პრაქტიკულად არ გამოუყენებიათ. ამ შეკითხვაზე მოსწავლე გოგონათა ჯგუფს დადებითი პასუხების ოდნავ უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, ხოლო ბიჭებს – უარყოფით პასუხების შედარებით მაღალი მაჩვენებელი. ეს განსხვავება სანდოა და შეგვიძლია განვაზოგადოთ საქართველოს პოპულაციაზე.

დიაგრამა №29. პრაქტიკულად გამოგიყენებით თუ არა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა? (სქესის მიხედვით)



ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში მოსწავლეებს უნდა მიეთითებინათ, თუ რა სიხშირით იყენებენ სამოქალაქო განათლების საგანში მიღებულ ცოდნას. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი გაცემული აქვს 1063 ბავშვს (1033-ის ნაცვლად), რაც რესპონდენტთა მიერ კითხვარის შევსების ინსტრუქციის დარღვევის შედეგია. დანარჩენმა მოსწავლეებმა უარყოფითად უპასუხეს წინა შეკითხვას და, შესაბამისად, აღარ გასცეს პასუხი შემდეგ შეკითხვაზე.

იმ რესპონდენტებიდან, რომელთაც, მათი განცხადებით, პრაქტიკულად გამოუყენებიათ მიღებული ცოდნა, 7.3 პროცენტი მიუთითებს, რომ ეს ძალზე ხშირად მომხდარა, 29.1% ხშირად იყენებს; 17.0% – იშვიათად, ხოლო 4.7% – ძალიან იშვიათად. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში გაცილებით სჭარბობდა (41.9%) ნეიტრალური ხასიათის პასუხები.

დიაგრამა №30. რა სიხშირით იყენებთ სამოქალაქო განათლების საგანში მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში?



პასუხებს შორის სანდო სხვაობა იქნა მიღებული მონაცემთა გაანალიზებისას რეგიონებისა და კლასების გათვალისწინებით.

როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ვხედავთ, სხვა რესპონდენტებთან შედარებით, ყველაზე ხშირად პასუხს „იშვიათად" ან „ძალზე იშვიათად" ირჩევენ მეთორმეტე კლასის მოსწავლეები. თუმცა ისიც ცხადია, რომ ზოგადად რესპონდენტები, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასში სწავლობენ, ყველაზე ხშირად ე.წ. შუალედურ, ანუ ნეიტრალურ პოზიციას იკავებენ.

დიაგრამა №31. სამოქალაქო განათლების საგნის გამოყენების სიხშირე კლასების მიხედვით



ნეიტრალური პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი მივიღეთ იქნა თბილისის (52.6%), შიდა ქართლისა (51.8%) და სამცხე-ჯავახეთის (50%) მოსწავლეებთან. იმერეთისა (34.3%) და გურიის (31.5%) სკოლის მოსწავლეები აცხადებენ, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა ხშირად გამოუყენებიათ პრაქტიკულად. ზოგადად, პასუხების ყველაზე ნაკლები წილი მოდის ორ პოლარულ შეფასებაზე – „ძალიან ხშირად" და „ძალიან იშვიათად", ხოლო ყველაზე გავრცელებულია შეფასება „მეტ-ნაკლებად ხშირად", რაც ჩვენს სკალაზე ნეიტრალურ ტენდენციას უტოლდება.

დიაგრამა №32. სამოქალაქო განათლების საგნის გამოყენების სიხშირე რეგიონების მიხედვით



დიაგრამა №33.
სამოქალაქო განათლების საგნის გამოყენების სიხშირე რეგიონების მიხედვით (გაგრძელება)



თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო განათლების სწავლებას გარკვეული პოზიტიური ეფექტი ექნება, თუნდაც, მოსწავლეთა მიერ სკოლის დამთავრების შემდეგ. პედაგოგები იმედოვნებენ, რომ გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნას „ძირითადი მასა კლასიდან გამოიყენებს, ოღონდ როცა სკოლას დაამთავრებს“. საგულისხმოა, რომ პედაგოგების მნიშვნელოვანი ნაწილი სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზებას მაინც იმ ძირითადი სამოქალაქო უფლებებისა და პასუხისმგებლობების განხორციელებას უკავშირებს, რომლებიც სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ დგება, მაგალითად, იგივე, არჩევნებში მონაწილეობას, ამასთან, პედაგოგები ნაკლებად ხედავენ მიღებული ცოდნის სკოლის ასაკშივე რეალიზების შესაძლებლობებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა მშობლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში „გამოცდა” სასურველია და პედაგოგებმა ამაზე სათანადოდ უნდა გაამახვილონ ყურადღება:

„როგორ უნდა მოახდინოს ბავშვმა [მიღებული ცოდნის] პრაქტიკული გამოყენება, ესეც უნდა ისწავლებოდეს ცალკე.”

ამასთან, მშობელთა მეორე ნაწილის აზრით, სკოლის ასაკში მიღებული ცოდნის გამოყენება მაინცადამაინც არ არის სასურველი. ამ ეტაპზე ბავშვებმა მხოლოდ ცოდნა უნდა შეიძინონ და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, „დამოუკიდებელ ცხოვრებაში” შეძლებენ მიღებული ცოდნის რეალიზებას. ამასთან, მშობელთა

აზრით, არსებული საკანონმდებლო ბაზა ყოველთვის არ აძლევს შესაძლებლობას ბავშვებს, სკოლის ასაკშივე პრაქტიკაში გამოიყენონ გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა:

„ცოდნას ასაკთან ერთად გამოიყენებენ და თუ ეცოდინებათ [სამოქალაქო განათლების საგნით გათვალისწინებული საკითხები], ამაზე კარგი არაფერი არ არის."

„ეგ ისეთი საკითხებია, რომ შეიძლება ყველა ვერ გამოიყენონ სკოლის ასაკში. მე ვფიქრობ, რომ ეგ უფრო მომზადებაა მომავლისთვის. არ არის აუცილებელი, რომ გამოიყენონ სკოლის ასაკში."

გ) მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაში გამოყენება და სასკოლო გარემოს შეფასება

როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობა და სიხშირე არ არის მაღალი.

გამოკითხულ მოსწავლეთა 28.7% მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო იძლევა სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობას. 44.6%-ის აზრით კი, ეს მეტ-ნაკლებად არის შესაძლებელი სკოლის ფარგლებში. ამის შესაძლებლობას გამორიცხავს რეს-პონდენტთა 12.5%.

მეათე (46,1%), მეთერთმეტე (43,3%) და მეთორმეტე (44,6%) კლასების მოს-წავლეთა აზრით, სასკოლო გარემო მეტ-ნაკლებად იძლევა სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას. უარყოფითი პასუხის ყველაზე მაღალი პროცენტი ფიქსირდება მეთორმეტე კლასში (18,2%). მეათე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეთა 32,7% და 33,4% შესაბამისად მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო იძლევა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას. ზემოთ მოყვანილი მასალიდანაც და ამ შეკითხვის შედეგებიდან გამომდინარეც შეიძლება ითქვას, რომ მეთორმეტე კლასელები, წინა ორი კლასის მოსწავლეებთან შედარებით, ნაკლებად პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენენ აღნიშნული საკითხის მიმართ. ამ მონაცემების განზოგადება შესაძლებელია საქართველოს პოპულაციაზე.

დიაგრამა №34. იძლევა თუ არა სასკოლო გარემო სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას სკოლაშივე სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა აზრით



თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული პედაგოგების აზრით, სკოლებში მოსწავლეებს მეტნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა. ამასთან, პედაგოგები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ უფლებათა სწავლებამ დღეს უკვე გამოიღო შედეგი და მოსწავლეები წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო ეფექტიანად იცავენ თავიანთ უფლებებსა და ინტერესებს, რაც ცალკეული პედაგოგების უკმაყოფილების (ან გაღიზიანების) მიზეზიც ხდება:

„რატომ მოითხოვენ მასწავლებლისგან, რომ იყოს იდეალური? რატომ მოითხოვენ მასწავლებლისგან, რომ არ გამოვიდეს მწყობრიდან და მოსწავლისგან არ მოითხოვენ იგივეს? ყველაფრის უფლება აქვთ დღეს მოსწავლეებს...“

ამ საკითხთან დაკავშირებით პედაგოგთა დიდი ნაწილი უფრო ლოიალურად არის განწყობილი და მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა მიერ თავისი უფლებების დაცვა სასურველიც კია და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა მიერ გაწეული შრომის შედეგებზეც მიუთითებს:

„ვფიქრობ, ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ბავშვი რამეს გააპროტესტებს. იყო შემთხვევები, რომ კოლექტიური წერილი დაუწერიათ ბავშვებს, მისულან დირექტორთან... ხდება ეგეთები... ბავშვი თუ დამნაშავეა, ის არასდროს უჩივლებს მასწავლებელს“.

შედარებით უფრო კრიტიკულია პედაგოგთა მეორე ნაწილი, რომელიც მიიჩ-ნევს, რომ სასურველი შედეგებისაგან სკოლა ჯერ კიდევ შორს დგას, რადგან პედაგოგები და მოსწავლეები ყოველთვის სათანადო პატივისცემით არ ეპყრო-ბიან ერთმანეთს:

„სკოლაშიც არ არის სრული ეფექტი მიღწეული. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ გაკვეთილზე ასწავლი მოსწავლეს, როგორ გახდეს სრულუფლებიანი მოქალაქე, როგორ სცეს პატივი სხვის უფლებებს, სკოლაშიც კი არ არის ეს მიღწეული და მითუმეტეს ჩვენს საზოგადოებაში...“

ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს სკოლებში სამოქალაქო განათლების საგანში მიღებული ცოდნა სასწავლო დაწესებულებების ფარგლებში ფაქტობრივად არ გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის შესაბამისი გარემო ასე თუ ისე არსებობს. ამის მიზეზად რამდენიმე ძირითადი ფაქტორი დასახელდა. პირველ რიგში, აღინიშნა სკოლების პერსონალის ძველი, „საბჭოური“ მენტალიტეტი და მოსწავლეთათვის მათი უფლებების განსახორციელებელი სივრცის შეზღუდვა პირდაპირი თუ ირიბი ფორმებით. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია, მოსწავლეებს არ უკრძალავენ საკუთარი უფლებების განხორციელებას, თუმცა, სათანადოდ ვერ უწყობენ ხელს მათ გააქტიურებას. მაგალითად, არ უფინანსებენ იდეებს, არ აძლევენ თავისუფალ ფართს გარკვეული აქტივობების განსახორციელებლად.
„წიგნში სწავლობს უფლებებს, მაგრამ ამით მთავრდება ყველაფერი. უშუალოდ დირექტორი ბავშვებს არაფერს უკრძალავს, მაგრამ არც გასაქანს აძლევს, რომ რამე გააკეთონ...“

მოსწავლეთა მშობლების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ სამოქალაქო განათლების საგანის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა სკოლაშივე პრაქტიკულად განახორციელონ. ხშირ შემთხვევაში, მშობელი ცოდნის რეალიზების შესაძლებლობას ისევ მოსწავლესა და პედაგოგს/სკოლის დირექციას შორის ურთიერთობებში ხედავს. მაგალითად, თუ პედაგოგი, სკოლის დირექციის წარმომადგენელი ან მანდატური მოსწავლეს შეურაცხყოფას მიაყენებს, მოსწავლემ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნით უნდა შეძლოს „თავის დაცვა”.

როგორც გამოკითხულმა პედაგოგებმა აღნიშნეს, სკოლის დონეზე მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობები შემოიფარგლება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობითა და არჩეული ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მიღებით. ამასთან, სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტები აღნიშნავენ მოსწავლეთა დიდი ნაწილის დაინტერესებას თვითმმართველობის არჩევნების პროცესებით. პედაგოგები, გამოკითხული სხვა კატეგორიის რესპონდენტების მსგავსად მიიჩნევენ, რომ სკოლის თვითმმართველობის ორგანოებისა და კერძოდ, მოსწავლეთა თვითმმართველობების ეფექტიანობა დღეისათვის მაღალი არ არის. უფრო მეტიც, მოსწავლეთა თვითმმართველობა ხშირად მხოლოდ „ქაღალდზე არსებობს” და ფიქტიურია. ამასთან, რესპონდენტებმა მოიყვანეს ცალკეული მაგალითები იმისა, თუ როგორ დაიცვა თვითმმართველობამ მოსწავლეთა უფლებები, თუმცა, ამგვარი შემთხვევები დღევანდელ დღეს უფრო გამონაკლისის სახეს ატარებს, ვიდრე ტენდენციისა. მოსწავლეთა თვითმმართველობების აქტიურობა ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლება საზეიმო ღონისძიებების ორგანიზებით.

ამასთან, პედაგოგები ფიქრობენ, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობამ ბევრად უფრო მეტი და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას უნდა შეუწყოს ხელი, თუმცა, ამ საკითხებზე მუშაობას მოსწავლეთა თვითმმართველობა უბრალოდ ვერ ბედავს:

„კი მაგრამ, დღესასწაულებს რა კავშირი აქვს თვითმმართველობასთან? მაშინ, როცა უამრავი პრობლემაა სკოლაში – იგივე მოსწავლეთა ჩაცმულობა, მასწავლებლების პრობლემა... ამაზე უნდა მსჯელობდეს თვითთმართველობა. ამაზე საუბარს ის ვერ ბედავს“.

თავად მოსწავლეთა 33.3% მიიჩნევს, რომ სკოლის თვითმმართველობის ორგანოები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა სკოლაშივე. ნეიტრალური პასუხი დაფიქსირდა გამოკითხულთა 41.4%-თან. ხოლო უარყოფითი პასუხი კითხვაზე გასცა მოსწავლეთა 14.9%-მა.

მე-10 და მე-12 კლასის მოსწავლეთა 42.3%-ს აზრით, სკოლის თვითმმართველობის ორგანოები მეტ-ნაკლებად იძლევა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებას სკოლაში. იგივე კუთხით თითქმის ერთნაირად დადებითად შეაფასეს ამ ორგანოს მუშაობა მე-10 და მე-11 კლასებმა (39.0% და 39.7%). უარყოფითი შეფასების პროცენტი შედარებით დაბალია სამივე კლასის მოსწავლეებში. ამ მონაცემების განზოგადება შესაძლებელია საქართველოს პოპულაციაზე.

დიაგრამა №35. იძლევა თუ არა სკოლა და მისი თვითმმართველობის ორგანოები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებას სკოლაშივე



რაც შეეხება სკოლის თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურობას, გამოკითხულ მოსწავლეთა 41,7%-ის აზრით, ამ ორგანოების მუშაობა შედეგიანია; გამოკითხულთა მესამედზე ოდნავ ნაკლები (29.5%) შუალედურ პოზიციას ირჩევს, ხოლო შეფასებას „ძალზედ შედეგიანია“ დასჯერდა მოსწავლეთა 11.7 %. საგულისხმოა, რომ სკოლის თვითმმართველობის ორგანოების მიმართ მოსწავლეთა ამგვარი შეფასებები რადიკალურად განსხვავდება თვისობრივ კვლევაში მონაწილე სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა ზოგადი განწყობებისაგან.

საინტერესო განსხვავებები დაფიქსირდა სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მოსაზრებებს შორის. მაგალითად მე-10 კლასის მოსწავლეების 48,2% მიიჩნევს სკოლის თვითმმართველობის ორგანოების მუშაობას შედეგიანად, მაშინ როდესაც მეთორმეტეკლასელებთან შესაბამისი მაჩვენებელი 33.3%-ს შეადგენს. ამასთანავე ზემოაღნიშნული ორგანოს მუშაობას მეტ-ნაკლებად შედეგიანად მიიჩნევს მე-12 კლასის წარმომადგენელთა მხოლოდ 35.6%, მეათეკლასელებთან კი ამგვარი შეფასების მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია (25.6%). „ძალზედ შედეგიანად” აფასებს მეთერთმეტე კლასის მოსწავლეთა შედარებით მეტი წილი (15,7% წინააღმდეგ 10.4%-ისა მე-10 და 8,5%-სა მე-12 კლასების მოსწავლეებთან). პასუხის „სრულიად უსარგებლოა” ყველაზე დიდი პროცენტული წილი მოდის მე-12 კლასელებთან (6.6%).

დიაგრამა №36.
სკოლის თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურობა სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა აზრით



საგულისხმოა, რომ რამდენიმე ფოკუს-ჯგუფში აღინიშნა მოსწავლეთა თვით-მმართველობის ორგანოების შედარებით დაშორება მოსწავლეებისაგან, ხაზი გაესვა რა იმ გარემოებას, რომ ამ ორგანოს წევრებს ხშირად არა აქვთ ეფექტიანი კომუნიკაცია მოსწავლეთა დანარჩენ ნაწილთან. ამას ემატება ისიც, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებში ზოგადად, საკმაოდ დაბალია მე-12 კლასელთა მონაწილეობის ხარისხი, რადგან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი იშვიათად მიდის სკოლაში.

ამასთან, რამდენიმე ფოკუს-ჯგუფში აღინიშნა, რომ თვითმმართველობა სკოლებში ახლა იდგამს ფეხს და შესაბამისად, ცოტა ადრეა ამ ორგანოების ეფექტიანობაზე საბოლოო დასკვნების გაკეთება.

განსხვავებული შეფასებები მივიღეთ სკოლების დემოკრატიულობის ხარისხთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნაწილი, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო დემოკრატიულია და ამ მხრივ გატარებულმა რეფორმებმა გარკვეული შედეგები გამოიღო, რაც იგივე მოსწავლეთა თავისუფლების შედარებით მაღალ ხარისხში ჰპოვებს ასახვას:

„ჩვენ ეხლა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავიჯერით. იყო პერიოდი, როდესაც მოსწავლეებს ხმას არ აღებინებდნენ და სკოლებში ავტორიტარული რეჟიმი იყო. ეხლა კი პირიქით, ბავშვების ავტორიტარული რეჟიმია მასწავლებლების მიმართ, ანუ გარემო არის [მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის სკოლაშივე რეალიზებისათვის], მაგრამ არა ის გარემო, რაც უნდა იყოს."

„თქვენ დღევანდელი ბავშვები არ იცით...დღეს მასწავლებლები უფრო დასაცავები არიან..."

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის, განსაკუთრებით კი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, საქართველოს სკოლების დემოკრატიულობის ხარისხი არ არის ადექვატური იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს მიღებული ცოდნის ეფექტიანად გამოყენება ისევ სკოლის ფარგლებში. ამასთან, ჯგუფებში აღინიშნა, რომ ამ მხრივ არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც. კერძოდ, შესაძლოა გამოიყოს შედარებით პროგრესული სკოლები და მათი დირექტორები, ვინც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურობას და ორგანიზებასაც კი უწევს გარკვეულ ღონისძიებებს (დასუფთავება, გამწავენება და ა.შ.) თუმცა, ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია და ე.წ. ელიტარული სკოლებით შემოიფარგლება.

თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების აზრით, სკოლაში პროცესების წარმართვა ხშირად ისევ დირექტორის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რაც მოსწავლის მოტივაციაზეც ახდენს ზეგავლენას:

„...მაგრამ, როცა დირექტორი დაიწყებს, რომ მოდი ეს ასე გავაკეთოთ და მოდი ის ისე გავაკეთოთო, აქ სამოქალაქო განათლების ადგილი საერთოდ აღარ რჩება."

იმის ფონზე, რომ თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დიდი ნაწილი საკმაოდ სკეპტიკურად არის განწყობილი სკოლების დემოკრატიულობის ხარისხთან დაკავშირებით, მოსწავლეთა 39.9% პროცენტი აცხადებს, რომ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების დროს მათი აზრი მეტ-ნაკლებად არის გათვალისწინებული. ეს შეფასება, ანუ შუალედური პოზიციის არჩევის ტენდენცია ამ შემთხვევაშიც უფრო ჭარბობს სხვა პასუხებთან შედარებით (დადებითი პასუხი – 33.9%, უარყოფითი პასუხი – 16.1%).

დიაგრამა №37.
სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების დროს გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლეთა აზრი?



დ) მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება; არასამთავრობო ან სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობის მიღება

როგორც რაოდენობრივმა კვლევამ გვიჩვენა, მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას (86.5%) არ დაუგეგმავს საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო აქტივობები (ინიციატივები); გამოკითხულთა მხოლოდ 13.5 პროცენტი პასუხობს დადებითად ამ კითხვას.

დიაგრამა №38. საკუთარი ინიციატივით დაგიგემავთ თუ არა სამოქალაქო აქტივობები ან ინიციატივები?



განსხვავებული შედეგები მივიღეთ მონაცემთა განხილვისას გამოყოფილი სტრატების მიხედვით: უარყოფითი პასუხის ყველაზე მაღალი (91.4%) და დადებითი პასუხების ყველაზე დაბალი (8.6%) პროცენტული წილი ვლინდება თბილისელ მოსწავლეებთან. ამავე დროს დაახლოებით ერთნაირი ტენდენციები გამოიკვეთა დიდ ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ანუ სხვა რეგიონების მოსწავლეებთან შედარებით, თბილისელი რესპონდენტები, მათი პასუხების თანახმად, ყველაზე პასიურები აღმოჩნდნენ ამ თვალსაზრისით.

დიაგრამა №39. საკუთარი ინიციატივით დაგიგეგმავთ თუ არა სამოქალაქო აქტივობები და ინიციატივები? (დასახლებული პუნქტების მიხედვით)



იმ რესპონდენტებიდან, რომელთაც საკუთარი ინიციატივით დაუგეგმავთ სამოქალაქო აქტივობები, ნახევარი აცხადებს, რომ მათი აქტივობის მთავარი სამიზნე იყო სკოლა. დაახლოებით მესამედისთვის ეს იყო ადგილობრივი თვითმმართველობა. დაახლოებით თანაბარი პროცენტული წილისთვის ამგვარი ობიექტები იყო ხელისუფლების რეგიონული ორგანოები (7.6%) და ბიზნეს ორგანიზაციები (7.1%); ხოლო 2.4%-ისთვის ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები, მოსწავლეთა 0.9%-ისთვის კი სხვა სოციალური ჯგუფები. ძალზე მცირეა იმ რესპონდენტთა წილი, რომელიც თავისი სამოქალაქო აქტივობის ობიექტებად სხვა სოციალურ ჯგუფებს/ორგანიზაციებს ასახელებს.

დიაგრამა №40. საკუთარი ინიციატივით დაგეგმილი სამოქალაქო აქტივობების მთავარი სამიზნეები



ამ შეკითხვაზე სტატისტიკურად განსხვავებული შედეგები იქნა მიღებული სხვა-დასხვა გეოგრაფიულ ზონებში.

დიაგრამა №41. საკუთარი ინიციატივით დაგეგმილი სამოქალაქო აქტივობების მთავარი სამიზნეები სხვადასხვა გეოგრაფიული ზონების მიხედვით



არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა მიღებული აქვს გამოკითხულ მოსწავლეთა 28.8 პროცენტს. შესაბამისად, გამოკითხულთა 71.2 პროცენტი საპირისპიროს აცხადებს.

დიაგრამა №42. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ სამოქალაქო ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სამოქალაქო პროექტებსა და ინიციატივებში?



მათ შორის, ვისაც მიუღია მონაწილეობა სამოქალაქო აქტივობაში, ყველაზე მეტია იმ რესპონდენტთა წილი (46.2%), რომლებიც აცხადებენ, რომ მონაწილეობა მიუღიათ იმ სამოქალაქო აქტივობებში, რომელთა სამიზნეც თვითონ სკოლა იყო. მოსწავლეთა აქტივობის შემდეგ არეალს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმართველობა (29.8%). მას დიდი დაცილებით მოსდევს ხელისუფლების რეგიონული ორგანოები (10.9%). გოგონებისა და ბიჭების პასუხებში თითქმის ერთნაირი ტენდენციები გამოვლინდა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში – „ბიზნეს ორგანიზაციებთან" დაკავშირებით მივიღეთ განსხვავებული შედეგები: ამ ორგანიზაციას სამოქალაქო აქტივობის სამიზნედ ასახელებს ვაჟების 13.6 და გოგონების 4.5 პროცენტი.

დიაგრამა №43. არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებული სამოქალაქო აქტივობების მთავარი სამიზნეები (მოსწავლეთა სქესის მიხედვით)



თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, ამ ორგანიზაციების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სწორედ ახალგაზრდათა და მოსწავლეთა მიმართ გამიზნული აქტივობების განხორციელება წარმოადგენს.

არასამთავრობო ორგანიზაციები ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს – სადისკუსიო კლუბებს, გამწვანებისა თუ დასუფთავების აქციებს, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ჰარმონიზების მიზნით გამართულ ღონისძიებებს, ლიტერატურულ საღამოებს, ინტერნეტიზაციას, ლაშქრობებს, პიროვნულ ზრდაზე მიმართულ ტრენინგებს.

ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები ასაქმებენ აქტიურ ახალგაზრდათა ნაწილს. პერიოდულად აძლევენ ახალგაზრდებს მოხალისის სტატუსით გარკვეულ აქტივობებში ჩართვის საშუალებას:

„როცა შესაძლებლობა გვაქვს, სამსახურშიც კი აგვყავს ახალგაზრდები. ეს იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც ვახერხებთ ხოლმე".

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების უმთავრეს პრობლემას ფინანსების სიმცირე წარმოადგენს, რაც მათ სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობების შესაძლებლობებს უზღუდავს:

„ჩვენ არ გვაქვს საკმარისი თანხები და ესაა პრობლემა. რაც უფრო მეტი ფიანსნები გვექნება, მით უფრო მეტი საქმის გაკეთებას შევძლებთ".

არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას მოსწავლეებთან ართულებს ის გარემოებაც, რომ ისინი სკოლის სივრცეში ვერ შედიან, თუ შესაბამისი ნებართვა არა აქვთ მიღებული განათლების სამინისტროსაგან.

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მოსწავლეთა სამოქალაქო ინიციატივები

თვისობრივ კვლევაში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად ახორციელებენ ახალგაზრდების სამოქალაქო ინიციატივის წასახალისებელ ღონისძიებებს და სხვადახვა ფორმით უწყობენ ხელს ახალგაზრდებს მათი ინტერესების დაკმაყოფილებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, თვითმმართველობას აქვს გარკვეული სოციალური პროგრამები, რომლის მეშვეობითაც ისინი „ეხმარებიან ნიჭიერ, მაგრამ შეჭირვებულ ახალგაზრდებს".

კვლევისათვის საინტერესო საკითხებზე სკოლის მოსწავლეებთან თანამშრომლობის გამოცდილებაზე საუბრისას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა რამდენიმე ტიპის ღონისძიებას გაუსვეს ხაზი, რომელთა ნაწილი სკოლებისა და მოსწავლეების, ხოლო ნაწილი თავად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით იყო განხორციელებული. მოსწავლეთა ინტერესი, ითანამშრომლონ ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ხშირად სხვადასხვა მუნიციპალური, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით არის გამოწვეული:

„მოზარდებს ძირითადად აინტერესებთ ახალციხის განვითარება, რა პროექტები გვაქვს მომავალში დაგეგმილი. ასევე აინტერესებთ, ვთქვათ, ასფალტი, როგორ დაიგო, მოსწონთ თუ არა პარკი. ბავშვებისგან ასეთი კითხვები მოდის".

ამასთან, მოსწავლეთა ნაწილის აქტივობა მიზანმიმართულია იმაზე, რომ რაიმე ფორმით ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებების მიღებაზე ან მონაწილეობა

მიიღონ ამ პროცესებში. ამ მხრივ ისინი შესაშურ აქტივობასაც იჩენენ:
„ქუთაისის საკრებულოში ისეთ აქტივობას იჩენენ, მეტი არ შეიძლება. გადაწყვეტილების მიღების და მომზადების პროცესში იყვნენ ჩართულები. პარლამენტის მოდელი გავაკეთეთ და იქაც აქტიურად მონაწილეობდნენ".

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები მოსწავლეთა სტიმულირებისათვის არცთუ იშვიათად მიმართავენ კონკურსებს და ცდილობენ მოსწავლეთა მხრიდან წამოსული ინიციატივები რაიმე ფორმით ასახონ შესაბამისი მუნიციპალიტეტის პროგრამებსა და ბიუჯეტში. ასე მაგალითად, გორის გამგებელმა უფროსკლასელთათვის გამოაცხადა კონკურსი თემაზე – „მე რომ გამგებელი ვიყო, რას გავაკეთებდი ჩემი ქალაქისთვის":
„ბავშვებს ძალიან კარგი გეგმები და სურვილები ჰქონდათ და ბევრი მათგანი ქალაქის განვითარების გეგმაში ჩავსვით.... მათი ინიციატივა იყო ქალაქის ცენტრში სიძველეთა გამოფენა გაგვეკეთებინა, რაც უკვე შევასრულეთ, ერთ-ერთი პარკი გავამწვანეთ, ვაშენებთ მოხუცებულთა სახლს, რაც ქალაქს ადრე არ ჰქონდა".

ამდაგვარი კონკურსების არსებობის შესახებ ინფორმაცია გაჟღერდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა თითქმის ყველა ჯგუფზე:
„ჩვენ სულ ვცდილობთ რაღაც კონკურსების მოწყობას. ვიწვევთ ხოლმე მოსწავლეებს, რომ მოგვაწოდონ იდეები და შესაძლებლობის ფარგლებში ვუფინანსებთ კიდევაც".
„ჩვენ შევადგინეთ ახალგაზრდული დეპარტამენტის ბიუჯეტი და აქედან დაახლოებით 50,000 ლარი გამოვყავით პროგრამებისთვის, რომლებიც ახალგაზრდებმა უნდა წარმოადგინონ.... თვითონ როგორ პროგრამას დაწერენ, ეს უკვე ჩვენ აღარ გვეხება".

ამგვარ კონკურსებთან დაკავშირებით ხშირად აღინიშნა, რომ სამწუხაროდ, მოსწავლეები და ახალგაზრდები ყოველთვის არ იჩენენ სათანადო ინიციატივას და არ იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობა მათ სთავაზობს:
„ერთი თვე ვთხოვდით, რამე პროექტი დაეწერათ, რომ მერე განეხორციელებინათ, დავუფინასებდით, ვთხოვდით და ერთი ბავშვიც არ აღმოჩნდა, რომელიც დაწერდა რამე პროექტს".
„არანაირი წერილი არ შემოსულა ბოლო ერთი წლის მანძილზე, რომ რამენაირი კუთხით რამე დაინტერესება გამოეხატათ მოსწავლეებს".

ასევე აღინიშნა, რომ ამგვარი პასიურობის მიზეზი ყოველთვის არ არის მხოლოდ მოსწავლეთა მხრიდან სამოქალაქო აქტივობების განხორციელების მოტივაციის არარსებობა. ხშირად, მოსწავლეებს კონკრეტული იდეები და მოსაზრებები აქვთ, თუმცა, არ იციან, როგორ უნდა იმოქმედონ ამ იდეების რეალიზებისათვის, მაგალითად, როგორ უნდა შეადგინონ პროგრამა ან პროექტი და წარუდგინონ იგი ადგილობრივ თვითმმართველობას:

„ინიციატივები და სურვილები, რა თქმა უნდა, აქვთ, მაგრამ ამის განხორციელების გზები არ იციან. წარმოდგენა არა აქვთ, როგორ უნდა მოიქცნენ, სად უნდა წავიდნენ, ვისთან უნდა მივიდნენ... ძირითადად უნდა ეხვეწო ბავშვებს და ხვეწნით უნდა ჩართო, იმიტომ, რომ, ალბათ, არა აქვთ შესაბამისი განათლება... ბავშვს ინიციატივებიც რომ ჰქონდეს და სურვილიც, უბრალოდ არ იცის როგორ განახორციელოს ... ამიტომ უნდა ჩაუტარდეთ ჩვენს რაიონში სემინარები [ადგილობრივ] თვითმმართველობასთან დაკავშირებით".

ამას გარდა, რამდენიმე ფოკუს ჯგუფში ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სასარგებლო იქნება, თუ ბავშვებს პროგრამებისა და პროექტების შედგენასაც ასწავლიან.

ზემოთ აღნიშნული აქტივობების გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ახალგაზრდების გააქტიურებას ხელს უწყობენ სხვადახვა სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების ორგანიზებით, გამწვანებასთან და დასუფთავებასთან დაკავშირებული ინიციატივებით, ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენების ორგანიზებით. ერთ-ერთი თვითმმართველობა თავის რადიო ეთერს უთმობს ბავშვებს, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში მიჰყავთ გადაცემები. ერთ-ერთმა მუნიციპალიტეტმა ასევე ჩაატარა ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისათვის ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები ფინანსების სიმცირეს უჩივიან და ამბობენ, რომ უფრო მეტი და ეფექტიანი პროექტების განხორციელებაში ფინანსების ნაკლებობა უშლით ხელს.

3) როგორ წარმოუდგენიათ თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს მოსწავლეთათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში

როგორც თვისობრივი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა მოტივაცია არცთუ მაღალია იმისათვის, რომ მოსწავლეებს დაეხმარონ სამოქალაქო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ფოკუს-ჯგუფებში საგნის პედაგოგთა დიდმა ნაწილმა გამოთქვა რა მზადყოფნა, „შესაძლებლობის ფარგლებში" დაეხმაროს მოსწავლეებს ამგვარ ინიციატივებში, ვერ წარმოადგინა კონკრეტული მოსაზრებები, თუ რა ფორმით შეიძლება გამოიხატოს ეს დახმარება (ბავშვებისავის რჩევა-დარიგებების მიცემას და „პირადი მაგალითის ჩვენებას" თუ არ ჩავთვლით). ამასთან, პედაგოგები ცდილობდნენ ამ მხრივ პასუხისმგებლობის გადამისამართებას მოსწავლეთა ოჯახებზე და ხაზს უსვამდნენ სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებისათვის სათანადო გარემოს არსებობის აუცილებლობას:

„მხოლოდ დარიგებით, რჩევით შეგვიძლია დავეხმაროთ. ოჯახსაც ძალიან დიდი მნიშ-

ვნელობა აქვს. მე შეიძლება ვასწავლო კიდეც, მაგრამ თუ გარემომაც არ შეუწყო ხელი, არაფერი გამოვა“

პედაგოგთა ნაწილი ფიქრობს, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლა უკვე საკმარისი დახმარებაა მოსწავლისთვის და მოსწავლემ თავად უნდა უზრუნველყოს გადაცემული ცოდნის რეალიზება:
„ჩემი დახმარება ის არის, რომ ყველა ბავშვის მონაცემი ვიცი – ვის რა შეუძლია, რას გააკეთებს მომავალში... მე ჩემს მარცვალს ჩავდებ და მერე თვითონ როგორ განახორციელებს, ამაში მონაწილეობას ვერ მივიღებ.“

პედაგოგთა ნაწილს დახმარება მოსწავლეებისთვის პირადი მაგალითის მიცემით წარმოუდგენია. ამასთან, პედაგოგთა ნაწილი ხაზს უსვამს სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებისათვის შეუსაბამო გარემოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლობას (რაც ართულებს პედაგოგების ჩართვას მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობებში), ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ სახის ინიციატივებში კლასის დამრიგებლის დახმარება უფრო ეფექტიანი იქნება:
„... თუმცა, ბავშვს უარს არ ვეტყვით, თუ [ჩვენი დახმარება] დასჭირდება... დამრიგებელი უფრო ახლოსაა და ევალება კიდეც.“

პედაგოგები ხაზს უსვამენ, რომ სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა ან არასრულყოფილება ართულებს პედაგოგთა მიერ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევას სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებაში:
„მიმაჩნია, რომ ცოტა რთულია სკოლის გარეთ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევა. ჩემს გაკვეთილზე სკოლაში მოსწავლეებს ყოველთვის პატივისცემით ვეპყრობი, წესიერად მივმართავ, მაგრამ სკოლის გარეთ ცოტა რთულია, იქიდან გამომდინარე, რომ ისეთი საზოგადოება გხვდება, რომელსაც არაფრად არ უღირს შენი უფლებების დაცვა... ძალიან დიდი შეუსაბამობა და წინააღმდეგობაა ისევ იმ პრობლემის გამო, რომ ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოება ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. თუ მოსწავლეს რაიმე კონკრეტულად დასჭირდება ჩემი მხრიდან, მე რა თქმა უნდა, მზად ვარ რომ დავეხმარო, თუ შემეძლება აი ამ მდგომარეობის გამო, როგორ საზოგადოებაშიც ვცხოვრობთ“.

პედაგოგთა ნაწილს საერთოდ გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან ამ საკითხზე ადრე არ უფიქრია:
„ამ ეტაპზე უძლურები ვართ, თვითონ უნდა მოახდინოს თავისი ცოდნის გამოყენება, მაგრამ დასაფიქრებელი საკითხია, აქამდე ამაზე არ მიფიქრია“.

ამ კითხვაზე ბევრად უფრო კონკრეტული პასუხები მივიღეთ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც სხვადახვა ფორმით წარმოუდგენიათ მოსწავლეებისათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები,

შესაძლოა, ყველასთვის თანაბრად მისაღები არ იყოს, ამ კითხვაზე მიღებული პასუხები გვიჩვენებს, რომ საკმაოდ მაღალია სკოლების/მოსწავლეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის პოტენციალი, რომლის სრულად რეალიზების შემთხვევაში, ხელშესახები, პოზიტიური შედეგების მიღება შეგვიძლია.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში აღინიშნა, რომ უმთავრესი, რაც მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა შეიძლება გააკეთონ მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერებისა და ინიციატივიანობის გაზრდისათვის, არის კარგი მაგალითის მიცემა, რაც თავის მხრივ, თვითონ თვითმმართველობებში დასაქმებული მოხელეების სათანადო მომზადებასაც მოითხოვს:
„ყველაზე მთავარი ჩვენი დახმარება ამ კუთხით იქნება პირველ რიგში, ჩვენი თავი მოვიწესრიგოთ ამ კუთხით, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება ვაჩვენოთ მაგალითად ჩვენს შვილებს."

ადგილობრივი თვითმმართველობის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლებთან თანამშრომლობა და მათთვის დახმარების გაწევა ისედაც შედის თვითმმართველობის მოვალეობებში, ამდენად ისინი ვალდებულნი არიან შესაბამისი დახმარება გაუწიონ სკოლებს/მოსწავლეებს მომართვის შემთხვევაში.

ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ წარმოუდგენიათ მოსწავლეთა სამოქალაქო ინიციატივების სტიმულირებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მონაწილეობა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები სკოლებსა და მოსწავლეებთან თანამშრომლობას მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელებაში ხედავენ და საუბრობენ მოსწავლეთა ჩართულობაზე მიმდინარე დასუფთავების, სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოებში:
„რამდენიმე დირექტორს შევთავაზეთ... ქალაქში სამუშაოები არის შესასრულებელი, მიმდინარეობს იგივე წყალკანალის მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ამაში რომ ჩაერთონ მოსწავლეები... ეს ისტორიული მომენტია... თუნდაც ჩვენი ბათუმის რეაბილიტაცია და ამ ორ პროექტში მუშაობა მოსწავლეებისთვის კარგი იქნება"

რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმოა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარებულ თითქმის ყველა შეხვედრაზე გამოითქვა მზადყოფნა, რომ მოსწავლეებს დაუთმონ მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები, რათა ბავშვებმა შეძლონ კვალიფიციური პროექ-

ტებისა და პროგრამების შედგენა და მათი განხორციელება (ამასთან, ეს პროექტები, შეიძლება, საერთოდ არ იყოს დაკავშირებული ინფრასტრუქტურულ ინიციატივებთან):

„მე, პირადად, როგორც კოორდინატორს, თუ მომმართავენ და მეტყვიან, რომ რაღაც ინიციატივა გაგვაჩნია და დაგვიგეგმე, პროგრამა განგვახორციელებინეო, შემიძლია დავუკომპლექტო [საპროექტო] ჯგუფი შესაბამისი ადამიანური რესურსით, კონტაქტებით შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს, რაც მათთვის ძალიან დიდ დეფიციტს წარმოადგენს და რომლებიც სხვადასხვა დეტალების მოგვარებაში დაეხმარება. ფინანსურად შეგვიძლია შევთანხმდეთ გამგეობასთან... ტექნიკური დახმარების აღმოჩენაც შეგვიძლია..“

„საკრებულოს თავისი ბიუჯეტით შეუძლია ხელი შეუწყოს ამ ინიციატივების გააქტიურებას, დააფინანსოს ახალგაზრდების პროექტები”.

იმისათვის, რომ მოსწავლეები უფრო საფუძვლიანად გაერკვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციებსა და მათ უფლება-მოვალეობებში და დაინტერესდნენ ამ ორგანოებთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა ასევე გამოთქვეს მზადყოფნა, სკოლებში ჩაატარონ (ან მონაწილეობა მიიღონ) აპოლიტიკური ხასიათის შეხვედრები და ტრენინგები, სადაც განიხილავენ ამ და მოსწავლეთათვის საინტერესო სხვა საკითხებს.

ზ) მოსწავლეთა მიერ ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენება

რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით შევისწავლეთ მოსწავლეთა მიერ ელექ-ტრონული სოციალური ქსელების გამოყენების ინტენსიურობაც, კერძოდ, ის, თუ რამდენად იყენებენ სკოლის მოსწავლეები ისეთ პოპულარულ ვებ-გვერდებს, როგორებიცაა facebook, myspace და სხვა. ასევე, გვაინტერესებდა, იყენებენ თუ არა მოსწავლეები ელექტრონულ სოციალურ ქსელებს არა მხოლოდ ურთიერთობისათვის, არამედ იმისათვის, რომ გაავრცელონ ან მიიღონ რაიმე სახის ინფორმაცია. ეს მონაცემებიც, თავის მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლეთა სოციალური/სამოქალაქო აქტივობის დონის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად.

დიაგრამა №44. იყენებთ, თუ არა ელექტრონულ სოციალურ ქსელებს ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად?



როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა (76.7%) იყენებს ელექტრონულ სოციალურ ქსელებს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დადებითი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისისა და დიდი ქალაქების რესპონდენტებთან. ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენების დონე იკლებს პატარა ქალაქების, სოფლებისა და დაბების მაცხოვრებლებთან. ეს ტენდენცია მოსალოდნელი იყო, თუნდაც ინტერნეტის მეტი ხელმისაწვდომობის გამო დიდ ქალაქებსა და თბილისში, სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით. ამ საკითხის განხილვისას აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

დიაგრამა №45. ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენება (დასახლებული პუნქტების მიხედვით)



მოსწავლეთა 61.1% ხშირად იყენებს ელექტრონულ-სოციალურ ქსელებს, 25.5% – მეტ-ნაკლები სიხშირით, ხოლო 13.4% – იშვიათად.

დიაგრამა №46. ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენების სიხშირე



ამ საკითხთან დაკავშირებით სანდო სხვაობა მივიღეთ მონაცემთა განხილვისას კლასების მიხედვით. მეთორმეტე კლასის მოსწავლეებთან (56.2%) შედარებით, უფრო მაღალია მეათე (65.5%) და მეთერთმეტე (61.4%) კლასების მოსწავლეთა წილი, ვინც დადებითად პასუხობს ამ კითხვაზე. შესაბამისად, სწორედ მეთორმეტეკლასელთა ყველაზე მეტი წილი (18.2%) მიუთითებს, რომ ისინი იშვიათად სარგებლობენ ელექტრონული სოციალური ქსელებით. შუალედურ პოზიციას ირჩევს სამივე კლასის წარმომადგენელთა დაახლოებით თანაბარი წილი.

დიაგრამა №47. ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენების სიხშირე (კლასების მიხედვით)